

მართლმსაჯულება **2**'17  
კანონი

**Justice and Law** Legal Journal  
#2(54)'17

N2(54)'17

მართლმსაჯულება



კანონი

**რედაქტორი**  
**ნინო ძიძიგური**

რედაქტორის მოადგილე  
ირმა ბეჟაური  
ნომერზე მუშაობდნენ:  
მარინე ვასაძე  
თარგმანი:  
თამარ ნეფარიძე  
დიზაინი:  
ბესიკ დანელია

სარედაქციო საბჭო:  
დინა ბერეკაშვილი  
ნინო გვენეტაძე  
თამარ ზამბახიძე  
ზზია თოდუა  
ზაზა შეიშვილი  
ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:  
DIANA BEREKASHVILI  
NINO GVENETADZE  
TAMAR ZAMBAKHIDZE  
MZIA TODUA  
ZAZA MEISHVILI  
VALERI TSERTSVADZE

**Editor:**  
**NINO DZIDIGURI**

Deputy Editor:  
IRMA BEKAURI

The issue was prepared by  
MARINE VASADZE

Translated by  
TAMAR NEPHARIDZE

Designed by  
BESIK DANELIA



საპარტვილოს მოსამართლეთა  
ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების  
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, საქართველოს  
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს წერილობითი  
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

*English version of articles has been provided by Candidates  
of Law faculty of Tbilisi State University*

უკ (UDC) 340.11+340.130.5  
მ-306

ISSN 1512-259X

5

სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის

---

49

სამომხედო გეგმა – სასამართლო სისტემის განვითარება

---

90

გურამ ნაჭყვია  
მართლობისა და უმართლობის თანაფარდობის ზოგიერთი  
მეთოდოლოგიური საკითხი სისხლის სამართლის მიხედვით

---

SOME METHODOLOGICAL ISSUES ON CORRELATION OF RIGHTFULNESS AND  
WRONGFULNESS ACCORDING TO THE CRIMINAL LAW

GURAM NACHKEBIA

101

ვახტანგ თორდია  
მოსამართლის როლი და დაზარალებულის უფლებრივი  
მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში

---

JUDGE'S ROLE AND RIGHTS OF VICTIMS IN CRIMINAL PROCEDURE OF GEORGIA  
VAKHTANG TORDIA

108

ომარ ჯორბენაძე, ელენე ხათაშვილი  
მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ზოგიერთი საკითხი

---

SOME ISSUES ON INADMISSIBILITY OF EVIDENCE

OMAR JORBENADZE, ELENE KHATASHVILI

117

ლევან ვეფხვაძე  
შეჭიბრებითობის პრინციპი გამოძიების ეტაპზე ქართულ სისხლის  
სამართლის პროცესში შედარებითსამართლებრივი ანალიზი  
საქართველოს მაგალითზე

---

ADVERSARIAL PRINCIPLE AT THE INVESTIGATION STAGE IN GEORGIAN  
CRIMINAL PROCEDURE COMPARATIVE-LEGAL ANALYSIS, CASE OF GEORGIA

LEVAN VEPKHVADZE

132

კობა ბუაძე  
კანონზომიერება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და  
სახელმწიფო საიდუმლოების უზრუნველყოფის დროს

---

LEGITIMACY DURING OPERATIVE-SEARCH MEASURES AND FOR SECURING  
STATE SECRETS

KOBA BUADZE

139

მარინე მარინაშვილი

უმაღლესი იურიდიული განათლება, როგორც თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის განხორციელების აუცილებელი პირობა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

---

HIGHER LEGAL EDUCATION, AS A NECESSARY CONDITION FOR EMPLOYMENT AT AN OFFICIAL POSITION OR CONDUCTING ACTIVITIES IN THE GEORGIAN LEGISLATION AND PRACTICE

MARINE MARINASHVILI

149

ცირა კომახიძე

საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

---

LEGAL GROUNDS FOR LIMITING THE RIGHT TO PROPERTY ACCORDING TO THE CONSTITUTION OF GEORGIA AND THE PRACTICE OF THE CONSTITUTIONAL COURT

TSIRA KOMAKHIDZE



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/162

„ 29 “ მაისი 2017 წ.

### გ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

#### 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 14 ივლისის №1/192 გადაწყვეტილების შესაბამისად, დამტკიცდეს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული სახით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

შესავალი	7
სასამართლო სისტემის სტრატეგიის ფორმირების მეთოდოლოგია	8
დოკუმენტის სტრუქტურა	9
სასამართლო სისტემის მისია და ხედვა	10
I სტრატეგიული მიმართულება: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა	11
II სტრატეგიული მიმართულება: ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა	18
III სტრატეგიული მიმართულება: ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა	22
IV სტრატეგიული მიმართულება: სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა	25
V სტრატეგიული მიმართულება: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	30
სასამართლო სისტემის სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი	34
დანართი 1 – წინარე ისტორია	37
დანართი 2 – სტრატეგიული კომიტეტის შემადგენლობა	41
დანართი 3 – გამოყენებული დოკუმენტები და სხვა მასალა	45

# სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის

## შესავალი

სასამართლო სისტემის რეფორმა სახელმწიფო მნიშვნელობის პროცესია, რომელიც ემსახურება სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სტრატეგიული მიმართულებები უნდა პასუხობდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას საერთო სასამართლოების სისტემაში, ასევე ითვალისწინებდეს არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის საუკეთესო გზებს/საშუალებებს გვთავაზობდეს.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლებამ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შეიმუშავა სასამართლო სისტემის 5-წლიანი სტრატეგია (შემდგომში – სტრატეგია) და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია ასახავს: საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას 2014-2020 წლებისთვის, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სასამართლო რეფორმის სტრატეგიას 2017-2021 წლებისთვის, საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიას და სამთავრობო პროგრამის დოკუმენტს – „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის.“ სტრატეგია ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოების მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს, რათა სასამართლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მაქსიმალურად დაეხმაროს საქართველოს სწრაფვას, გაერთიანდეს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისთვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად და სამოქალაქო საზოგადოების ფართო მონაწილეობით, ჩამოყალიბდა სტრატეგიული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილნი არიან: საერთო სასამართლოების მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ფინანს-



თა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო, სახალხო დამცველი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები. სტრატეგიის შემუშავების პროცესის მართვას ორგანიზებას უწევდა საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფი.“

სტრატეგიაზე მუშაობა დონორი ორგანიზაციების – „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ), ევროკავშირის „სასამართლო მხარდაჭერის პროექტის“, საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერითა და აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა. სტრატეგიის შემუშავება დონორების მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების ხელმძღვანელობით წარიმართა.

## სასამართლო სისტემის სტრატეგიის ფორმირების მეთოდოლოგია

სტრატეგიის შექმნის მიზანია სასამართლო განვითარების ძირითადი მიმართულების განსაზღვრა და ტექტიკური ნაბიჯების დაგეგმვა ხუთწლიანი პერიოდისათვის.

სტრატეგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა სტრატეგიული კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდა არა მხოლოდ საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, არამედ, აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. კომიტეტში მუშაობდა ოთხი ჯგუფი, ოთხი სტრატეგიული მიმართულების ირგვლივ:

- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ანგარიშვალდებულება;
- ხარისხი და ეფექტიანობა;
- ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა და სანდოობა.

დოკუმენტში ასახული საკითხები მომზადდა და განიხილულ იქნა სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

### განხორციელებული სამუშაოები:

1. სასამართლო სისტემის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან ჩაწერილი 50-მდე ინტერვიუ: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან, მოსამართლეებთან და სასამართლოების აპარატის თანამშრომლებთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებთან, დაინტერესებულ მხარეებთან: იუსტიციის სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსთან

<sup>1</sup> ალექს მალარი, სლოვენის ყოფილი იუსტიციის მინისტრი; რენატე ვინტერი, ევროკავშირის „სასამართლო მხარდაჭერის პროექტის“ ხელმძღვანელი, გაეროს სპეციალური სასამართლოს მოსამართლე და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე; ბულგარეთის რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრი დიანა კოვანევა.

როსთან, საქართველოს პარლამენტთან, მთავარ პროკურატურასთან, სახალხო დამცველთან, იურისტებთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან; საერთაშორისო წარმომადგენლობებთან: ამერიკის საელჩოსთან, ევროსაბჭოს წარმომადგენლობასთან საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამასთან, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან(USAID), დამოუკიდებელ ექსპერტთან „ბრენდინგსა“ და კომუნიკაციებში.

2. ონლაინ გამოკითხვა:

მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და იუსტიციის საბჭოს აპარატის თანამშრომლების გამოკითხვა; გამოკითხვის შედეგების (40-მდე გამოხმაურება) საფუძველზე მოკლე ანალიზის მომზადება.

3. საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტებისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი.<sup>2</sup> ქვეყნის შიგნით შექმნილი სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, ანგარიშებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი.

4. შეხვედრები სტრატეგიული კომიტეტის სამუშაო ჯგუფებთან:

თითოეულ სამუშაო ჯგუფთან გაიმართა 6-8 სამუშაო შეხვედრა (რომელსაც წინ უძღოდა ჯგუფის ხელმძღვანელებთან მოსამზადებელი შეხვედრები) და განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სასამართლო სისტემის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები/პრობლემები და შესაძლებლობები, რაც სისტემას აქვს;

სტრატეგიის თითოეული მიმართულებისათვის დასახული მთავარი ამოცანები, აქტივობები/პროგრამები, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად; კომიტეტის 5 შეხვედრაზე გამოკვეთილი პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების საფუძველზე, დასახული ამოცანების გადასაწყვეტად მიდგომების შემუშავება და თითოეული სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშების მოსმენა.

## დოკუმენტის სტრუქტურა

სტრატეგია სამნაწილიანია. პირველი ნაწილი ასახავს სასამართლოს მისიასა და სასამართლო ხელისუფლების ხედვას სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. მეორე ნაწილი ეხება 5 სტრატეგიულ მიმართულებას და მიმოიხილავს თითოეული მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ძირითად ამოცანებსა და მიზნის მიღწევის მთავარ ზომებს. ბოლო ნაწილი ეხება სტრატეგიის განხორციელების მექანიზმს და მონიტორინგისა და შეფასების პროცედურას.

### სტრატეგიაში გამოყენებულ ტერმინთა მოკლე განმარტება:

**სტრატეგიული მიმართულება** – სისტემის წინაშე მდგარი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც წარმოადგენს მთავარ ღერძს სასამართლოს ხედვისა და მისიის რეალიზაციისთვის;

<sup>2</sup> იხ.: დანართი 3.

- გამოწვევა** – რისკის მატარებელი აქტუალური საკითხი, შესაძლებლობა ანდა საფრთხე, რომელიც მოითხოვს დროულ რეაგირებას, უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით;
- ამოცანა** – პერმანენტული ხასიათის საკითხი, რომელიც მოითხოვს მიზანმიმართულ და უწყვეტ მუშაობას სასურველი შედეგის მისაღწევად;
- მთავარი პროგრამები** – სტრატეგიული მიმართულებები და ქვემიმართულებები, რომლებიც ემსახურება კონკრეტული ამოცანების გადაჭრას.

## სასამართლო სისტემის მისია და ხედვა

### სასამართლოს მისია:

- განმარტოს კანონი და სასამართლო დავები გადაწყვიტოს სამართლიანად, კანონის შესაბამისად, განჭვრეტადობის უზრუნველყოფითა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანით; უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება და ხელი შეუწყოს ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას;
- განახორციელოს თანაბრად ხელმისაწვდომი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება საჯარო პროცესის მეშვეობით, მოეპყრას მხარეებს ღირსებითა და პატივისცემით;
- იზრუნოს ადამიანის უფლებების დაცვისა და საერთო კეთილდღეობისათვის, ემსახუროს ხალხს, მის მუდმივად ცვლად ინტერესებსა და საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სტაბილურობასა და ჰარმონიას, არსებული სამართლებრივი სისტემისადმი, სამართლიანობისადმი ხალხის ნდობის გაღვივებას.

### სასამართლო ხელისუფლების ხედვა:

- უზრუნველყოს ინდივიდუალური მოსამართლისა და სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა; აღმოფხვრას საფრთხეები, რათა მოსამართლის გადაწყვეტილებამ გავლენა არ მოახდინოს მისი უფლებამოსილების ვადაზე, ანაზღაურებასა ან უსაფრთხოებაზე;
- დანერგოს და აამოქმედოს „კარგი მმართველობის“ პრინციპები სასამართლო ხელისუფლებაში, უზრუნველყოს სასამართლოს ეფექტიანი მმართველობა და ფუნქციონირება; შექმნას საფუძველი ძლიერი, ავტორიტეტული და კორუფციისაგან თავისუფალი სასამართლო ხელისუფლებისათვის;
- უზრუნველყოს უმაღლესი იურიდიული და ადმინისტრაციული სტანდარტი, იზრუნოს სასამართლოს მოდერნიზაციის, ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის; ადამიანური რესურსების განვითარების, მათი მოტივაციის გაძლიერების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდისათვის;
- ანგარიშვალდებული იყოს საზოგადოების წინაშე კანონისა და ეთიკის ნორმების დაცვის, სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი გამოყენების, საქმიანობის გამჭვირვალობის, ღიაობისა და მასში საზოგადოების ფართო ჩართულობის მეშვეობით;
- დაიმსახუროს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა მართლმსაჯულების თვალსაჩინოების უზრუნველყოფითა და თავისი ფუნქციების კეთილსინდისიერი შესრულებით.

## I. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

### სტრატეგიული მიმართულების განმარტება

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი მართლმსაჯულების აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც ვერ მიიღწევა სამართლის უზენაესობა საზოგადოებაში, ადამიანის უფლებათა დაცვა და არსებული სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის გაღვივება. უახლესი წარსულის გათვალისწინებით, ქართული მართლმსაჯულება უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. სტრატეგიის ამ ნაწილის მიზანია ამ გამოწვევების იდენტიფიცირება და განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

სტრატეგია ეფუძნება ქართულ რეალობასა და სპეციფიკას და ხელმძღვანელობს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სფეროში საერთაშორისო მიდგომებითა და სტანდარტებით, მათ შორის – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

სტრატეგია ითვალისწინებს და ამკვიდრებს ყველა იმ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლებიც გადმოცემულია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ უმთავრეს საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორებიცაა: მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია, მოსამართლეთა მაგნა კარტა, ბანგალორის პრინციპები და სხვა.

### ძირითადი გამოწვევები

#### 1. დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების ნაკლებობა:

სასამართლოს დამოუკიდებლობის არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, მოსამართლის დისკრეციის შეზღუდვები, შემზღვევლი მატერიალური და საპროცესო ნორმები; იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარეების საქმიანობის მომწესრიგებელი განსაახლებელი ნორმები;

მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის სისტემის არაეფექტურობა, მათ შორის, ხარვეზიანი ინფორმაციის მოპოვების მეთოდიკა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის პოლიტიკური და სხვა არასათანადო გავლენისგან დაცულობის რეალური საფრთხე.

#### 2. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და კარიერული წინსვლის სისტემის არაეფექტურობა:

მოსამართლის დაწინაურების სისტემისა და არსებული კრიტერიუმების ბუნდოვანება, პროფესიული შეფასების შედეგებთან მისი დაუკავშირებლობა; შიდა და გარე კონკურსების გამართვის შეუძლებლობა.

#### 3. მენეჯმენტის ხარვეზები:

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შემდეგი რისკები: მოსამართლეთა სიმცირე, საქმეთა ელექტრონული განაწილების არარსებობა, სასამართლოების საქმეებით გადატვირთვა და მოსამართლეთა არათანაბარი დატვირთვა, სპეციალიზაციის პრინციპის ხარვეზი და რეგიონის მოსამართლეების ნაკლები ჩართულობა მენეჯმენტში არსებული პრობლემების დაძლევაში.

**4. სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა და საერთაშორისო სტანდარტები:<sup>3</sup>**

მოსამართლის საგამოცდო ვადით დანიშვნა, სამოსამართლო გამოცდილების მიუხედავად; უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გამორიცხვა უვადოდ გამწესების პროცესიდან.

**5. მოსამართლის სოციალური გარანტიების არასაკმარისობა.**

მოსამართლის ანაზღაურების დაანგარიშების არაეფექტური სისტემა: სამოსამართლო და საერთო სტაჟის გაუთვალისწინებლობა, არათანაბარი მიდგომები სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლისადმი, პენსიების არაადეკვატური ოდენობა; ხელფასებისა და პენსიების დაუცველობა ინფლაციისაგან.

**6. დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის სამართლიანი ბალანსის ნაკლებობა:**

მოსამართლეთა პერიოდული, პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემის ხარვეზიანობა უვადოდ გამწესებისას. კანონის განზრახ, უხეში დარღვევის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ეფექტური რეაგირების საშუალებების არარსებობა, მოსამართლის კანდიდატის მიერ საბჭოს წევრზე ზეწოლის, ზეგავლენის ან არასათანადო კომუნიკაციის რეაგირების გარეშე დატოვება.

**7. მოსამართლეებში დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების შინაგანი განცდის ამალღებისა და საერთაშორისო სამართლის გამოყენების აუცილებლობის შეგნების მუდმივი სრულყოფის საჭიროება:**

სასამართლოს დამოუკიდებლობის აღიარების დაბალი ხარისხი საზოგადოებაში, პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან მომდინარე საფრთხე, სასამართლოსთან მიმართებით დასაშვები კრიტიკის ფარგლების სტანდარტების დაუცველობა, საქმეთა განხილვის პროცესის გაშუქების სტანდარტების არაეფექტურობა.

**8. დამოუკიდებლობის ხელყოფის პრევენციისა და დამცავი მექანიზმების ნაკლებობა:**

ზეწოლის, ზეგავლენისა და არასათანადო კომუნიკაციის საფრთხეების პრევენციის საჭიროება, მოსამართლის დაუცველობა უსამართლო კრიტიკის დროს, შესაბამისი რეაგირების მექანიზმების არარსებობა ან არაქმედითობა, მოსამართლის შემოქმედებითი მიდგომების წაუხალისებლობა; განსხვავებული აზრის შედგენის დაბალი კულტურა.

**9. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების არასაკმარისობა:**

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების შემოწმების სისტემისა და მეთოდის არარსებობა, არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების სიხშირე; სამოსამართლო ეთიკის ნორმების ბუნდოვანება, ეთიკის ნორმების არასაკმარისი სწავლება/ტრენინგი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილების რეგულაციების არარსებობა; საზოგადოებასთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს არაეფექტიანი კომუნიკაცია.

<sup>3</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისათვის (ვენეციის კომისია) ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი (DHR); ადამიანის უფლებათა დირექტორატი (DGI); ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო(C.C.J.E).

## ამოცანები და მთავარი პროგრამები

### 1. სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

- 1.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცება:
  - 1.1.1. გაუქმდეს/აიკრძალოს მოსამართლის საგამოცდო ვადით დანიშვნა საერთო სასამართლოების სისტემაში. მოსამართლე გამწესდეს უვადოდ, საპენსიო ასაკამდე.<sup>4</sup>
  - 1.1.2. დადგინდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევა უვადოდ, საპენსიო ასაკამდე.
  - 1.1.3. შემუშავდეს მოსამართლის უვადოდ არჩევის განახლებული წესი, კრიტერიუმები და პროცედურა; პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებით როლს კანდიდატურების წარდგენისას. ეს როლი შეიძლება გამოიხატებოდეს კანდიდატის შესახებ ამრის, წინადადების ჩამოყალიბებაში ან რეკომენდაციის გაწევაში. სასურველია, რომ წინადადებას ჰქონდეს სავალდებულო ძალა;
  - 1.1.4. დადგინდეს მოსამართლის ფუნქციური იმუნიტეტი. განისაზღვროს, რომ მის წინააღმდეგ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის შეტანა, თუ ზიანის გამოწვევა დაკავშირებულია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან; გაიწეროს იმუნიტეტის მოხსნის ცხადი და გამჭვირვალე პროცედურა;
  - 1.1.5. საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა თავს დაემატოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება;
  - 1.1.6. კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს დამოუკიდებლობის სხვა გარანტიები, რომ სასამართლო ახორციელებს თვითმართვასა და ადმინისტრირებას; დადგინდეს, რომ სასამართლოს ბიუჯეტი ოდენობით არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები და მოსამართლეთა ხელფასები (მათ შორის, დანამატებიც) კანონით იყოს ფიქსირებული;
  - 1.1.7. განისაზღვროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და დამოუკიდებლობა, ასევე, მისი ანგარიშვალდებულება მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციისა და საზოგადოების წინაშე.
- 1.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თვითმმართველობის განვითარება:
  - 1.1.1. განმტკიცდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობა, დაიხვეწოს საბჭოს დაკომპლექტების წესი; გაიწეროს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა არჩევის/დანიშვნის ობიექტური კრიტერიუმები და გამჭვირვალე პროცედურა; პროცედურებმა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ყველა ინსტანციის სასამართლოსა და რეგიონების სასამართლოების წარმომადგენლობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;
  - 1.1.2. შემოღებულ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის თანდათანობით განახლების წესი, მისი ინსტიტუციური მეხსიერების განგრძობადობისა და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

<sup>4</sup> ამ ნორმის ამოქმედება შეიძლება გადავადდეს იმ დრომდე, სანამ არ გაუმჯობესდება საკვალიფიკაციო გამოცდის, კანდიდატთა შერჩევისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ვადა და ხარისხი, არ ჩამოყალიბდება მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული შეფასების ეფექტიანი სისტემა. საგამოცდო ვადით დანიშვნა შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

- 1.1.3. გაძლიერდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა, გააქტიურდეს გაფართოებული სხდომების ჩატარების პრაქტიკა, უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და არადისკრიმინაციული მიდგომების დემონსტრირება ინდივიდუალურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას; ასევე, დროულად მიეწოდოს ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებას, ყოველწლიური ანგარიშებისა თუ სტატისტიკური მონაცემების შედგენისა და გამოქვეყნების პრაქტიკის დანერგვით;
- 1.1.4. გაძლიერდეს სასამართლოს თვითმმართველობა, მოსამართლეთა კონფერენციის როლი;
- 1.1.5. აღიჭურვონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების, ფუნქციური იმუნიტეტით და უზრუნველყოფილ იქნენ მოსამართლის მსგავსი სოციალური დაცვის გარანტიებით; ხელი შეეწყოს საზოგადოებაში ისეთი ცნობიერების დამკვიდრებას, რომ საბჭოს არამოსამართლე წევრები მიეკუთვნებიან სასამართლო ხელისუფლებას და ანგარიშვალდებულნი არ არიან იმ ხელისუფლების ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა წინაშე, ვინც ისინი აირჩია ან დანიშნა თანამდებობაზე;
- 1.1.6. განისაზღვროს საქართველოს პარლამენტში სასამართლოს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა სასამართლო რეფორმისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო წინადადებების განხილვისას.

1.3. სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცება:

- 1.1.1. განხორციელდეს ღონისძიებები სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. უზრუნველყოფილ იქნეს რეალური ბიუჯეტის საკმარისობა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ბიუჯეტთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარება. ორგანული კანონით დადგინდეს, რომ სასამართლოს ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები; განისაზღვროს სასამართლოს უფლება, პირდაპირ წარუდგინოს პარლამენტს ბიუჯეტი, თუ მთავრობა უარს ეტყვის გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

## 2. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

2.1. მოსამართლის დანიშვნისა და დაწინაურების სისტემის სრულყოფა:

- 2.1.1. დაიხვეწოს იუსტიციის სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურა;<sup>5</sup> შემუშავდეს მოსამართლის დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსამართლეთა მუდმივი პერიოდული შეფასების შედეგებთან;<sup>6</sup>

<sup>5</sup> შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს კანდიდატების შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ეფექტიანი სისტემა, რომელიც შესაძლებლობას შექმნის, შეირჩეს ყველაზე პრინციპული, კომპეტენტური და მაღალი მორალური თვისებების მქონე კანდიდატი; ინფორმაციისთვის ასევე იხილეთ პროფესიონალიზმის თავი, გვერდი 18, პუნქტი 3.

<sup>6</sup> კანონით ზუსტად უნდა განისაზღვროს პროცედურა და ორგანოები, ვისაც შეფასება დაევალება; ამასთან, დაწინაურების კრიტერიუმები და პროცედურა უნდა გაიმიჯნოს მოსამართლის დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურებისაგან.

- 2.1.2. შემუშავდეს რეკომენდაციები სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე გამწესების პროცედურის, ვადების და კომპეტენციის თაობაზე. არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად შემუშავდეს რეკომენდაციები.<sup>7</sup>
- 2.1.3. დაინერგოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების დასაბუთებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი.
- 2.2. მოსამართლის შეუცვლელი პრინციპის უზრუნველყოფა;
- 2.2.1. დადგინდეს მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპი კონსტიტუციით და განისაზღვროს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური სანქციის ან კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. შესწავლილ იქნეს პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვის საკითხი;
- 2.2.2. დადგინდეს, რომ სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ნორმის განმარტებამ, ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებამ არ შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა, გარდა შემთხვევისა, როდესაც დადასტურებულია კანონის განზრახ უხეში დარღვევა.
- 2.3. ანაზღაურებისა და საპენსიო სისტემის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- 2.3.1. შემოღებულ იქნეს ხელფასისა და პენსიის განსაზღვრის ერთიანი სქემა ყველა მოსამართლისათვის ერთგვაროვანი და სამართლიანი მიდგომების გამოყენებით; ორგანული კანონით დადგინდეს, რომ მოსამართლეს აქვს შეუმცირებადი ხელფასისა და პენსიის უფლება, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხელფასისა და პენსიის დაცვას ინფლაციისაგან;
- 2.3.2. დადგინდეს მოსამართლის ხელფასისა და დანამატის ფიქსირებული ოდენობა კანონით, აღნიშნული ოდენობა არ უნდა უკავშირდებოდეს მოსამართლის საქმიანობის შეფასების შედეგებს;
- 2.3.3. გადაიხედოს ორგანული კანონით განსაზღვრული საპენსიო სისტემა; დადგინდეს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლეს პენსიით, რომელიც ოდენობით მიახლოებული უნდა იყოს მის ბოლო სამოსამართლო ხელფასთან; აღმოიფხვრას დისპროპორციული განსხვავება უზენაესი სასამართლოსა და ქვედა ინსტანციის მოსამართლეების პენსიის ოდენობას შორის. აღნიშნული უნდა განხორციელდეს საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების ერთიანი რეფორმის კონტექსტში და საპენსიო რეფორმის გათვალისწინებით. ასევე, ხელფასი და პენსია გარანტირებული უნდა იყოს მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებების პირობებში.

### 3. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოს მიუკერძოებულობა არა მარტო სამართლებრივად, არამედ პრაქტიკაშიც; მოსამართლეები უნდა ზრუნავდნენ, რომ თავიანთი ფუნქციები განა-

<sup>7</sup> მათ შორის, რეკომენდებულია სასამართლოს თავმჯდომარის შესაბამისი გადაშვადება მართვისა და მენეჯმენტის ტრენინგ კურსში.



ხორციელონ მხარეებისადმი თანაბარი მოპყრობით, ყოველგვარი მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, რათა დაცულ იქნეს მხარეების უფლება სამართლიან განხილვაზე და გონივრულად დაბალანსდეს მათი ინტერესები;

- 3.1. განისაზღვროს კანონისმიერი გარემოებები, რომლის დროსაც მოსამართლეობის კანდიდატის წარსული საქმიანობა წარმოშობს მართებულ და საფუძვლიან ეჭვს ამ კანდიდატის მიუკერძოებლობისადმი და წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას მოსამართლეად მისი გამწესებისათვის; დაიხვეწოს და მოწესრიგდეს სხვა საქმიანობასთან მოსამართლის თანამდებობისა და სტატუსის თავსებადობა: ორგანული კანონით შემოღებულ იქნეს პროცედურა, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს სამოსამართლო მოვალეობებთან ამა თუ იმ საქმიანობის შეთავსების შესამოწმებლად და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად; დაექვემდებაროს მონიტორინგს მოსამართლის შეუცვლელობა/კეთილსინდისიერება;
- 3.2. განხორციელდეს მოსამართლეების მიერ წარდგენილი ყოველწლიური ქონებრივი დეკლარაციების საფუძველზე მისი „პატიოსნების შემოწმება“ (integrity checks). ხელისუფლების სტრუქტურაში შეიქმნას ორგანო – სასამართლო ინსპექტორატი ან დამოუკიდებელი კომისია, რომელიც შეამოწმებს დეკლარირებული ფაქტების ნამდვილობას და მოამზადებს დასკვნას დაუსაბუთებელი ქონების არსებობის შესახებ.
- 3.3. დაინერგოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სასამართლოს ობიექტური და სუბიექტური მიუკერძოებლობის ტესტით შეფასების სფეროში;<sup>8</sup> გაუმჯობესდეს საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილების საფუძველზე დაკავშირებით; მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი შესაბამისობაში მოვიდეს ამ პრინციპებთან.

#### 4. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის უზრუნველყოფა და ხელშემშლელი ფაქტორების პრევენცია

- 4.1. სასამართლო ხელისუფლების დაცვის შიდა მექანიზმების გაძლიერება.
- 4.1.1. დადგინდეს მოსამართლისათვის ქმედითი მისაგებელი (legal remedy) უფლება, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და განხორციელდეს შესაბამისი პროცედურა, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს მისი უფლებების, დამოუკიდებლობისა თუ კანონიერი პროცედურების მიმართ რაიმე ფორმით საფრთხის შექმნისა თუ/ან უგულვებელყოფის შემთხვევაში. დამოუკიდებელი ორგანო აღიჭურვოს კონკრეტული ეფექტიანი საშუალებებით, დაიცვას მოსამართლე შიდა თუ გარე ზეგავლენებისაგან, გამოასწოროს მდგომარეობა ან შესთავაზოს მისი გამოსწორების გზები;
- 4.1.2. განხორციელდეს სისხლის სამართლის მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის იმ ნორმათა იდენტიფიცირება და შეიცვალოს ის მიდგომა, რომლებიც მეტისმეტად ზღუდავს მო-

<sup>8</sup> კანონით უნდა განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მონაწილეობა ამა თუ იმ საქმის განხილვაში მომავალში გამოიყენებს იმავე საქმეში მის მონაწილეობას ამა თუ იმ ფორმით, მოსამართლის ობიექტური დამოუკიდებლობის შეფასების ტესტის შესაბამისად.

სამართლის მიხედვლების ფარგლებს და არ იძლევა შინაგანი რწმენის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; ეს ამოცანა უნდა შესრულდეს, მოსამართლეთა კორპუსის ფართო ჩართულობით; ასევე, შეეწყოს ხელი მართლმსაჯულების პროცესში შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებას, განსხვავებული (თანმხვედრი ან საპირისპირო) აზრის შედგენის კულტურის ამაღლებას;

- 4.1.3. გაიზარდოს რეგიონის მოსამართლეების ჩართულობა სასამართლო სისტემის მართვასა თუ მართლმსაჯულების რეფორმირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;
- 4.1.4. შემცირდეს რისკი, რომ საქმეებით გადატვირთვამ მოსამართლეები არ გახადოს მოწყვლადი და უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მათი დამოუკიდებლობის ხარისხზე.<sup>9</sup>
  
- 4.2. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა გარე ზეგავლენებისგან
  - 4.2.1. გაუმჯობესდეს სასამართლოს/მოსამართლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზეწოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემა;
  - 4.2.2. განხორციელდეს „სასამართლოს უპატივცემულობის“ საკანონმდებლო ფორმულირების ახლებურად გააზრება და რეფორმირება;
  - 4.2.3. გაძლიერდეს საზოგადოებასთან სასამართლოს ეფექტიანი კომუნიკაცია, განვითარდეს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტი.<sup>10</sup> იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სასამართლომ გააუმჯობესონ პროაქტიულად ინფორმაციის დროული მიწოდება მედიისა და საზოგადოებისათვის;
  - 4.2.4. ხელი შეეწყოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტორიტეტის დაცვას, საზოგადოების (პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ადვოკატები და სხვა) ცნობიერების განვითარებას საქმეთა განხილვის გაშუქების კულტურის ამაღლებასა და ასევე, მოსამართლის, სასამართლოსა და სასამართლო გადაწყვეტილების „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებთან დაკავშირებით; სასამართლომ აქტიურად ითანამშრომლოს ამ პრინციპებთან ადვოკატებისა თუ ჟურნალისტების პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისობისათვის.
  
- 4.3. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების გაზრდა და დარღვევების პრევენცია
  - 4.3.1. ხელი შეეწყოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების უზრუნველყოფას სასამართლო პროცესის წარმართვისა თუ გადაწყვეტილების მიღების დროს; გაძლიერდეს მოსამართლეთა სწავლება, თუ როგორ შეინარჩუნონ მიუკერძოებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური მსაჯულის ავტორიტეტი; ამაღლდეს მოსამართლეებში „თავშეკავების ვალდებულების“ დაცვის ცნობიერება, მათ შორის – საქმეებზე კომენტარისა თუ მათ წინააღმდეგ

<sup>9</sup> ამ მიზნით დროულად უნდა ამოქმედდეს საქმეთა შემთხვევითი, თანაბარი და სპეციალიზაციის მიხედვით განაწილების ელექტრონული სისტემა, საქმეთა წონითი სისტემის აპრობირებული მეთოდის გამოყენებით სწორად განისაზღვროს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა, აუცილებლობის შემთხვევაში გაიზარდოს მათი რიცხვი, ხელი შეეწყოს საქმის წარმოების ეფექტიან მენეჯმენტსა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებას.

<sup>10</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ ანგარიშვალდებულების თავში, გვერდი 15, პუნქტი 4.

- მიმართულ კრიტიკაზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავებისა და კონკრეტულ საქმეებზე მედიასთან მათი ურთიერთობის შეზღუდვის საკითხებში;
- 4.3.2. შემუშავდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების შემოწმების სისტემა და მეთოდოლოგია;
  - 4.3.3. დაინერგოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ყოველწლიურად ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
  - 4.3.4. ამაღლდეს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხი<sup>11</sup> დასაბუთებულობის შემოწმების კრიტერიუმების დადგენით; გაუმჯობესდეს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების არსებული პრაქტიკა.

## II. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა

### სტრატეგიული მიმართულების განმარტება

ანგარიშვალდებული მართლმსაჯულება გულისხმობს როგორც მოსამართლისა და სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებას გადაწყვეტილებების კანონიერებაზე,<sup>12</sup> გონივრულ ვადაში საქმის წარმოებაზე, ქცევის სტანდარტებისა და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დაცვაზე, ასევე – პროცესისა და სისტემის ღიაობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფასეულობის დაცვაზე, სასამართლოსა და მოსამართლის ანგარიშვალდებულების მექანიზმების დახვეწასა და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებაზე.

### ძირითადი გამოწვევები

#### 1. სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების ხარვეზიანობა:

მოქმედი კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს მოსამართლეთა სამართლებრივ პასუხისმგებლობას სამართალწარმოების განხორციელების პროცესში კომუნიკაციის წესების დარღვევისა თუ არასამოსამართლო საქმიანობისას სხვადასხვა გადაცდომის არსებობისას. სათანადოდ არ არის დაკონკრეტებული და გამიჯნული, თუ რა მიიჩნევა მოსამართლის მხრიდან სამართლებრივ თუ დისციპლინურ დარღვევად.

<sup>11</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ ხარისხის და პროფესიონალიზმის თავში, გვერდი 18, პუნქტი 4.

<sup>12</sup> ანგარიშვალდებულების ეს განმარტება არ გულისხმობს მხოლოდ პასუხისმგებლობას (განსაკუთრებით კი, მხოლოდ პასუხისმგებლობის სახეებს). ანგარიშვალდებულება განხილულია ფართო კონტექსტში, სადაც როგორც ინდივიდუალური მოსამართლე, ისე მთლიანად სასამართლო სისტემა ანგარიშვალდებულია, საზოგადოება უზრუნველყოს სამართლიანი, დამოუკიდებელი, ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულებით.

## 2. სამოსამართლო ეთიკის წესების გაუმჯობესება:

ეთიკის წესები არ შეიცავს ზუსტ განმარტებებს ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით. საჭიროა, ეთიკის წესები დაზუსტდეს პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, რათა მოსამართლეებმა მიიღონ მაქსიმალურად სრული და მკაფიო ინფორმაცია ქცევის სტანდარტებთან მიმართებით.

## 3. დისციპლინური სამართალწარმოების ნაკლები გამჭვირვალობა და ელექტრონული საქმისწარმოების არარსებობა:

ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა უზრუნველყოფს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების გამჭვირვალობას.

## 4. სასამართლო სისტემის ნაკლები კომუნიკაცია საზოგადოებასთან:

გადასახედია კომუნიკაციის სტანდარტები სასამართლოსა და გარე მხარეებს შორის, დასახვეწია სასამართლო მოხელეების – მონაწილე მხარეებთან, სასამართლოს/მოსამართლის მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია. შესაქმნელია ეფექტური ფორმატი საზოგადოების სამართლებრივი ცოდნის ამაღლების კუთხით და ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობისათვის.

## 5. სასამართლო სისტემაში სტატისტიკის წარმოების არაერთგვაროვნება და ანალიტიკური მიმართულების თანამედროვე სტანდარტის არარსებობა:

სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრინციპი ხარვეზიანია და ერთიანი მეთოდოლოგიით ვერ ხორციელდება. არ არსებობს ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფა და ვერ ხდება სასამართლო ინსტანციებს შორის ინფორმაციის გაცვლა. სათანადოდ არ არის განვითარებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგია. სასამართლოს სტატისტიკა ნაკლებად არის მომხმარებელზე ორიენტირებული. ადმინისტრირების პროცესში სათანადოდ არ გამოიყენება სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაცია.

## 6. სასამართლოს ვებგვერდებზე ანგარიშებისა და ინფორმაციის არასრულად, არასისტემატურად და ერთიანი სტანდარტის დაუცველად გამოქვეყნება;

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისას ეფექტურად არ გამოიყენება სასამართლოს ვებგვერდები (სოციალური მედია). სისტემატურად არ ქვეყნდება სასამართლოების ანგარიშები და სხვა ინფორმაცია, რაც ართულებს დაინტერესებული პირებისთვის საერთო სასამართლოებზე ინფორმაციის მიღებასა და გაანალიზებას.

## ამოცანები და მთავარი პროგრამები

### 1. მოსამართლეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და ეთიკის ნორმების დახვეწა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად:

ამოცანა გულისხმობს საფუძვლების, სტანდარტებისა და ნორმების გადახედვას და იმ ქმედებათა სიცხადესა და განჭვრეტადობაზე ორიენტირებას, რომლებზეც მოსამართლე აგებს პასუხს.

#### 1.1. მკაფიოდ გაიმიჯნოს და უფრო ცხადი გახდეს მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სახეები და საფუძვლები. სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და დისციპლინური

პასუხისმგებლობის საფუძვლები კანონებში და/ან რეგულაციებში ჩამოყალიბდეს ისე, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ მოექცეს არასათანადო ზეწოლის ქვეშ. გადაიხედოს უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი გულგრილობის დისპოზიციები. დაიხვეწოს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა პასუხისმგებლობას სამსახურებრივი უფლების განხორციელებისას, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რა შემთხვევებში სცდება მოსამართლის ქმედება დისციპლინურ საზღვრებს. ჩამოყალიბდეს დაბალანსებული და სამართლიანი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, გადაწყვეტილების შინაარსისა თუ სამართლებრივი შეცდომისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობას. რეაგირების გარეშე არ დარჩეს მძიმე გადაცდომის ფაქტები.

1.2. დაიხვეწოს სამოსამართლო ეთიკის წესები, რათა მართლმსაჯულების განმახორციელებლებმა მიერ პროფესიული ეთიკის მკაფიოდ განსაზღვრული წესები გამოიყენონ თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სამართლიანი და ეფექტიანი სასამართლოს უფლების გათვალისწინებით. ეთიკის წესების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, დამუშავდეს ეთიკის წესების სახელმძღვანელო პრინციპები, მოწესრიგდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონისა და ეთიკის წესების ურთიერთმიმართება.

## 2. სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომებისა და სისტემაში კორუფციის პრევენცია:

განვითარდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა გადაცდომების პრევენციის მექანიზმები, სისტემა ორიენტირებული იყოს არა დასჯაზე, არამედ-გადაცდომებისა და დარღვევების წინა პირობების იდენტიფიცირებაზე, ანალიზსა და მათ აღმოფხვრაზე.

2.1. დისციპლინური გადაცდომების პრევენცია. დისციპლინური გადაცდომების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ქცევის სტანდარტების სწავლების კომპონენტი და მოსამართლეთა ინფორმირებულობისთვის პერიოდულად იმართებოდეს ტრენინგები გავრცელებულ დისციპლინურ დარღვევებსა და გადაცდომებზე. მოსამართლეთა და საქმეთა კონფიდენციალურობის დაცვით განხორციელდეს მოსამართლეების სათანადო მხარდაჭერა-კონსულტაცია ეთიკის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

2.2. შეიქმნას სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენციის სისტემური მექანიზმები.<sup>13</sup> დაინერგოს ქონებრივი დეკლარაციების წარმოების განახლებული წესი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის შესაბამისად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია, ჩატარდეს ტრენინგები/სწავლება კორუფციასთან დაკავშირებით, ანგარიშვალდებულების მექანიზმების გასაძლიერებლად.

## 3. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა:

განვითარდეს არსებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, გადაიხედოს გადაცდომების გამოვლენის გზები და დაიხვეწოს დარღვევებზე რეაგირების მექანიზმები.

<sup>13</sup> ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

გადაცდომებზე რეაგირების/პასუხისგებაში მიცემის ფორმები ჩამოყალიბდეს ისე, რომ, ერთი მხრივ, ორიენტირებული იყოს მოსამართლის ინსტიტუტის პატივისცემასა და მოსამართლეთა განვითარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ – საზოგადოებისა და განმცხადებლის ინფორმირებასა და პროცესის გამჭვირვალობაზე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

- 3.1. უზრუნველყოფილ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობა, რათა გამოირიცხოს უსაფუძვლო სახდელის დაკისრების რისკი. კანონში გაიწეროს პროცესის მიზნები, გამოირიცხოს სამართლებრივი შეცდომის (legal errors) საფუძველზე დისციპლინური პასუხისმგებლობა.<sup>14</sup>
- 3.2. ეფექტურად ამოქმედდეს „მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ინსპექტორის ინსტიტუტი, მისი დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტიების პრაქტიკაში უზრუნველყოფის გათვალისწინებით.
- 3.3. შეიქმნას სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომების გამოვლენის ქმედითი მექანიზმები. შესწავლილ იქნეს, შემუშავდეს და დაინერგოს გადაცდომების გამოვლენის ალტერნატიული გზები. ასევე, საზოგადოების ცნობიერების გასაზრდელად გააქტიურდეს ინფორმაციის გავრცელება სამოსამართლო ეთიკის წესებზე, საჩივრით მიმართვის უფლებაზე.

#### 4. საზოგადოების წინაშე სასამართლო სისტემის ღიაობის უზრუნველყოფა და ანგარიშვალდებულების აღქმის გაძლიერება:

განვითარდეს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების სახეები, ფორმები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები, საზოგადოებისთვის სისტემატურად და პროაქტიულად ინფორმაციის მიწოდებითა და ეფექტური კომუნიკაციით, რისთვისაც სასამართლომ უნდა განავითაროს ანგარიშვალდებულების სახეები.

- 4.1 დაიხვეწოს სტატისტიკური ფორმები, ანალიტიკური ანგარიშები და მათი გავრცელების მექანიზმები. სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისა და სტრუქტურისთვის უნდა არსებობდეს სტატისტიკის წარმოების ერთგვაროვანი მეთოდოლოგია და შესაბამისი ელექტრონული პროგრამები. ასევე, როგორც სასამართლოებმა, ისე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ განსაზღვრონ და დაინერგონ ანალიტიკური დოკუმენტების მომზადების და გამოქვეყნების წესი. ამ კონტექსტში დასახვეწი და გადასახედია საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სასამართლოებში სისტემატურად გაიმართოს ტრენინგები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის, საზოგადოებისთვის ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდების მიზნით.
- 4.2. ამოქმედდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმები.<sup>15</sup> მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და სისტემაში მომუშავე თანამშრომლებისთვის შემუშავდეს სტრატეგია მხარეებთან, მედიასთან, ხელისუფლების სხვა შტოებსა და საზოგადოებასთან

<sup>14</sup> ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 3, 55 პარაგრაფის შესაბამისად.

<sup>15</sup> ასევე, იხილეთ დამოუკიდებლობა, გვერდი 11, 4.2. პუნქტი

კომუნიკაციისთვის. მედიასთან კომუნიკაციისთვის შეირჩენენ/გადამზადდნენ სპიკერ-მოსამართლეები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები. გავრცელდეს ინფორმაცია სასამართლოს ვებგვერდებისა და სხვა საკომუნიკაციო არხებით სასამართლოსა და საბჭოს საქმიანობაზე (მათ შორის – დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შესახებ).

- 4.3. მსჯელობის საგანი გახდეს კვლევები, რომლებიც საზოგადოების ნდობას აფასებს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის თაობაზე. ამასთან, ჩატარდეს სისტემის შიდა კვლევები, რომლებიც გამოავლენს სასამართლოს ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნას რეაგირების პოლიტიკა/სტრატეგია.

### III. ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების არსებით ასპექტს ხარისხიანი მართლმსაჯულება წარმოადგენს. მართლმსაჯულების ხარისხი, ფართო გაგებით, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხთან ერთად მოიცავს სასამართლო მომსახურებასა და სხვა ასპექტებს, რომლებიც რელევანტურია მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს სისტემაში მომუშავე მოხელეების კომპეტენცია და პროფესიონალიზმი, რომელიც მიიღწევა მაღალი პოტენციალის, ანდა კვალიფიკაციის მქონე პირების მოზიდვით, მათი მოტივაციისა და კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლებით. ამასთან, მნიშვნელოვანია სამართალწარმოების ხარისხის გაზომვისა და შეფასების ინსტრუმენტების მუდმივი განვითარება.

#### ძირითადი გამოწვევები

##### 1. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება:

სისტემატური ზრუნვა მოსამართლეთა პროფესიულ ზრდასა და უწყვეტ განვითარებაზე, ასევე სასამართლოს მოხელეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე.

##### 2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ინდივიდუალური შეფასების სისტემის დანერგვა:<sup>16</sup>

დასაწერგია ინდივიდუალური მოსამართლის შესაძლებლობებისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ოდენობის შეფასების სისტემა. საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის ამოქმედებასთან ერთად სასამართლო მოხელეთა საქმიანობის ხარისხისა და დაწინაურების სისტემა არ არის განვითარებული.

##### 3. გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი:<sup>17</sup>

გადაწყვეტილების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეფექტურად არ გამოიყენება უზენაესი, საკონსტიტუციო თუ საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების პრაქტიკა.

<sup>16</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #17.

<sup>17</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #11 – სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ; გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიური (UNODC) რეკომენდაციები, მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის და შესაძლებლობების გაძლიერება, გაეროს ოფისი, ნიუ იორკი, 2011 (Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity).

## ამოცანები და ძირითადი პროგრამები

### 1. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და შერჩევა:

ამოცანა მიზნად ისახავს აქტივობებს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის, პოზიციებზე სწორად შერჩევისა და მათი მუდმივი გადამზადების მიზნით.

1.1. შეიქმნას წინაპირობები სასამართლო სისტემაში საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად და მაღალკვალიფიციური კადრების მოტივაციის ასამაღლებლად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი უზურნველყოფილი იყოს ადეკვატური სტიპენდიით, გაუმჯობესდეს სკოლაში სასწავლო პროცესი და შეიქმნას მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სია.

1.2. პოპულარიზაცია გაეწიოს მოსამართლისა და სასამართლო მოხელის პროფესიას სტუდენტთაგან-გაზრდობაში. მოსამართლის პროფესიის პოპულარიზაციისათვის პერიოდულად განხორციელდეს საინფორმაციო და სხვა სახის აქტივობები უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა აკადემიურ წრეებში, სამართლისმცოდნეობის ასოციაციებში, ლექციების, სემინარებისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

### 2. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საწყისი მომზადებისა და განგრძობადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება:

ამოცანა გულისხმობს საწყის მომზადებას და განგრძობადი გადამზადების/სწავლების ჩათვლით საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურად განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა პროფესიონალიზმის ზრდას. მოსამართლეთა უვადო გამწესება და შეფასების სისტემის დამკვიდრება განაპირობებს სწავლებისა და განგრძობადი განათლების სავალდებულობას.

2.1. გაუმჯობესდეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელების მიღების პროცესი, რისთვისაც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა და სხვა მოსამზადებელი პროცესები განვითარდეს იმ გამოწვევების გათვალისწინებით, როგორცაა 3-წლიანი საგამოცდო ვადის გაუქმება და მოსამართლეთა უვადოდ გამწესება. გაიზარდოს მსმენელთა სწავლების ვადა და დაიხვეწოს სწავლების მეთოდები. შემუშავდეს და დაინერგოს საღამოს სწავლების ეფექტური პროგრამა.<sup>18</sup>

2.2. გაუმჯობესდეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა სწავლების პროცესი, სწავლების ხანგრძლივობის ვადის გაზრდის საჭიროების გათვალისწინებით. აღნიშნულის მისაღწევად განხორციელდეს სკოლაში სწავლების პროცესის და სასამართლოში სტაჟირების მონიტორინგი, მომზადდეს შესაბამისი ანალიზი და კვლევები. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა.

2.3. დაიხვეწოს მოსამართლეობისთვის განგრძობადი სწავლების/გადამზადების სისტემა. – შემუშავდეს და დაინერგოს მოსამართლეთა სავალდებულო გადამზადების სისტემა, შემოღებულ იქნეს წლის განმავლობაში სავალდებულო სწავლების საათები, გამოყენებულ იქნეს კონკრეტული კურსის საჭიროების გამოთვლისა და მისი შეფასების მექანიზმები.

<sup>18</sup> „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლის 8 თებერვლის ცვლილებების თანახმად.



2.4. უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სისტემის მოხელეებისა და სხვა თანამშრომლებისათვის გადამზადების, ცოდნისა და უნარების მუდმივი განვითარება. დამუშავდეს თანამშრომელთა გადამზადების ალტერნატიული პოგრამები.

2.5. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეთა და მოწვეული სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაცია სწავლების ხარისხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად – კვალიფიციური კადრის ბაზაზე დაინერგოს სწავლების თანამედროვე/ინოვაციური და ინტერაქტიული მიდგომები. აღნიშნული ამოცანების უზრუნველსაყოფად სკოლა გაძლიერდეს ინსტიტუციური თვალსაზრისით.

**3. მოსამართლეების, სასამართლო მოხელეთა, სხვა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება და მათი მოტივაციის უზრუნველყოფა:**

დაინერგოს და ამოქმედდეს შეფასების ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება სასამართლო მოხელეთა და სხვა თანამშრომელთა განვითარების საჭიროებების გამოვლენაზე, მათთვის ღირებული უკუკავშირის მიცემაზე, მათ წახალისებასა და მოტივაციის ამაღლებაზე.

3.1. დაინერგოს მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემა. განვითარდეს მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც მოსამართლეთა საქმიანობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას მოახდენს და განსაზღვრავს მოსამართლეთა დაწინაურების საფუძვლებს (წოდებრივი წახალისება). შეფასების შედეგები აისახება მოსამართლეთა კარიერულ წინსვლაზე, რაც უფრო გაზრდის შეფასების პროცესის მნიშვნელობას და ეფექტურობას. შეფასების პერიოდულობა, კრიტერიუმები და ფორმები უნდა იყოს მაქსიმალურად დახვეწილი, ობტინალური და ამომწურავი, აღნიშნულის თაობაზე ამომწურავად იყოს ინფორმირებული სასამართლო კორპუსი.

3.2. ამოქმედდეს სისტემის მოხელეების და სხვა თანამშრომელთათვის შეფასების სისტემა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფილ იყოს სასამართლოს მოხელეთა რანგირება, სერტიფიცირება და მოხელის კარიერული განვითარება, წინსვლასა და დამსახურებაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

**4. სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის ინდიკატორებისა და სტანდარტების განვითარება:**

ამოცანა გულისხმობს სასამართლო სისტემის ხარისხის გაზომვის პარამეტრებისა და ინდიკატორების შემდგომ განვითარებასა და დანერგვას, განსაკუთრებით ხარისხის გაზომვის ისეთი კომპონენტების დახვეწას, როგორებიცაა: სამართალწარმოების ხანგრძლივობა და გადაწყვეტილებების ხარისხი, სასამართლო მომსახურების მიწოდება და მომხმარებელთა კმაყოფილება. ამის თანმდევად, მნიშვნელოვანია, ვითარდებოდეს და ინერგებოდეს საქმიანობის ხარისხის სტანდარტები.

4.1. განვითარდეს ხარისხის გაზომვის ინდიკატორები. შემუშავდეს ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურისა და მომსახურების როგორც შიდა (თანამშრომლები), ასევე გარე (მომხმარებლები) მომხმარებელთა ხარისხის გაზომვის ინდიკატორები.<sup>19</sup>

<sup>19</sup> CEPEJ-ის მიერ მიღებული დოკუმენტის „მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვის“ მიხედვით უნდა გაიზომოს შემდეგი კომპონენტები: (1) პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, (2) სასამართლო მომსახურების მიწოდება, (3) მომხმარებელთა კმაყოფილება – CEPEJ (2016) 12 მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვა.

4.2. დაინერგოს/განვითარდეს ხარისხის სტანდარტები და მუდმივად განახლდეს გადაწყვეტილებისა და სხვა საპროცესო დოკუმენტების ხარისხი, კერძოდ: შემუშავდეს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგია და კრიტერიუმები, შეიქმნას ერთიანი საქმისწარმოების სტანდარტი (ბრძანებების, სხვა დოკუმენტების უნიფიცირება, საქმის წარმოების ვადები, პროგრამა) და სახელმძღვანელო პრინციპები სამოსამართლო უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების (განსაკუთრებით დატვირთული მოსამართლეებისათვის) და მოსამართლეთათვის სტრესის მართვის თაობაზე.

4.3. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების მექანიზმის დახვეწა. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ერთ-ერთ წინაპირობას ერთგვაროვანი პრაქტიკის განვითარება და მისი შემდგომი დანერგვა წარმოადგენს. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების გარდა, გააქტიურდეს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, დამუშავება და რაც შეიძლება ეფექტური ფორმით მიწოდება მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისთვის. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გასაძლიერებელია ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის სამუშაოები, მოსამართლეთათვის პერიოდული სემინარების, ლექციებისა და შეხვედრების სახით. ასევე, გასამართლებელია სასამართლო პრაქტიკის მოძიების მეთოდები. საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისათვის ყველა დონეზე.

#### IV. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის ხარისხთან ერთად, სისტემის ეფექტიანობა მართლმსაჯულების უმთავრესი კომპონენტია, რომელიც ასახვას სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში ჰპოვებს.<sup>20</sup> გარდა ამისა, ეფექტიან მართლმსაჯულებაზე აღნიშნულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომლის მე-8 მუხლის მიხედვით: „ყველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისაგან.“ ეფექტიანობა თავისთავად არ არის მიზანი, იგი უფრო საშუალებაა ხარისხიანი სასამართლო სისტემის შესაქმნელად და სამართლის უზენაესობის განსამტკიცებლად.

<sup>20</sup> მათგან, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა გამოსაყოფი, რომლის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ეფექტიან მართლმსაჯულებას შეეხება: „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

## ძირითადი გამოწვევები

- 1. სასამართლოში მომართვიანობის ზრდა და სამუშაოს შესრულების ხარისხის გაზომვის სუსტი სისტემა:**  
ბოლო ათწლეულის განმავლობაში სისტემატურად იზრდება სასამართლოში მომართვიანობა, განსაკუთრებით-სამოქალაქო საქმეების მიმართულებით,<sup>21</sup> რაც სასამართლოს მხრიდან ეფექტურ რეაგირებასა და სისტემაში სათანადო ცვლილებებს საჭიროებს. მოსამართლეთა<sup>22</sup> და სასამართლო მოხელეთა რაოდენობა არასაკმარისია ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულების მისაღწევად, რაც განაპირობებს სასამართლოში ნაშთად დარჩენილ მრავალ საქმეს, საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დარღვევას, გადაწყვეტილების მომზადების ვადების დარღვევას, გადაწყვეტილებათა არასათანადო დასაბუთებას და ა.შ.
- 2. საქმეთა განაწილებისა და მართვის ნაკლებად ეფექტური მოდელი:<sup>23</sup>**  
საქმეების განაწილებისა და მართვის აღნიშნული მოდელი<sup>24</sup> ხარვეზიანია და ვერ ითვალისწინებს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა თანაბარ და გონივრულ დატვირთვას. აღნიშნული შეიცავს დამოუკიდებლობის ხელის შეშლელ საფრთხეებს. საქმეთა მართვის დღევანდელი სისტემა მოქმედებს სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობაზე<sup>25</sup> და ხელს უშლის როგორც მოსამართლეთა, ისე მთლიანად სისტემის პროდუქტიულობას.
- 3. სასამართლო სისტემაში მართვის/მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ეფექტურობის ნაკლებობა:<sup>26</sup>**  
სასამართლოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მენეჯმენტის არასათანადოდ განვითარებული სიმძლავრეები, რომელიც არ არის პირველი მნიშვნელობის პრიორიტეტი, სათანადოდ ვერ ეხმარება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სასამართლოებს ეფექტურად ფუნქციონირებაში. საერთო სასამართლოებსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადასახედია მართვისა და ადმინისტრირების რიგი მიმართულებები.
- 4. ელექტრონული საქმისწარმოების ხარვეზები და ინტეგრაციის ნაკლებობა:**  
საერთო სასამართლოებში მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა მოძველებული სერვერული ინფრასტრუქტურით განახლების პროცესშია, რაც ვერ უზრუნველყოფს პროცესის მწარმოებელთა და მონაწილეთა ეფექტურ ინტეგრირებას.

<sup>21</sup> კერძოდ: 2016 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული საქმეების რაოდენობა 2005 წელთან შედარებით სამჯერ, ხოლო 2010 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა.

<sup>22</sup> 2016 წლის მონაცემებით საერთო სასამართლოებში, უზენაესი სასამართლოს გამოკლებით, 280 მოსამართლე იყო, ხოლო შტატების რაოდენობა გაზრდილია და 319-ს უტოლდება.

<sup>23</sup> გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) რეკომენდაციები მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის და შესაძლებლობების გაძლიერება, გაეროს ოფისი, ნიუ იორკი, 2011 (Resource Guide on Strengthening Judicial Integrity and Capacity).

<sup>24</sup> საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა შორის საქმეები რიგითობის წესით ნაწილდება. მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილების მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში - მომდევნო ასოს მიხედვით.

<sup>25</sup> მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ერთ სასამართლოში ერთი და იმავე სპეციალიზაციის მოსამართლეები არათანაბრად არიან დატვირთული.

<sup>26</sup> ევროპული სასამართლო სისტემების ადმინისტრირება და მენეჯმენტი - CEPEJ Studies No. 10 <[http://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/series/Etudes10Admin\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/cooperation/cepej/series/Etudes10Admin_en.pdf)>;

CCJE – დასკვნა #6 - სასამართლოს ადმინისტრირება, მოსამართლის საქმიანობის მხარდაჭერა, არასამოსამართლო ფუნქციები<[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE\(2004\)](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=CCJE(2004))>

## 5. სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე:

სასამართლოს პრიორიტეტების შესაბამისად, პერმანენტულად განსაახლებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასამართლოებში სასამართლო სხდომის დარბაზები და მოსაცდელი სივრცეები მცირეა. საქმეთა მზარდი ნაკადის პირობებში პრობლემას წარმოადგენს სასამართლო პროცესების ხშირი გადადება, რაც ართულებს მხარეთა მონაწილეობით დადგენილი სასამართლო სხდომების გრაფიკების დაცვას და საბოლოოდ, აჭიანურებს სამართალწარმოების ვადებს.

### ამოცანები და ძირითადი პროგრამები

#### 1. სასამართლოების, მოსამართლეების, სასამართლო მოხელეებისა და სისტემის თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობისა და გონივრული დატვირთულობის უზრუნველყოფა:

ამოცანა გულისხმობს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეთა რაოდენობის ოპტიმიზაციას იმგვარად, რომ ისინი ახერხებდნენ დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების გონივრულ ვადაში შესრულებას, საქმიანობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით. პერიოდულად გაანალიზდეს მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა დატვირთვა და საჭიროებისამებრ განხორციელდეს მათი რაოდენობის რაციონალიზაცია.

1.1. შემუშავდეს საქმეთა მოცულობის შეფასების სისტემა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა/გაზრდა კონკრეტულ სასამართლოებში. ასევე შემუშავდეს სასამართლოების, მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი.<sup>27</sup>

1.2. ამოქმედდეს საქმეთა განაწილებისა და მართვის ეფექტური ელექტრონული სისტემა, რათა ამალდეს პროდუქტიულობა და მოსამართლის რესურსი გამოყენებულ იქნეს ეფექტურად. დადგინდეს ერთ მოსამართლეზე გასანაწილებელ საქმეთა გონივრული რაოდენობა, საქმის კატეგორიის და სირთულისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

#### 2. საპროცესო ვადების ოპტიმიზაცია და ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირება:

ამოცანა გულისხმობს სასამართლოში იმ სამართალწარმოების პროცესის ვადებთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა, აფერხებდეს სისტემის ეფექტიანობასა და პროცესის ოპტიმიზაციას მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. აღნიშნული გულისხმობს სასამართლოში საქმეთა გაჭიანურების პოლიტიკისა და დაგროვილი საქმეების შესამცირებლად ახალი მიდგომების შემუშავებას.

2.1. სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის განვითარება – გადაიხედოს სასამართლოთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმები და გაუმჯობესდეს მათი

<sup>27</sup> აუცილებელია „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული საქმეთა განაწილების ელექტრონული პრინციპის ეფექტური ამოქმედება მთელ სისტემაში, რომლის მიხედვითაც, საქმეები განაწილდება ავტომატურად, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ამისთვის მნიშვნელოვანი იქნება შესაბამის სასამართლო მოხელეთა გადამზადება და რუსთავის საქალაქო სასამართლოში ელექტრონული განაწილების სისტემის საპილოტე პროგრამის ეფექტური ამოქმედება.

ეფექტიანობის შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტი.<sup>28</sup> ასევე, დაიხვეწოს სასამართლოების ეფექტიანობის შეფასების სტატისტიკური და ანალიტიკური ანგარიშები.<sup>29</sup>

- 2.2. საქმის წარმოების პროცესის სრულყოფისათვის გადაიხედოს და გამოვლინდეს მათი გაუმჯობესების, ოპტიმიზაციის შესაძლებლობები და საჭიროებები, შემდგომი დახვეწის მიზნით.
- 2.3. გაანალიზდეს საქმეთა გაჭიანურებისა და გადატვირთულობის პრობლემა და გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა შემუშავდეს და დაინერგოს დროის მართვის, დაყოვნების პრევენციისა და ნაშთად დარჩენილი საქმეების ეფექტიანად შემცირების პოლიტიკა.

### 3. სასამართლო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ადმინისტრირების სრულყოფა:

ამოცანა გულისხმობს საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განვითარებას ისე, რომ მათი ორგანიზაციული მოწყობა სრულად და სათანადოდ პასუხობდეს სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ ამოცანებს, სისტემურ დონეზე მართვისა და ადმინისტრირების სიმძლავრეების, ასევე, უნარების განვითარებას. ხელი შეუწყოს კოორდინირებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების ეფექტური გამოყენებით.

- 3.1. ეტაპობრივად განხორციელდეს ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმა საერთო სასამართლოებში, იუსტიციის საბჭოში ამოქმედდეს მენეჯმენტის დეპარტამენტი. განისაზღვროს სისტემაში მომუშავე თანამშრომლების ფუნქციები, შესწავლილ იქნეს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა ფუნქციები. გაძლიერდეს სასამართლოს კოლეგიებისა და პალატების სამდივნოების, ანალიტიკური და განზოგადების სტრუქტურული ერთეულები. იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნას კომერციული/საგადასახადო პალატები, რომელიც სპეციალიზებული იქნება ძვირად ღირებული კომერციული დავების, ასევე, საგადასახადო დავების განხილვაში. ამ და სხვა სპეციალიზებული პალატების შექმნის შემთხვევაში უნდა გაანალიზდეს სტრუქტურა და სტრუქტურული თვალსაზრისით, გატარდეს შესაბამისი ზომები.
- 3.2. ხელი შეეწყოს სასამართლო ინსტანციებს შორის შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებას მათი მთლიანობის განცდის ამაღლებისა და სისტემის ინსტიტუციური სრულყოფისათვის. განვითარდეს ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სისტემა, მოსამართლეთა და მოხელეთა შორის საკომუნიკაციო არხები, გაუმჯობესდეს რეგიონებში მოსამართლეებთან შეხვედრების ორგანიზება, უზრუნველყოფილი იყოს ინტრანეტის ფუნქციური გამართულობა.
- 3.3. დაიხვეწოს სასამართლო სისტემის შიდა ფინანსური მართვისა და ბიუჯეტირების პროცესი. გაუმჯობესდეს ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის არსებული შიდა მოდელი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შემუშავდეს და განახლდეს ბიუჯეტი სასამართლოთა აქტიური ჩართულობით. სამომავლოდ გადაიდგას ნაბიჯები ამ სფეროში დეცენტრალიზაციისკენ და განსაკუთრებით მსხვილ სასამართლოებს მიეცეთ არა მარტო ბიუჯეტის შედგენის, არამედ – განსაზღვრულ ფარგლებში, სახსრების ხარჯვის უფლებამოსილებაც.

<sup>28</sup> მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის(CEPEJ) სტანდარტებისა და ანგარიშების მიხედვით.

<sup>29</sup> მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის(CEPEJ) სასამართლო ვადების მონიტორინგის ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე.

#### 4. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება:

ამოცანა გულისხმობს სასამართლოში და სასამართლოს გარეთ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, კერძოდ, მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარებას, დაბალანსებულ ურთიერთობას დავების გადაწყვეტასა და ხსენებულ ალტერნატიულ საშუალებებს შორის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოს ხელმისაწვდომობას, სასამართლოებისა და მოსარჩევეების დროისა და ხარჯების დაზოგვას, მართლმსაჯულებით კმაყოფილებასა და სასამართლო სისტემის მოქნილობის საკითხების მოწესრიგებას, ასევე, მოსამართლეთა გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის მოგვარებას. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია:

- 4.1. ჩამოყალიბდეს მედიაციის ცენტრები მსხვილ სასამართლოებში
- 4.2. შემუშავდეს სასამართლო მედიაციის განვითარების პროგრამები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების შესაბამისად);
- 4.3. ხელი შეეწყოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების (მედიაცია, არბიტრაჟი) განვითარებას;
- 4.4. განვითარდეს და გააქტიურდეს სასამართლოს მორიგების ინსტიტუტი;
- 4.5. დაინერგოს მედიაცია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებაში.

#### 5. ელექტრონული მმართველობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება:

ამოცანა გულისხმობს სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად მატერიალური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის სათანადო განვითარებას.

- 5.1. განხორციელდეს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კომპლექსური აუდიტი/შემოწმება, შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების კონცეფცია. შეფასდეს შენობების გამართულობის, დარბაზების აღჭურვის, უსაფრთხოების ნორმების დაცვის სტანდარტები;
- 5.2. განვითარდეს სასამართლო სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – მოწესრიგდეს სასამართლო შენობების იერსახე. აღნიშნულისათვის მოხდეს შენობების რეაბილიტაცია, ტექნიკური უზრუნველყოფა, სათანადო აღჭურვა, გამოიყოს საკმარისი სივრცე საქმის გაცნობის ოთახების სახით ადვოკატებისთვის. ასევე, აშენდეს ახალი სასამართლო შენობები. გაანალიზდეს, ტერიტორიულ-გეოგრაფიული დაფარვის კუთხით რამდენად ხელმისაწვდომია დღეს სასამართლო, განსაკუთრებით – მაღალმთიანი და არამჭიდროდ დასახლებული რეგიონებისთვის;
- 5.3. სასამართლო სისტემაში შემუშავდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. შესწავლილ იქნეს არსებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და გამოვლინდეს განახლების საჭიროება, ტექნიკურად გაიმართოს შიდა და გარე ქსელები უსაფრთხოებისა და სისწრაფის უზრუნველსაყოფად განთავსდეს ადეკვატური მოცულობის სერვერები და დაინერგოს საინფორმაციო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემები;
- 5.4. განხორციელდეს სასამართლო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა<sup>30</sup>. ელექტრონული საქმისწარმოების, ელექტრონული საქმეთა განაწილების სისტემის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის

<sup>30</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ სასამართლო ხელმისაწვდომობის თავში, გვერდი 27, 3 პუნქტი

მოდულის განვითარებით. ასევე, მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ფუნქციების ელექტრონული უზრუნველყოფა, როგორებიცაა: ბიუჯეტის შემუშავებისა და ფინანსური ანალიზის მოდული; ადამიანური რესურსების სისტემის მართვის ელექტრონული მოდული; ელექტრონული არქივი; სტატისტიკის მოდული; სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამა; ელექტრონული ბიბლიოთეკა და ა.შ. დაიხვეწოს სასამართლოთა ვებ-გვერდები, როგორც ვიზუალური და ფუნქციური თვალსაზრისით, ისე – შინაარსობრივად.

**6. პარტნიორ სტრუქტურებთან ურთიერთობის განვითარება:**

ამოცანა გულისხმობს ეფექტური ფორმატებისა და მიდგომების განვითარებას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან, მედიასთან, უცხოურ სასამართლოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიურ წრეებთან;

6.1. გაუმჯობესდეს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უცხოურ სასამართლოებთან, მედიასთან ურთიერთობები. შენარჩუნდეს და გააქტიურდეს რეგულარული შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დონორებთან. პარლამენტთან ურთიერთობის განვითარებისთვის შეიქმნას საპარლამენტო მდივნის ინსტიტუტი.<sup>31</sup> განისაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები.

**V. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**სტრატეგიული მიმართულების განმარტება**

სასამართლოს ხელმისაწვდომობა მოიცავს როგორც სასამართლოს ფორმალურ ხელმისაწვდომობას, ასევე-სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობასაც. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამართლებრივი, ფინანსური და ინფრასტრუქტურული ბარიერების მინიმუმამდე დაყვანა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის.

**ძირითადი გამოწვევები**

**1. საკანონმდებლო ბაზა ხარვეზიანია და ვერ უზრუნველყოფს შეჯიბრებითი სამართალწარმოების მონაწილე მხარეთა სრულყოფილ დაცვას;**

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს ხარვეზებს, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შესაბამისად სამართალწარმოების პროცესის რეალიზაციის კუთხით.

<sup>31</sup> ასევე, ინფორმაცია იხილეთ დამოუკიდებლობის თავში, გვერდი 8, 1.2.6.

**2. უფასო იურიდიული დახმარება ნაკლებად ხელმისაწვდომია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, პრობლემურია გადახდისუუნარო არასრულწლოვანი მოწმის უფასო იურიდიული დახმარება;**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გადახდისუუნარო პირების გარდა არ ითვალისწინებს არასრულწლოვანი მოწმისთვის უფასო იურიდიულ დახმარებას. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარება ვრცელდება შემლუდულ პირთა წრეზე. სამოქალაქო სამართლის საპროცესო ხარვეზიანი კანონმდებლობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსამართლის მიხედულებით ადვოკატის დანიშვნას სახელმწიფოს ხარჯზე.

**3. სასამართლოს დღევანდელი ინფრასტრუქტურა და გარემო ნაკლებად არის მორგებული მოწყვლადი პირების საჭიროებებზე;**

საერთო სასამართლოების სისტემაში დასახვეწი და გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, არასრულწლოვანთა ინტერესების შესაბამისად ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად.

**4. სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა დასახვეწია:**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტექნიკურ დონეზე ხარვეზიანია და საჭიროებს სასამართლო გადაწყვეტილებების (ყველა დონეზე) ელექტრონული ბაზის ეფექტურ ფუნქციონირებას.

**5. საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის შესახებ;**

საერთო სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოება საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს და საზოგადოების აქტიური ინფორმირებულობა სასამართლოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა;<sup>32</sup> მიზანშეწონილია საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მოხელეთა შესაბამისი გადამზადება და მათი აღჭურვა საინფორმაციო-საცნობარო მასალით.

**6. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების თაობაზე საზოგადოების ცნობიერების მუდმივად ამაღლება;**

სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების კანონმდებლობის ხშირი ცვლილების გამო, საზოგადოება განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას სამართალწარმოების პროცესში უფლებების შესახებ. არასრულყოფილი ინფორმაცია სამართალწარმოების ფორმებსა და სახეებზე, სამართალწარმოების სავარაუდო ხანგრძლივობაზე, მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, გასაჩივრების მექანიზმებზე და ასევე დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე შეივსოს სასამართლოს მიერ პერმანენტულად შექმნილი და მომხმარებლებში გავრცელებული განხორციელებული საცნობარო და შემეცნებითი პროგრამებით.

<sup>32</sup> საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი 2009 წლის 9 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად დაინერგა თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, ხოლო 2016 წლის 24 ივნისის რეფორმის შედეგად ბათუმისა და რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებშიც ამოქმედდა.



## ამოცანები და მთავარი პროგრამები

### 1. სამართლიანი სასამართლო უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის გასატარებელი ღონისძიებები

ამოცანა გულისხმობს ინიციატივებს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების თაობაზე, მათ შორის – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით, რათა დაცული იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება და უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი სამართალწარმოებაში.

- 1.1. განხორციელდეს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. გაუმჯობესდეს ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ევროპული კონვენციისა და პრაქტიკის გამოყენება;
- 1.2. განხორციელდეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრული საპროცესო რეალიზაცია კანონმდებლობაში; ამ მიმართებით გადაიხედოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა, როგორც სამართალწარმოებაში ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა, უზრუნველყოს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში გადაიხედოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების, მტკიცებულებების წარდგენის წესი და პროცესუალური ნორმები, ეფექტური სამართალწარმოებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების გაზრდის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

### 2. სასამართლოზე თანაბარი წვდომა და საჭირო სერვისები მოწყვლადი ჯგუფებისთვის;

ამოცანა გულისხმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის (არასრულწლოვნები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები, ბავშვები და ა.შ.) საჭირო სერვისების შეთავაზებას და ადაპტირებული გარემოს მოწყობას/ორგანიზებას; მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა/გაანალიზებას და შესაბამისი კვლევების ინიცირებასა, სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავებას; მოწყვლადი ჯგუფების საქმეზე სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას.

- 2.1. გასაანალიზებელია, თუ რამდენად პასუხობს სასამართლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. ამისათვის მოეწყოს/გაუმჯობესდეს შშმ პირებისთვის სასამართლოში ადაპტირებული გარემო და ტექნიკური აღჭურვილობა. უზრუნველყოფილ იქნეს სამართალწარმოების დოკუმენტებისა და საპროცესო ფორმების მათთვის გასაგებ ენაზე გამოცემა. გადასახედია საკანონმდებლო ნორმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესების გათვალისწინებით;
- 2.2. გაუმჯობესდეს სამართალწარმოება ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით და შეიქმნას შესაბამისი გარემო სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. კანონმდებლობისა და სამართალწარმოების პრაქტიკის გაანალიზების შედეგად შეიქმნას ბავშვზე

მორგებული გარემოს კონცეფცია. შემუშავდეს პროცედურები, მომზადდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა მსხვერპლი ან/და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური ტრავმისაგან დასაცავად. საერთო სასამართლოების სისტემაში პროფესიონალების ჩართულობით განისაზღვროს და დაინერგოს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვის მიმართ სათანადო სამართლებრივი მხარდაჭერისათვის სამართალწარმოების პროცესის დაწყებამდე, პროცესის დროს და პროცესის შემდეგ;

2.3 საჭიროებისამებრ გაუმჯობესდეს თარჯიმნის სერვისის სასამართლოებში და დაიგეგმოს ამ მიმართულებით ღონისძიებები;

2.4 გააქტიურდეს საერთო სასამართლოების სისტემაში გენდერული მგრძობელობა და სამართალწარმოების პროცესი ამ მიმართულებით შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტთან, რისთვისაც განხორციელდეს საჭირო ღონისძიებები, კვლევების ინიცირება და საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა/მონაწილეობა;

2.5 გაფართოვდეს უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა – შემუშავდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურთან ერთად საკანონმდებლო წინადადებები, მათ შორის –არასრულწლოვანი მოწმის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობისათვის. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე მოსამართლეების მიხედულებითა და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით გაეწიოთ მათ უფასო იურიდიული დახმარება.

### **3. გაუმჯობესდეს სასამართლოში მომსახურება სისწრაფის, კომფორტისა და ინოვაციურობის უზრუნველსაყოფად;**

ამოცანა გულისხმობს სასამართლო მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას მომხმარებლებისთვის, სასამართლო სერვისებით სარგებლობისას მაქსიმალური სიმარტივისა და კომფორტის შექმნით.

3.1. შეიქმნას მომხმარებელზე ორიენტირებული სასამართლო მომსახურების სამოქმედო გეგმა და დაეფუძნოს კერძო სექტორის პრაქტიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს. ერთიანი ქოლცენტრის მეშვეობით განვითარდეს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი და მარტივი მომსახურება. შეიქმნას მედიაცენტრი, რომელიც აღიჭურვება მომსახურებისთვის საჭირო ყველა რესურსით. აღნიშნულის შესაბამისად ჩამოყალიბდეს სასამართლოს მისაღების კონცეფცია მომსახურების ერთიანი სტანდარტითა და პრინციპებით. განვითარდეს ღიაობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლოს მისაღების იერსახე;

3.2. დაინერგოს სასამართლოებში მომხმარებელზე ორიენტირებული ინოვაციური სერვისები. საერთო სასამართლოების სისტემაში განვითარდეს საინფორმაციო ტექნოლოგიები. სამართალწარმოების პროცესების ელექტრონული ინიცირების სისტემის შექმნისთვის, საპროცესო დოკუმენტების დისტანციურად აღძვრისთვის, გადახდის უზნარობის საქმეებზე ელექტრონული სამართალწარმოების პროცედურების შექმნისა და სხდომებზე წინასწარ დასწრებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის ასევე ბაჟის ელექტრონულად გამოთვლისა და, სააღსრულებლო ფურცლის გაცემის პროცესის გამარტივებისთვის შეიქმნას ელექტრონული პროცედურა და ა.შ.

**4. უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების მუდმივი ამაღლება სასამართლოს საქმიანობაზე;**

ამოცანა გულისხმობს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სამართალწარმოების ვადების, ხარჯებისა და სხვა საჭირო საკითხებზე მარტივი და გასაგები ფორმით.

პროცესის საქვეყნობის პრინციპისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასამართლოს, გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონული ფორმით.

4.1 გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება სასამართლოს საქმიანობაზე – საზოგადოებას პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მუშაობაზე, სამართალწარმოების წესებსა და სხვა პროცედურებზე მოკლე, გასაგები ფორმით. მომზადდეს მოქალაქეებისთვის სპეციალური გზამკვლევები, განხორციელდეს საგანმანათლებლო აქტივობები სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის, მოხდეს საზოგადოების ინფორმირება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ.

4.2 გაიზარდოს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა. დასახვეწია სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა. საჭიროა გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საძიებო სისტემების შექმნა. გასაძლიერებელია სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მიმართულება და ამ საქმიანობის პოპულარიზაცია.

4.3. განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხარდამჭერი ღონისძიებები – გატარდეს ღონისძიებები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნდობის გასაზრდელად, გაგრძელდეს მოსამართლეებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, პრაქტიკული სახელმძღვანელოების დამუშავებითა და მსგავსი პრაქტიკის მქონე ქვეყნებში სასწავლო ვიზიტების ორგანიზებით.

**სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი**

**მიზანი:**

სასამართლო სისტემის სტრატეგიის განხორციელების ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების ობიექტური, დროული და ზუსტი შეფასება, რათა სასამართლომ შეძლოს სტრატეგიის მაღალხარისხოვნად შესრულება.

**ამოცანები:**

1. სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
2. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება;
3. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მუდმივი დახვეწა-განახლება.

**სტრატეგიის განხორციელების მიდგომა – სამოქმედო გეგმა**

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება სტრატეგიულ ამოცანებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ და დროულ გადაჭრას. სამოქმედო გეგმაში ასახულია მსხვილი პროგრამები, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია შედარებით მცირე მოქმედებებად. მოქმედებები გაწერილია ვადებში, დადგენილია საჭირო რესურსები და შესრულებაზე პასუხისმგებელი და თანაპასუხისმგებელი ორგანოები. ასევე, თითოეულ მოქმედებაზე გაწერილია შედეგისა და გავლენის ინდიკატორები. ინდიკატორების საშუალებით ფასდება და იზომება შესრულების ეფექტი და შედეგი.

## განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი რგოლები

გეგმების მონიტორინგის, შესრულების შეფასებისა და განახლების პროცესი საჭიროებს ჩართული ორგანიზაციების მჭიდრო კოორდინაციასა და კომუნიკაციას. სტრატეგიის განხორციელების პროცესში მონაწილეობენ პასუხისმგებელი უწყებები ან პირები, სტრატეგიული კომიტეტი, კომიტეტის სამდივნო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საბჭოს ის წევრები, რომლებიც არიან პასუხისმგებელი სტრატეგიულ მიმართულებებზე. ყველა ჩართულ მხარეს კოორდინაციას უწევს სტრატეგიული კომიტეტის სამდივნო.

კომიტეტის სამდივნო არის მაორგანიზებელი ორგანო, რომელიც ტექნიკურ, ინფორმაციულ მხარდაჭერას უწევს ჩართულ მხარეებს, გეგმავს და აწყობს შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და განხილვებს.

საბჭოს წევრები/სტრატეგიულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირები ანალიზებენ საკუთარი მიმართულებით გეგმის შესრულებას და ახდენენ ცვლილებების ინიცირებას.

უმაღლესი საბჭო ამტკიცებს პროექტებსა და გეგმის ცვლილებებს და ისმენს ანგარიშებს.

სტრატეგიული კომიტეტი გენერალურად აჯამებს შედეგებს და გეგმავს შემდგომ სამუშაოს.

## მონიტორინგისა და შეფასების პროცესი

### სტრატეგიის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

პასუხისმგებელი ორგანოები	6 თვეში ერთხელ	ანგარიშების მომზადება
კომიტეტის სამდივნო	6 თვეში ერთხელ	ანგარიშების მოგროვება პასუხისმგებელი ორგანოებიდან გეგმის შესრულებაზე
		ანგარიშების კონსოლიდირება და გაგზავნა ამოცანების მიხედვით სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელებთან
საბჭოს წევრი / სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელი	6 თვის თავზე და წლის ბოლოს	ანგარიშების პრეზენტაციების ფორმატში მომზადება და გაგზავნა სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელებთან: გეგმების განახლება ტექნიკურად: საბჭოზე და სტრატეგიულ კომიტეტში პრეზენტაციების ჩატარების დაგეგმვა და ორგანიზება
	6 თვეში ერთხელ	ანგარიშების ანალიზი და შეფერხებებსა და პრობლემურ აქტივობებზე რეაგირების გზების შემუშავება
		ანგარიშის პრეზენტაცია საბჭოსთან
		საჭიროების შემთხვევაში გეგმის ცვლილების ინიცირება საბჭოსთან / კომიტეტთან
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6 თვის შემდეგ	ანგარიშების პრეზენტაციების მოსმენა
		პროექტების დამტკიცება
		გეგმების ცვლილებების დამტკიცება
სტრატეგიული კომიტეტი	წელიწადში ერთხელ (ზაფხულში)	შესრულებული აქტივობების პრეზენტაციების მოსმენა და შემდგომ მოქმედებებზე შეთანხმება

ნ თვეში ერთხელ პასუხისმგებელი ორგანოები ამზადებენ ანგარიშებს დაკისრებული მოქმედებების შესრულების შესახებ. ანგარიშებს აგროვებს კომიტეტის სამდივნო და პრეზენტაციების ფორმატში ამზადებს სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად. პრეზენტაციები ეგზავნებათ სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელებს / საბჭოს წევრებს, რომლებიც აანალიზებენ მათ და გამოავლენენ პრობლემურ საკითხებსა და ახალ შესაძლებლობებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავენ ინიციატივებს გეგმების ცვლილებაზე. სტრატეგიული მიმართულების ხელმძღვანელები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აწყობენ ნ თვის ანგარიშების პრეზენტაციებს. საბჭო ისმენს და იღებს გადაწყვეტილებას გეგმის ცვლილებაზე და პროექტების დამტკიცებაზე. წელიწადში ერთხელ იწვევენ სტრატეგიულ კომიტეტს და იხილავენ წლის შედეგებს, აწყობენ პრეზენტაციებს და გეგმავენ შემდგომ ნაბიჯებს.

### **ანგარიშის ტიპები**

სტრატეგიის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოიყენება სამი ტიპის ანგარიში:

#### **1. პროგრესის შესახებ ანგარიში**

პროგრესის შესახებ ანგარიშს ამზადებენ პასუხისმგებელი ორგანოები. ანგარიშში ასახულია პასუხისმგებელი ორგანოს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. პროგრესის შესახებ ანგარიში მზადდება ყოველ ნ თვეში ერთხელ.

#### **2. მონიტორინგის ანგარიში**

მონიტორინგის ანგარიშს ყოველი წლის ბოლოს ამზადებს სტრატეგიული კომიტეტის სამდივნო და წარუდგენს სტრატეგიულ კომიტეტს დასამტკიცებლად. ანგარიშში აისახება პასუხისმგებელი უწყების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესი და მიღწეული შედეგები. ანგარიშს საფუძვლად დაედება პასუხისმგებელი უწყებების მიერ კომიტეტის სამდივნოსთვის ყოველ ნ თვეში ერთხელ მიწოდებული ანგარიში განხორციელებული ღონისძიების შესახებ.

#### **3. შეფასების ანგარიში**

ანგარიში მიზნად ისახავს ორი საანგარიშო წლის განმავლობაში პასუხისმგებელი უწყებების მიერ განსაზღვრული ღონისძიებების საშუალებით მიღწეული შედეგებისა და მათი ეფექტიანობის შეფასებას. შეფასების ანგარიშს ორი საანგარიშო წლის ბოლოს ამზადებს კომიტეტის სამდივნო და წარუდგენს სტრატეგიულ კომიტეტს.

**დანართი 1**  
**წინარე ისტორია**  
**(წინა პერიოდისა და რეფორმების გავლენა დღევანდელობაზე)**

საქართველოს კონსტიტუციის პირვანდელი<sup>33</sup> რედაქციის მიხედვით, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდებოდა საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების მეშვეობით. 1997-2000 წლებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსი და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსი.<sup>34</sup>

1997 წლის 13 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი პროცესი საპარლამენტო კომიტეტში, იუსტიციის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოში გამართულ თათბირებზე, მათ შორის-საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართული შეხვედრები საერთო სასამართლოების სისტემის ორგანიზაციული მოწყობის თაობაზე.<sup>35</sup>

1999 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ რომელიც 2009 წლის 4 დეკემბრამდე მოქმედებდა და შემდგომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდა/ გაერთიანდა. კანონის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა<sup>36</sup> შედგებოდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, საოლქო სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან. აგრეთვე, დასაშვები იყო სამხედრო სასამართლოს შემოღება საომარ პირობებში, მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, შექმნა და სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრებოდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ხოლო საოლქო სასამართლოს შექმნასა და მის სამოქმედო ტერიტორიას საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებდა ბრძანებულებით. საოლქო სასამართლო ასევე წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს კოლეგიური წესით, სამი მოსამართლის შემადგენლობით და განიხილავდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმეებს.<sup>37</sup> თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებთან ერთად, მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებას ახორციელებდნენ. ბოლო ინსტანცია საქართველოს უზენაესი სასამართლო გახლდათ, რომელიც ზედამხედველობდა საერთო სასამართლოების სისტემაში მართლმსაჯულების განხორციელებას. ასევე, უზენაესი სასამართლოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს

<sup>33</sup> 1995 წლის 24 აგვისტო.

<sup>34</sup> 2000 წლის 1 ივნისიდან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ამოქმედდა, 1999 წლის 15 მაისიდან-სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისიდან-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო 1997 წლის 14 ნოემბრიდან-საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ოდნავ მოგვიანებით, 2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, ისევე, როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, „მართლმსაჯულების მაცნე“, #3, 1997 წელი, გვერდი 4.

<sup>36</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის კანონი წარმოადგენდა მთავარ დოკუმენტს მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაციული მოწყობის თაობაზე.

<sup>37</sup> განიხილავდა საქმეებს ეკონომიკურ (სამეურნეო) საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (იურიდიულ პირებს) შორის, თუ სარჩელის ფასი აღემატებოდა 100 000 ლარს, ისევე, როგორც სახელმწიფო სასამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს და საავტოროსამართლებრივი ურთიერთობიდან, სამრეწველო საკუთრებიდან გამომდინარე დავებს.

პარლამენტი უფლებამოსილი იყო, დაეწყო საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების პროცედურები. დამატებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მის განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავდა კოლეგიურად, ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.<sup>38</sup>

მოგვიანებით, ცვლილებები შეეხო საოლქო სასამართლოს და მისი იურისდიქცია გაფართოვდა, იგი უკვე სააპელაციო წესით იხილავდა საჩივრებს,<sup>39</sup> თუმცა, საბოლოოდ,<sup>40</sup> მოხდა მათი ლიკვიდაცია და დღეის მდგომარეობით, რაიონული/საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები ქმნიან საერთო სასამართლოების სისტემას. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით რაიონულ/საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა სპეციალიზაცია განისაზღვრა.<sup>41</sup>

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით დაფუძნდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც განიხილავდა სასამართლო რეფორმის წინადადებების შემუშავებისა და განხორციელების საკითხებს, არჩევდა და წარადგენდა მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურებს, ათავისუფლებდა მოსამართლეებს თანამდებობიდან, ორგანიზებას უწევდა საკვალიფიკაციო გამოცდებს, ასრულებდა კანონით დადგენილ სხვა ამოცანებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი.<sup>42</sup> მოგვიანებით, საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა და მისი შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრა (8-მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლე წევრი, 3-პარლამენტის, ხოლო 2-პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და თანამდებობრივად-საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე).<sup>43</sup>

ამასთან, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანო, მოსამართლეთა კონფერენცია ჩამოყალიბდა და განისაზღვრა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა.<sup>44</sup> საერთო სასამართლოებში (გარდა უზენაესი სასამართლოსი) მატერიალურ-ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ამჟამად-საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. დეპარტამენტი განკარგავს ფინანსებს სასამართლოების საქმიანობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად.<sup>45</sup>

მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად, ღია კონკურსის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩეულ კანდიდატებს წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 10 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავდა საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევდა საქართველოს პარლამენტი.

<sup>38</sup> 1999 წლის 16 აპრილის ცვლილებების თანახმად, რაიონულ სასამართლოში გადაინაცვლა საქმის განხილვამ, ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით, კოლეგიური წესით. მოგვიანებით გაუქმდა სამი მსაჯულის მონაწილეობით საქმის განხილვა.

<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში 1999 წლის 5 მარტის ცვლილებები.

<sup>40</sup> 2005 წლის 23 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით.

<sup>41</sup> 2004 წლის 12 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით.

<sup>42</sup> „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 1997 წლის რედაქცია; დამატებით, 2004 წლის 30 ივნისის საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა და დაზუსტდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები.

<sup>43</sup> 2007 წლის 19 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებები.

<sup>44</sup> 1999 წლის 28 მაისის საკანონმდებლო ცვლილებები.

<sup>45</sup> 2002 წლის საკანონმდებლო ცვლილებები.

მენტი. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევა ხდებოდა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგის, კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაციის, პროფესიული გამოცდილებისა და ფიზიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე. ამასთან, შერჩეული ან დანიშნული მოსამართლე თანამდებობის დაკავებამდე ვალდებული იყო, ორთვიანი სპეციალური სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად გაეგლო. მოგვიანებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრი სამოსამართლო სწავლების ცენტრად ჩამოყალიბდა. 2005 წლის 28 დეკემბერს ძალაში შევიდა კანონი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ შესახებ, რომელმაც დამოუკიდებელ, ცალკე დაწესებულებად ჩამოაყალიბა იუსტიციის უმაღლესი სკოლა და საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლედ დასანიშნი პირის – იუსტიციის მსმენელის პროფესიულ მომზადებას უზრუნველყოფდა.

საერთო სასამართლოების სისტემაში დისციპლინური დევნის აღძვრის უფლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს,<sup>46</sup> ასევე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს<sup>47</sup> ჰქონდა. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი საჩივრის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში<sup>48</sup> იწყებდა დისციპლინურ დევნას მოსამართლის მიმართ. დისციპლინური დევნის დაწყების შემდეგ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ აღძრულ დისციპლინურ საქმეებს განიხილავდა საქართველოს მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია 3 მოსამართლის შემადგენლობით, რომელსაც ირჩევდა მოსამართლეთა კონფერენცია 4 წლის ვადით. აღსანიშნავია, რომ 2000 წლის 15 აპრილიდან ამოქმედდა კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, რომლის შესაბამისად განისაზღვრებოდა საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველები და სამართალწარმოების წესი. კანონის მიხედვით დაბუსტდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შესაბამისი განცხადების საფუძველზე ყველა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა.

2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი, დღეს მოქმედი კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. ახალი კანონის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებით განისაზღვრა, ასევე უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა დიდი პალატა, ნაცვლად საზედამხებდევლო პალატისა,<sup>49</sup> და დაემატა სადისციპლინო პალატა, რომელიც დისციპლინური კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იხილავდა. შეიცვალა რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა დანიშვნის წესი, მოსამართლეებს კონკურსის წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავდა 10 წლის ვადით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას დაემატა 1 წევრი, რომელიც საპარლამენტო უმცირესობის ფრაქციათა მიერ იყო არჩეული.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე დაცვისა და ბრალდების მხარეების პროცესუალური უფლებების გათანაბრებას და მოსამართლის, როგორც არბიტრის, როლის განსაზღვრას გულისხმობდა, ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემაში. კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულების შემთ-

<sup>46</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლის მიმართ.

<sup>47</sup> სააპელაციო სასამართლოს ამოქმედო ტერიტორიაზე რაიონული და საოლქო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ.

<sup>48</sup> მოსამართლის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა, საქმის განხილვის, აგრეთვე სასამართლო აქტების შედგენისა და გაცემის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევა.

<sup>49</sup> დიდი პალატა განიხილავს, თუ საქმე შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).



ხვევაში, ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე საქმე, გადაეცემოდა 12 ნაფიცი მსაჯულისგან შემდგარ სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებების მიხედვით, მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ გამწესებამდე კანონით გათვალისწინებულ იქნა მოსამართლის გამწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმა გაგრძელდა ე.წ. „ტალღების“ სახელით. 2012 წლის ნოემბერში იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2013 წლის მაისში. აღსანიშნავია, რომ დასაშვები გახდა სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის ფორმირების წესი, გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებისა და, ზოგადად, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რეფორმის მეორე ეტაპზე, კონსტიტუციით განსაზღვრული შესაძლებლობის შესაბამისად, დადგინდა მოსამართლის გამწესება 3 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა თანამდებობაზე სამი წლით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბება და ამოქმედება. მნიშვნელოვანი იყო სასამართლოსთვის 2014 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი, რომელიც ასევე გულისხმობდა მართლმსაჯულების განხორციელებისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას, მათ შორის – სასამართლოში.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც დაიწყო 2016 წლის 28 დეკემბერს, ითვალისწინებს: დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სამართალწარმოების პროცედურის დახვეწას, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედებას, საქმეების შემთხვევითი ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვას, მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და მახასიათებლების კანონმდებლობით განსაზღვრას, მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას,<sup>50</sup> უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმების გაფართოებას. „მესამე ტალღის“ მიხედვით, თანამდებობაზე გამწესების 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს როგორც მოქმედ, ისე ყოფილ წევრებზე. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი<sup>51</sup> სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება 3 წლის ვადით, რომელიც მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე იყო და სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ჰქონდა.

<sup>50</sup> დეპარტამენტმა უნდა იზრუნოს სასამართლოების დატვირთულობის, საქმეთა ნაკადის მართვის, მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაზე.

<sup>51</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4<sup>1</sup> პუნქტის ნორმატიული შინაარსი.

დანართი 2

**სტრატეგიული კომიტეტის წევრებისა და სტრატეგიის შემუშავებაში  
მონაწილე პირების ჩამონათვალი<sup>52</sup>**

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	თანამდებობა
1	ნინო გვენეტაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს თავმჯდომარე
2	ლევან მურუსიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს მდივანი
3	კახაბერ სოფრომაძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	საბჭოს წევრი
უმართლობის კატეგორიის თეორიული ანალიზი საკმაოდ რთულია და წინააღმდეგობებითაა აღსავსე. მაგალითად, საკმაოდ ცნობილი გერმანელი და ქართველი კრიმინალისტები ერთი მხრივ, ამტკიცებენ, რომ მართლწინააღმდეგობა არის სამართლის ზოგადი კატეგორია, ხოლო სისხლის სამართლის სფეროში მართლწინააღმდეგობის სპეციფიკური ცნება არ არსებობს. ეს მტკიცება მეთოდოლოგიურად მცდარია. გამოდის, რომ მართლწინააღმდეგობის ზოგადი ცნება სისხლის სამართალში არ ვლინდება. **მაშასადამე, ზოგადი კერძოში არ ვლინდება!** ელემენტარული ფილოსოფიური დებულების მიხედვით კი, ზოგადი კერძოში გამოვლენის გარეშე არ არსებობს. მეორე მხრივ, ამტკიცებენ, რომ თურმე არსებობს სისხლისსამართლებრივი უმართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა, რაც იმას ადასტურებს, რომ **არსებობს სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობაც**. გარდა ამისა, როგორც შემდგომ ვნახავთ, ქმედების შემადგენლობის, როგორც ფაქტის მსჯელობიდან, მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა შეუძლებელია, ხოლო ამ **პოზიციიდან – უმართლობა პრობლემური ხდება**. არის რიგი სხვა თეორიული სიძნელეები, მაგრამ ამჯერად, უმართლობის კატეგორიას მოკლედ განვიხილავთ. მით უმეტეს, რომ ჟურნალის „სამართალი და მსოფლიო“ ფურცლებზე (2016 წლის მე-5 ნომერი) გამოქვეყნდა ჩვენი სტატია, რომელიც ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის თავისებურებას ეძღვნება დანაშაულის ე. წ. გენეზისური მოდელის მიხედვით. აქვე შენიშვნის სახით ნათქვამია, რომ ამ მიმართებით, მოსამართლეს უწევს სისხლისსამართლებრივი უმართლობის დადგენაც, მაგრამ

ამჯერად, მას ვერ შეგვხვებით და ცალკე ანალიზი სჭირდება.<sup>1</sup> უმართლობა, როგორც ეს ჩანს, საკმაოდ მრავალმხრივი და ვრცელი პრობლემაა, მაგრამ ამჯერად, მოკლედ შეგვხვებით **სისხლისსამართლებრივი უმართლობის ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხს.**

## 1. უმართლობის ტერმინოლოგიური დაზუსტების პრობლემები

ტერმინი „უმართლობა“ წარმოსდგება გერმანული „Unrecht“-დან. „Recht“ არის სამართალი, ხოლო „un“ – უარყოფითი ნაწილაკია. აქედან გამომდინარე, „Unrecht“ „ერთი მხრივ, ნიშნავს „სამართლის გარეთ“, „არასამართალს“, ხოლო მეორე მხრივ, თავისებურ შეფასებით ცნებას, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ **სუბიექტი რაღაცნაირად არაა მართალი.** მაგრამ საქმის ვითარება ასე ცალსახა არ ჩანს. მაგალითად, ქართულ ენაზე გამოცემულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში გერმანული „Unrecht“ თურმე თარგმნილია, როგორც **„უსამართლობა“**, მაშინ როცა, როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, იგი უნდა თარგმნილიყო, როგორც **უმართლობა.**<sup>2</sup>

უმართლობის სისხლისსამართლებრივი კატეგორია გულისხმობს **სისხლის სამართლის საკანონმდებლო შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელებას, როცა ამავე დროს არ არსებობენ ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი.** ამიტომ იგი ტერმინოლოგიურადაც უნდა იყოს გამართული. მაგალითად, ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის“ რუსულ თარგმანში გერმანული „Unrecht“ თარგმნილია, როგორც „неправо“, რაც მეტისმეტად სიტყვასიტყვითა და საქმის ვითარებას ზუსტად არ გამოხატავს. ხსენებული ტერმინი სწორად მიანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ უმართლობა მართლზომიერი ქმედების გამო, სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ გადადის, მაგრამ ეს ტერმინი ზუსტად ვერ გამოხატავს უმართლობის **შეფასებით** ხასიათს. შეფასებითია თვით ქმედების **მართლწინააღმდეგობაც**, მაგრამ სულ სხვაა ქმედების შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა, რადგან ამ პოზიციიდან უმართლობა, დანაშაულის ცნების ამ ორი ელემენტის მექანიკური კავშირი კი არ არის, არამედ დიალექტიკურად რომ ვთქვათ, **მოხსნილი სახით შეიცავს როგორც ქმედების შემადგენლობის, ისე მისი მართლწინააღმდეგობის ნიშნებს და ქმნის „მესამეს“, რომელიც ამიტომ კატეგორიული ბუნებისაა.** ამ თვალსაზრისით, უფრო სწორად იქცევა ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი ვ. ნერსესიანი, როცა იგი უმართლობას რუსულ ენაზე გამოთქვამს ტერმინით „неправо.“<sup>3</sup>

ამ მხრივ, უფრო რთული ვითარებაა ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიაში.“ აქ უმართლობის სამი სახეა განხილული: სამოქალაქოსამართლებრივი უმართლობა, მოტყუება და დანაშაული. ჰეგელის აზრით, თუ მე უმართლობა სამართლად მეჩვენება, ხოლო საქმის რეალური ვითარება სხვაა, მაშინ ეს უმართლობა წინასწარგანზრახული არ არის. აქ მოჩვენებითობა არსებობს არა სამართლისათვის, არამედ მხოლოდ ჩემთვის. ჰეგელის აზრით, უმართლობის მეორე სახე არის მოტყუება. ამ შემთხვევაში სამართალი ისეთია, როგორც ის არის, ხოლო მე სამართლის მოჩვენებას სხვას წარვუდგენ, როგორც სამართალს. მესამე სახე უმართლობისა, ჰეგელის მტკიცებით, არის დანაშაული. ეს არის უმართლობის ნამდვილი სახე, რადგან დანაშაულის დროს პატივს არ სცემენ სამართალს არა მარტო ისე, როგორადაც იგი მე მეჩვენება, არამედ სამართალს თავისთავად და მაშასადამე, დანაშაულში

დარღვეულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარეები.<sup>4</sup> ამ ვითარების ფონზე ძალიან საინტერესოა ჰეგელის დებულება, რომ უმართლობა არის არარა, მოჩვენებითობა, რომელსაც სამართალში საფუძველი არა აქვს, ამიტომ არაჭეშმარიტია.<sup>5</sup> თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით, დანაშაული არის სამართლის უარყოფა მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი პირი გადის სამართლის გარეთ, სადაც არანაირი სამართლებრივი შეფასება არ არსებობს. საკითხავია: თუ დანაშაულის ჩამდენი პირი გადის სამართლის გარეთ, სადაც არანაირი სამართლებრივი შეფასება არ არსებობს, მაშინ „უმართლობა“ როგორც ნეგატიურად „არამართალი,“ რანაირად არის შესაძლებელი? გარდა ამისა, ჰეგელთან დგას მეტად სადავო და გაურკვეველი პრობლემა. კერძოდ, უმართლობა სისხლის სამართლის სფეროში მიჩნეულია ბრალის გარეშე არსებულ ობიექტურ კატეგორიად იმის მიუხედავად, რომ უმართლობას ახასიათებს ისეთი სუბიექტური ელემენტი, როგორიცაა მიზანი. ჰეგელმა კი, სისხლისსამართლებრივი უმართლობა დანაშაულთან, როგორც ბრალეულ ქმედებასთან გააიგივა. ამით უმართლობას სისხლის სამართლის სფეროში დანაშაულის ცნებისაგან დამოუკიდებელი ადგილი არ რჩება. ეს კი, ჰეგელის სისხლის სამართლის ფილოსოფიის ამ ასპექტის ფრიად სერიოზული სიძნელეა.

სამწუხაროდ, უმართლობის კატეგორია არ იცოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის დოგმატიკამ. ამ მხრივ, გამონაკლისი იყო პროფ. თ. წერეთელი, ხოლო პროფ. ო. გამყრელიძემ იგი მონოგრაფიულად გამოიკვლია. უმართლობა არც თანამედროვე რუსეთის ფედერაციაშია ცნობილი. ეს იმიტომ, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის მიხედვით, **ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა ქმედების მართლწინააღმდეგობას თავის თავში მოიცავს, ცალკე არ გამოიყოფა და მაშასადამე, უმართლობის კატეგორიაც ამის გამო არ არსებობს.**

როგორც ჩანს, უმართლობა გერმანული ტრადიციაა, მაგრამ იგი შემდგომ გავრცელდა სხვა სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივ დოქტრინაშიც. მაგალითად, რევოლუციამდელი რუსეთის გამოჩენილი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი გერმანულ „Unrecht“-ს თარგმნიდა, როგორც „Неправо,“ მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ ძველი სლავური და რუსული მსოფლმხედველობით, სამართალი გაიგივებული იყო სიმართლესთან და ამის საბუთად იქვე ასახელებდა რუსული სამართლის ისეთ ცნობილ ძეგლს, როგორიცაა „Русская Правда.“<sup>6</sup> ამ პოზიციიდან უმართლობა რუსულ ენაზე უნდა ითარგმნოს, როგორც „Неправда“ და არა როგორც „Неправо,“ რადგან ტერმინი „რუსული სიმართლე“ („Русская Правда“) შეფასებითია. რაკი ტერმინი „Правда“ ნიშნავს „სიმართლეს“ ე.ი. დადებით შეფასებას გამოხატავს, ბუნებრივია, „Неправда“ როგორც „არამართალი,“ უარყოფითი შეფასების გამოხატულებად მივიჩნიოთ. ამ მხრივ, ქართული „უმართლობა,“ როგორც ჩანს, უფრო მოხერხებულია, მაგრამ რატომღაც დღემდე გაურკვეველია ამ ტერმინის ლოგიკური წანამძღვარი, თუ საიდან იღებს სათავეს შინაარსობრივად? მაგალითად, ერთ-ერთ გერმანულ წყაროში განხილულია ერთიანი უმართლობის შემადგენლობა, დასჯადობის ობიექტური პირობებისა და ბრალის გამოკლებით და აღნიშნულია, რომ „მის ძირითად ფუნქციად ყოველი კონკრეტული შემადგენლობისათვის სამართალსა და უმართლობას შორის ზღვარის გავლებაა მიჩნეული.“<sup>7</sup> ჩვენი აზრით, აქ ზღვარი სამართალსა და უმართლობას შორის ძალიან ზოგადია, მოკლებულია კონკრეტულობას. მით უმეტეს, თუ ქართული „უმართლობა“ არსებობს, მაშინ მას წინ უნდა უძლოდეს ასევე, ქართული „მართლობა.“

## 2. მართლზომიერი ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა და უსართლობის შინაარსობრივი დახასიათება

საქმე ის გახლავთ, რომ სისხლის სამართლის დოგმატიკაში სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას სათანადო ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის დოგმატიკაში როგორც წესი, ბატონობს დანაშაულის ჩადენის გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყალბი იდეა. პირიქით, დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი გაჰყავს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს მტკიცება, რომ სისხლის სამართალი აწესრიგებს ურთიერთობას დანაშაულთა თავიდან აცილების, ანუ მართლზომიერი ქმედების გამო. კერძოდ, საზოგადოების ყოველი შერაცხუნარიანი წევრი სახელმწიფოს წინაშე ვალდებული, მოქმედებდეს მართლზომიერად და როგორც პიროვნება (ზოგჯერ იურიდიული პირის ფორმაშიც), მოწოდებულია ამ ვალდებულებას მოეცილოს პასუხისმგებლობით ე.ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით.<sup>8</sup> ამ პოზიციიდან სულ სხვაგვარად აიგება დანაშაულისა და სასჯელის ცნებები, ვიდრე ეს საზოგადოდ, მიღებულია სისხლის სამართლის დოგმატიკაში. კერძოდ, თუ სუბიექტი არღვევს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, მაშინ ის მოქმედებს **მართლსაწინააღმდეგოდ**, ხოლო თუ იგი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეციდა უპასუხისმგებლოდ, მაშინ ის მოქმედებს **ბრალეულად**. რაკი დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი გაჰყავს სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ **მაშასადამე, სასჯელმა, მსჯავრდებულის პიროვნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამოღვიძებით, ყოფილი მსჯავრდებული (ცხადია, ახალ პირობებში) კვლავ სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში უნდა აღადგინოს.**<sup>9</sup>

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა ახლებურად აფუძნებს დანაშაულისა და სასჯელის მიმართების პრობლემას. სამწუხაროდ, გერმანულმა დოგმატიკამ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა არ იცის. გერმანელი კოლეგების კვალდაკვალ, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არც ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაშია ცნობილი. ამის გამო უსართლობის კატეგორიასაც **ზოგადად, სამართალსა და არასამართლს შორის ეძებენ** მაშინ, როდესაც მართლზომიერი ქმედების გამო სამართლებრივი ურთიერთობის პოზიციიდან ყველაფერი ნათელი ხდება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამართლის სუბიექტი, მისი მართლზომიერი ქმედებით, სახელმწიფოს წინაშე **მართალი**, ხოლო სამართლის სუბიექტის ამ „**მართლობიდან**“ ტერმინი „**უსართლობა**“, როცა სუბიექტი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, სავსებით ლოგიკურია. საქმე ის გახლავთ, რომ სამართალი განეკუთვნება ღირებულებითი ურთიერთობის ისეთ ფორმებს, როგორცაა მნეობა, ხელოვნება, რელიგია, პოლიტიკა და ა.შ. სამართლის ნორმა, როგორც ჯერარსული ფენომენი, სამართლებრივი ღირებულების არსებობის ფორმაა, ხოლო საზოგადოდ, ღირებულება არის ორიენტაციისა და შეფასების იდეალური საფუძველი. საკმაოდ დიდი ხნის წინათ, მაგრამ ჩვენი აზრით, მართებულად ითქვა, რომ „**ღირებულება – ეს არის მნიშვნელობა, რომელზეც დამყარებულია შეფასება. ღირებულება არაა შეფასება, არც საგანი (ან მისი თვისება), რომელიც ფასდება; ღირებულება არის სოციალურად ჩამოყალიბებული გარკვეული იდეალური საფუძველი**

**შეფასებისა და ორიენტაციისა.**<sup>10</sup> (ხაზგასმა ჩვენია – გ.ნ.) მაგალითად, სამართლის ნორმის ფორმაში გამოხატული ღირებულება არის ადამიანის ქმედების დადებითი ან უარყოფითი შეფასების საფუძველი. „მართლზომიერი“ არის ადამიანის ქმედების დადებითი შეფასება, როცა სამართლის სუბიექტი თავისი მართლზომიერი ქმედებით სამართლის ნორმის მოთხოვნას მართლწესრიგში გადართავს. „მართლსაწინააღმდეგო“ პირიქით, არის ქმედების უარყოფითი სამართლებრივი შეფასება, როცა სამართლის ნორმის მოთხოვნა მართლწესრიგში არ გადადის და ამ პოზიციიდან, მართლწესრიგი ხელყოფილი ხდება. ქმედების მართლზომიერება და მართლწინააღმდეგობა ერთმანეთს ქმედების შემადგენლობის მეშვეობით უკავშირდებიან, რაკი ეს უკანასკნელი არის არაშეფასებითი, აღწერილობითი მსჯელობა და მას პროცესუალურ სამართალში დიდი მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის დებულებას, რომ საზოგადოდ, სამართალი ღირებულებითი ცნობიერების გამოვლენაა. **ამდენად, დადებითად ან უარყოფითად ფასდება არა მხოლოდ სამართლის სუბიექტის ქმედება, არამედ თვით სამართლის სუბიექტიც ე.ი. მოქმედიც.** მაგალითად, თუ მართლზომიერი ქმედების გამო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე სუბიექტურად მინც **მართალია**, უმართლობის განხორციელებისას პირიქით, ის უკვე **ობიექტურად არაა მართალი**. გარდა ამისა, თუ სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება პასუხისმგებლობით, მაშინ ის იმსახურებს **შექებას, წახალისებას, თუმცა ამ მხრე, ეს დადებითი რეაქცია პრაქტიკულად, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ვლინდება.** მაგალითად, როცა სუბიექტმა თავისი თავდაპირველი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, – ჩაედინა დანაშაული, შეცვალა პასუხისმგებლური გადაწყვეტილებით, ნებაყოფლობით აეღო ხელი დანაშაულის ჩადენისაგან, – მაშინ პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არაა სხვა დანაშაულის ნიშნები. ბოლოს, თუ სამართლის სუბიექტი ნაცვლად იმისა, რომ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოჰკიდებოდა პასუხისმგებლობით, ის პირიქით, ამ ვალდებულებას მოეკიდა უპასუხისმგებლოდ, რის შედეგადაც ჩაიდინა დანაშაული, – მაშინ ის ფასდება, როგორც უპასუხისმგებლო სახელმწიფოს წინაშე. ეს **უპასუხისმგებლობა სუბიექტის ბრალის სინონიმაა.** ამის გამო **სასამართლო ბრალეულს გამამტყუნებელი განაჩენის ფორმით ამტყუნებს სახელმწიფოს წინაშე.** ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ სამართლის სუბიექტის (უკვე მსჯვდებულის ) ეს უპასუხისმგებლობა სასჯელმა პოზიტიურ პასუხისმგებლობად უნდა შემოაბრუნოს, რათა ყოფილი მსჯავრდებული ამიერიდან მოქმედებდეს სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, როგორც ზოგადად, ეს გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში. შესძლებს თუ არა სასჯელი ამ ფრიად აქტუალური ამოცანის აღსრულებას, – ცალკე მსჯელობის საგანია.

როგორც ჩანს, საქმე ეხება აქსიოლოგიურ, ანუ ღირებულების ფილოსოფიურ პრობლემებს, რომლებიც სპეციფიკურად ვლინდება სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის სფეროშიც. უფრო მეტიც, **სამართლებრივი ურთიერთობა მართლზომიერი ქმედების გამო არის ღირებულებითი ურთიერთობის ნაირსახეობა.** სამართლებრივ ურთიერთობას თუმცა, იდეოლოგიური ხასიათის ურთიერთობასაც უწოდებდნენ, მაგრამ რამდენადაც სამართლის აქსიოლოგიური პრობლემები ნათლად არ ჰქონდათ წარმოდგენილი, ამდენად ვერ აცნობიერებდნენ, რომ ეს „იდეოლოგიური ურთიერთობა“ ღირებულებითი ურთიერთობის სინონიმი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მართლზომიერი ქმედება



სამართლის სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის ობიექტია. ეს იმიტომ, რომ სამართლის სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება პასუხისმგებლობით ე.ი. ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი მზაობით. მეორენაირად რომ ვთქვათ, მართლზომიერ ქმედებას სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით ასრულებს, რაც ყოველი შერაცხუნარიანი პირის ღირსების საქმეა თუმცა, სასჯელის პრევენციული ფუნქციაც არაა გამორიცხული საზოგადოების ზოგიერთი მერყევი წევრის მიმართ. როგორც წესი, საზოგადოების შეგნებული ნაწილი უფრო წამყვანია და მოქმედებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. აქედან გამომდინარე, გავაკეთეთ დასკვნა, რომ სამართლის სუბიექტი, თავისი მართლზომიერი ქმედებით, სახელმწიფოს წინაშე მართალია.<sup>11</sup> უფრო მეტიც, დავემყარეთ აკად. ივ. ჯავახიშვილის იმ მტკიცებას, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ტერმინი „სამართალი“ წარმომდგარია ტერმინი „მართლიდან“,<sup>12</sup> ხოლო ილია ჭავჭავაძის მიერ გამოყენებული ტერმინიდან „მართლიერება“ გავაკეთეთ დასკვნა, რომ ქართული ტერმინი „უმართლობა“ ლოგიკურად წარმომდგარია სამართლის სუბიექტის „მართლობიდან“, რაკი იგი თავისი მართლზომიერი ქმედებით სახელმწიფოს წინაშეა მართალი.<sup>13</sup> სამართლის სუბიექტის ეს სიმართლე გარკვეულწილად, სუბიექტურია, ვიდრე სათანადოდ არ იქნება დასაბუთებული სისხლის სამართლის კანონის სიმართლე, მისი მართებულობა, მაგრამ ამ ასპექტით, სამართლის სუბიექტის ეს სუბიექტური სიმართლე საკმარისია. აქედან გამომდინარე, თუ სამართლის სუბიექტი, თავისი მართლზომიერი ქმედებით, სახელმწიფოს წინაშე სუბიექტურად მაინცაა მართალი, – უმართლობა პირიქით, როგორც სისხლის სამართლის საკანონმდებლო შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა, – ადასტურებს, რომ სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს წინაშე უკვე ობიექტურად არაა მართალი. ეს იმიტომ, რომ უმართლობა არის ისეთი ობიექტური კატეგორია, რომელიც თავის თავში ბრალს არ მოიცავს და ამიტომ ამ ეტაპზე სუბიექტის გამტყუნება შეუძლებელია. აქ, როგორც იტყვიან, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას კიდევ, რომ არსებობს გამამართლებელი განაჩენიც, როცა სასამართლო გამოძიების ეტაპზე ბრალდებულს გაამართლებს, რაკი დაამტკიცებს, რომ ბრალდებულს დანაშაული არ ჩაუდენია და იგი უნდა გამართლდეს. ბრალდებულის გამართლება სხვა არაფერია, თუ არა მისი დაბრუნება თავის საწყის სამართლებრივ მდგომარეობაში, როცა იგი როგორც სამართლის სუბიექტი, თავისი მართლზომიერი ქმედებით, სახელმწიფოს წინაშე იყო მართალი.

ამრიგად, სამართლის სუბიექტის მართლობა და უმართლობა თანაფარდობითი კატეგორიებია, რომელთაც აქსიოლოგიური საფუძველი აქვთ. „მართალი“ და „სიმართლე“ აქსიოლოგიური კატეგორიებია და გამოხატავენ შეფასების ობიექტურობას იმის მიუხედავად, რომ სამართლის სუბიექტის სიმართლე შეიძლება იყოს სუბიექტურიც კი, რადგან ამ ვითარებაში სუბიექტი მოქმედებს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო კანონის მართლობა სათანადოდ დასაბუთებული არ გვაქვს. მაშასადამე, ვიმეორებთ: სამართლის სუბიექტი, თავისი მართლზომიერი ქმედებით, სახელმწიფოს წინაშე სუბიექტურად მაინცაა მართალი. უმართლობა, როგორც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობისა და მისი მართლწინააღმდეგობის ერთიანობა იმას ნიშნავს, რომ ამ ასპექტით სუბიექტი უკვე ობიექტურად არაა მართალი.

როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობა არის ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო განხორციელება.<sup>14</sup> მისი

მტკიცებით, თუ დანაშაულის ამ ორ ნიშანს მივუმატებთ ბრალს, მივიღებთ დანაშაულის ცნებას.<sup>15</sup> **საზოგადოდ, ეს ასეა მიჩნეული დანაშაულის ცნების გერმანული მოდელის მიხედვით**, მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი ამ მხრივ პრობლემურია. კერძოდ, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა თავისი ჭეშმარიტი ბუნებით, აღწერილობითა, ფაქტის მსჯელობაა. ქმედების მართლწინააღმდეგობა კი, პირიქით, ღირებულებით (შეფასებით) მსჯელობას წარმოადგენს.<sup>16</sup> როგორც ცნობილია, **ფაქტიდან შეფასებაზე (ე.ი. არსიდან ჯერარსზე) პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს.**

### 3. დეონტური, ანუ შეფასებითი ლოგიკა და უმართლობის პრობლემა

როგორც ჩანს, ქმედების შემადგენლობა იმის მიუხედავად, რომ ის შეიცავს შეფასებით ნიშნებსაც (მაგალითად, „მნიშვნელოვანი“ თუ „არსებითი ზიანი“), საბოლოოდ, მაინც აღწერილობითა – ფაქტის, ბუნებისა და ამიტომ მას სისხლის სამართლის საქმეზე დიდი მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს. ქმედების მართლწინააღმდეგობა კი, პირიქით, ღირებულებით – შეფასებითი მსჯელობაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს სისხლის სამართლის თეორიაში თითქმის გაბატონებული მტკიცება, რომ **ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული განხორციელება მართლ-საწინააღმდეგოა, თუ ამავე დროს არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება?** ეს დასკვნა შემეცნების თეორიული ლოგიკით დავას არ იწვევს, რადგან ამ პოზიციიდან, სუბიექტს ჭეშმარიტების დადგენა აინტერესებს. მაგრამ არსებობს არა მარტო შემეცნების თეორიული ლოგიკა, არამედ **ნორმათა თუ შეფასებათა ლოგიკაც, რომელსაც დეონტურს უწოდებენ.** ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ ქმედების შემადგენლობის ფაქტიდან მის მართლწინააღმდეგობაზე პირდაპირი ლოგიკური დასკვნა ეწინააღმდეგება შეფასებათა ლოგიკას, რადგან **ფაქტიდან შეფასებაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლა ნიშნავს ფაქტისა და ნორმის (ღირებულების), არსისა და ჯერარსის მიმართების ფილოსოფიური პრობლემის უგულებელყოფას.** ამ პოზიციიდან ლოგიკურია დასკვნაც, რომ ქმედების შემადგენლობა უდრის მის მართლწინააღმდეგობას, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებშიც ხორციელდება? აქედან გამომდინარე, სწორად უნდა მივიჩნიოთ ა. ივინის პოზიცია, რომლის თანახმად, **„განსხვავება შეფასებასა და ენობრივი გამოხატულების დესკრიფციულ და პრესკრიფციულ ფუნქციებს შორის ფუნდამენტურია და თეორია, რომელიც ამას უგულებელყოფს, ეწინააღმდეგება ელემენტარულ ფაქტებს.“<sup>17</sup>** (ხაზგასმა ჩვენია – გ. ნ). მაშასადამე, **ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს მტკიცება, რომლის თანახმად, ქმედების შემადგენლობის განხორციელება მართლწინააღმდეგოა, თუ ამავე დროს არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.**

სამწუხაროდ, ასეთივე მეთოდოლოგიურ შეცდომას უშვებს ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტიც. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ თუ რაიმე აკრძალული არ არის, ის ნებადართულია, ხოლო ქმედება მართლწინააღმდეგოა, რაკი მისი ჩადენა აკრძალულია.<sup>18</sup> ჯერ ერთი, ფრიად საეჭვოა მტკიცება, რომ რაც აკრძალული არ არის, ის თითქოს ნებადართულია. მაგალითად, დანაშაულის ჩამდენი პირის

მიმალვა ოფიციალურად აკრძალული არაა, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ **დანაშაულის ჩამდენი პირის მიმალვა თითქოს ნებადართულია**. ასეთივე საეჭვო მეთოდოლოგიაზე დგას გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტი კლაუს როქსინიცი. მისი მტკიცებით, ორი კონტრადიქტორული მსჯელობა: „მართლსაწინააღმდეგო“ და „არაა მართლსაწინააღმდეგო“ მესამეს არ ქმნის, რადგან ქმედება მართლზომიერია ან მართლსაწინააღმდეგოა და მესამე გამორიცხულია.<sup>419</sup>

ჩვენი აზრით, თუ ქმედება მართლზომიერია, მაშინ ის ამავე დროს, მართლსაწინააღმდეგოც ვერ იქნება, მაგრამ თუ ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო, ეს აუცილებლად როდი ნიშნავს, რომ ის ამიტომ მართლზომიერია. პირიქით, თუ ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო, მაშინ უფრო ლოგიკურია დავასკვნათ, რომ იგი არც მართლზომიერია. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ქმედება არც მართლზომიერი იყოს და არც მართლსაწინააღმდეგო. სწორედ ასეთია ქმედების შემადგენლობა, როგორც ქმედების მართლზომიერებისა და მართლწინააღმდეგობის კავშირის ფორმა ე.ი. **მესამე** – ამ ორ შეფასებით მსჯელობებს შორის. მაშასადამე, გამოვიდა ის, რასაც კ. როქსინი კატეგორიულად უარყოფს.

#### 4. ქმედების შემადგენლობიდან მის მართლწინააღმდეგობაზე დასკვნის საგარაუდო ხასიათი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა

ფაქტიდან შეფასებაზე პირდაპირი ლოგიკური გადასვლის გზა არ არსებობს. მაგრამ ეს გადასვლა მაინც უნდა მოხდეს, რადგან უამისოდ ქმედების დანაშაულად საგამოძიებო და სასამართლო კვალიფიკაციის გამიჯვნა შეუძლებელი იქნებოდა. მართლაც, ქმედების შემადგენლობიდან, როგორც აღწერილობითი მსჯელობიდან, მის მართლწინააღმდეგობაზე გადასვლა არის ინდუქციური (სავარაუდო). ეს დასკვნა, როგორც ჩანს, ზუსტად გამოხატავს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიას. მართლაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **„პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩიდინა.“** (ხაზგასმა ჩვენია – გ. ნ.) სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების ფაქტი მეტ-ნაკლები ხარისხით დადგენილია და იგი ამიტომ ვარაუდის ობიექტი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, **გამოძიების სტადიაზე ვარაუდის ობიექტებია მხოლოდ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი**. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი **უმართლობა არ არსებობს**, რადგან ეს უმართლობა საგარაუდო კი არაა, არმედ კატეგორიული დასკვნის წესით უნდა იქნას მიღებული. ასეთი დასკვნის უფლებამოსილება და ვალდებულებაც მხოლოდ სასამართლოს (მოსამართლის) საქმეა. მაგრამ უმართლობის კატეგორია სასამართლო მტკიცების საგნად რომ იქცეს, საჭიროა უმართლობის სუბიექტური ელემენტების დადგენაც, ხოლო შემდეგ, სასამართლო გადავა ბრალის დადგენაზე. ყველაფერი ეს შემდგომი მსჯელობის საგანია და წინამდებარე სტატიაში განხილული ვერ იქნება.

## შენიშვნები:

- <sup>1</sup> ნაჭყებია გ., დანაშაულის ცნების გერმანული და გენეზისური მოდელების შედარებითი ანალიზი, „სამართალი და მსოფლიო“, 2016, # 5, გვ. 30.
- <sup>2</sup> გამყრელიძე ო., ტერმინოლოგიური ლექსიკონი მნიშვნელოვანი ხარვეზით, „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განითარების სივრცეში“, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2013, გვ.
- <sup>3</sup> იხ.: Гегель, Философия права, в. Нерсисянца Шесавали Ситყვა: „Философия права: история и современность“, М., 1990, стр. 18.
- <sup>4</sup> იხ.: ჭეგელის სამართლის ფილოსოფია, რუსულ ენაზე, გვ. 138-141.
- <sup>5</sup> იქვე, გვ. 138.
- <sup>6</sup> Таганцев Н. С., Русское уголовное право, Общая часть, Тула, 2001, стр. 54.
- <sup>7</sup> ვესელსი იოჰანეს, ბოილკე ვერნერ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბილისი, 2010, გვ. 68 (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა, სამეცნიერო რედაქცია ირ. დვალისისა).
- <sup>8</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015, გვ. 50.
- <sup>10</sup> იქვე, გვ. 57.
- <sup>11</sup> ქვაჩაია ვ., ნადირაშვილი შ., ბეჭვაია დ., ჭელიძე ვ., ღირებულება და განწყობა, სოციოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 1969, გვ. 57.
- <sup>12</sup> ნაჭყებია გ., „მართალი სამართლის“ იდეა ხელოვნებისა და სამართლის მიმართების მიხედვით, ფილოსოფიური ძიებანი, ტ. 21, თბილისი, გვ. 146-58.
- <sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია 12 ტომად, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, ტ. 6, 1982, გვ. 23-24.
- <sup>14</sup> ნაჭყებია გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 156.
- <sup>15</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, თბილისი, 2013, გვ. 346.
- <sup>16</sup> იქვე, გვ. 347.
- <sup>17</sup> Тнешедиадзе Г. Т., Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, стр. 54.
- <sup>18</sup> Ивин А. А., Основание логики оценок, МГУ, 1970, стр. 45.
- <sup>19</sup> Baumann (Weber) Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, Tübingen, 1995, p. 201.
- <sup>20</sup> Roxin Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band, 1, München, 2006, p. 610-612.

# SOME METHODOLOGICAL ISSUES ON CORRELATION OF RIGHTFULNESS AND WRONGFULNESS ACCORDING TO THE CRIMINAL LAW

GURAM NACHKEBIA

*Doctor of Law, Emeritus-Professor at the Law Faculty of the  
Tbilisi Ivane Javakishvili State University, Director of Scientific-Research Institute  
for Criminal Law and Criminal Procedure at the same university,  
Member of Philosophy and Law Academies of Georgia*

The article “On Some Methodological Issues of Correlation between Rightfulness and Wrongfulness According to the Criminal Law”, briefly discusses the category of criminal wrongfulness, as a unity of elements of conduct and its unlawfulness; at a possible extent, the terminology of criminal wrongfulness is addressed, and an opinion is produced that wrongfulness is preceded by the rightfulness of a subject of law to the state, when it acts lawfully and with this conduct shifts the requirement of the legal norm in legal order. According to some opinions, this rightfulness of the subject of law is subjective, and wrongfulness means that the subject of law is not right from an objective standpoint, and as far as wrongfulness of a subject does not include a guilt, it is impossible to incriminate the subject. Besides, as far as there is no way of direct and logical shift of this action from legislative area towards wrongfulness of this act and as far as this shift is inductive, therefore, probably, at the stage of investigating a criminal case there does not exist wrongfulness and it should be established only by the court (judge) together with subjective elements of wrongfulness, which is a subject of further discussion.

# მოსამართლის როლი და დაგარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში

ვახტანგ თორდია

*საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

## 1. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლოში წარმომებულ დაპითხვის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის სამართლებრივი რეგულაციის ნაკლოვანებათა შესახებ

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული და დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ქმნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ისეთ სისტემას, რომლითაც პრევალირებულია შეჯიბრებითობის პრინციპი და შედარებით დაკნინებულია სხვა მეტად მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა ეფექტიანი და სამართლიანი მართლმსაჯულება, მხარეთა თანასწორუფლებიანობა, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

არსი შეჯიბრებითობის პრინციპისა, რომელიც შემოთავაზებულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მდგომარეობს იმაში, რომ: სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის

ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. სასამართლომ განაჩინს საფუძვლად უნდა დაუდოს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები. ამგვარი შეჯიბრებითობის წესით დაცვის მხარეს ირიბად დაეკისრა ვალდებულება – დაუპირისპირდეს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ და ყველა საჭირო რესურსით უზრუნველყოფილ ბრალდების მხარეს, უარყოს მისი არგუმენტები და ბრალდება. მხარეებს ფორმალურად რა თანაბარი უფლებებიც არ უნდა მიენიჭოს, რეალურად, მათ შორის უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ფაქტობრივად, შეუძლებელია; ბრალდებისა და დაცვის მხარეები ყოველთვის ფორმალურად იქნებიან თანაბარ მდგომარეობაში.

მხარეთა ამ უთანასწორო ვითარებაში კი, სასამართლოს ვაიძულებთ, იყოს პასიური არბიტრი, მას არ ეძლევა უფლება არა მარტო შინაგანი რწმენის შესაქმნელად საჭირო მტკიცებულებები დამოუკიდებლად მოიპოვოს და გამოიკვლიოს, არამედ მხარეთა თანხმობის გარეშე დასვას დამაბუსტებელი კითხვაც კი და ეს იმ დროს, როდესაც კანონმდებლობით მასვე ეკისრება ვალდებულება, შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ყოველივე ეს კი, სასამართლოს აღჭურავს არასაკმარისი ბერკეტით მართლმსაჯულების ძირითადი მიზნის – სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მისაღწევად.

ბემოაღნიშნული გარემოებები დღის წესრიგში აყენებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეულ ნორმათა გადახედვის საჭიროებას და ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპთან შესაბამისობაში მოყვანას.

სრულიად გაუმართლებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადების მოთხოვნა, რომელიც ეხება მოსამართლის უფლებამოსილებას, გამონაკლის შემთხვევაში და მხოლოდ მხარეებთან შეთანხმების შემდეგ, დასვას დამაბუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. ასეთი შეზღუდვის დაწესებით, სასამართლოს ხელი ეშლება დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაში. თუ მოსამართლეს, რომელმაც უნდა დაადგინოს განაჩენი, წავართმევთ უფლებას, რომ დამაბუსტებელი კითხვა დასვას მხარეთა ნებაართვის გარეშე (რომელიც შესაძლებელია, ვერც კი მიიღოს), მას იმავდროულად, იმის უფლებასაც ვართმევთ, რომ მიიღოს საჭირო ინფორმაცია მის მიერ გადასაწყვეტ საკითხზე და გადაწყვეტილება გამოიტანოს თავისი შინაგანი რწმენით. აღსანიშნავია, რომ არასრულყოფილად გამოკვლეული მოწმის ჩვენების საფუძველზე რთულია მოსამართლემ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, დაასაბუთოს თავისი დასკვნები განაჩენში. ეს მაშინ, როცა ბრალდებულს, რომელიც ხშირად არაიურისტია, აქვს სამართლიანი პროცესის უფლება და ამ უფლების პრაქტიკულ რეალიზებას იგი უპირველესად, სასამართლოსაგან მოელოს; სასამართლოს კი, რომელსაც კანონი (სსსკ-ის 259-ე მუხლი) იმპერატიულად ავალდებულებს გამოიტანოს დასაბუთებული, სამართლიანი და კანონიერი განაჩენი, დამოუკიდებლად კითხვის დასმის უფლებაც კი არა აქვს.

გარდა ამისა, მოსამართლეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ეკრძალება კითხვის განრიდება დამოუკიდებლად, მხარის შუამდგომლობის გარეშე, რაც ქმნის შემდეგ საფრთხეებს:

- ა) პროტესტის არარსებობის შემთხვევაში, მხარემ დასვას მიმანიშნებელი კითხვები ან კითხვები, რომლებიც ეხება არაარსებით გარემოებებს და სხდომის თავმჯდომარე ამ კითხვებს დამოუკიდებლად, მხარის შუამდგომლობის გარეშე ვერ განარიდებს;
- ბ) საფრთხე ექმნება მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელების მიზნებს;
- გ) მოსამართლეს შესაძლოა, დაუსხლტეს პროცესის მართვის სადავეები.

სამართლიანი სასამართლო პროცესის წარმართვისა და მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, სისხლის სამართლის პროცესში განხორციელდეს ცვლილება და მოსამართლეს მიენიჭოს არა მხოლოდ დამაზუსტებელი, არამედ საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, იმ კითხვების დამოუკიდებლად დასმის უფლება, რომლებიც მხარეებს უშუალოდ არ დაუსვამთ და საჭიროა საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოების გასარკვევად. ასევე, მოსამართლეს უნდა მიენიჭოს უფლება, დამოუკიდებლად განარიდოს მიმანიშნებელი ან საქმესთან კავშირის არმქონე კითხვები.

**2. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოვლენილ კანონის დარღვევის ფაქტებზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, მოსამართლის სამართლებრივი რეაგირების მიზანმიმართული არარსებობის შესახებ**

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომელიც მიღებულია 2009 წლის 9 ოქტომბერს, სასამართლოს არ გააჩნია არავითარი მექანიზმი მოახდინოს სამართლებრივი რეაგირება სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა უფლებებისა თუ კანონის სხვაგვარი დარღვევის დადგენილ ფაქტებზე, რომლებიც საჭიროებენ სათანადო ზომების მიღებას.

დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კანონისა და სამართლის უზენაესობის პრინციპის გატარება, რომლის ეფექტიანად განხორციელება ამ მიმართებით, მოითხოვს სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების სამართლებრივ განმტკიცებას. სისხლის სამართლის პროცესში აღნიშნული პრინციპის უზრუნველყოფა მოითხოვს, რომ სასამართლოს მიენიჭოს საქმეზე დადგენილი, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა უფლებების თუ კანონის სხვაგვარი დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილება, რათა გამოძიებლის, პროკურორის, ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლის არც ერთი უკანონო ქმედება არ დარჩეს რეაგირებისა და ყურადღების მიღმა. მით უფრო, რომ აღნიშნული დანაშაულის საერთოდ არ არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს; უფრო მეტიც, იგი იძულებულს გახდის პროცესის მწარმოებელ ორგანოს არ გასცდეს კანონის ჩარჩოებს, ყურადღება გაამახვილოს დაშვებულ დარღვევებზე და სამომავლოდ აღარ გაიმეოროს მსგავსი რამ. ამ მიზნით საჭიროა, მოქმედ სსსკ-ში აისახოს შემდეგი შინაარსის ნორმა:

„სასამართლოს კერძო განჩინება.

1. სათანადო საფუძვლის არსებობისას სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება, რომლითაც სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებ-



- ბობის პირის ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზსა და ხელშემწყობ პირობებზე, რომლებიც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას.
2. აგრეთვე, კერძო განჩინება შეიძლება გამოიტანოს სასამართლომ მოქალაქეთა უფლებების ან კანონის სხვაგვარი დარღვევების გამოვლენისას, რომლებიც დაუშვეს საგამოძიებო ორგანოებმა ან ქვემდგომმა სასამართლომ საქმის განხილვისას.
  3. კერძო განჩინების გამო, არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, გატარებულ უნდა იქნას აუცილებელი ღონისძიებები, რომელთა შესახებაც უნდა ეცნობოს კერძო განჩინების გამომტან სასამართლოს.“

### **3. სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეფარდების საკითხის გადაწყვეტილისას მოსამართლის უფლებრივი მდგომარეობის ნაკლოვანებათა შესახებ**

სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, მართლმსაჯულებაში მოსამართლის როლის გაზრდისა და სამართლიანი სასჯელის შეფარდების პრინციპის ეფექტიანად განხორციელება აგრეთვე, მოითხოვს სასჯელთა შეფარდების მომწესრიგებული ნორმების გადახედვასა და სასამართლოსთვის ფართო იურისდიქციის მინიჭებას. ამ საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია, შევხვით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. სასჯელის განსაზღვრა სამართლის პრინციპების მიხედვით, მოსამართლის ექსკლუზიური უფლებაა. ამ შემთხვევაში კი, სასჯელის ზომას პროკურორი განსაზღვრავს. მოსამართლეს მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის დამტკიცება-არდამტკიცება და მხარეებისათვის სასჯელის ან სხვა პირობის შეცვლის მხოლოდ შეთავაზება შეუძლია და არა სასჯელის ზომაზე საკუთარი, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ნათელია, რომ ამ მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლის უფლებები მეტისმეტად შეზღუდულია პროკურორის სასარგებლოდ და შექმნილია ვითარება, როდესაც ბრალდების მხარე (პროკურატურა) გარკვეულწილად, ითავსებს მართლმსაჯულების ფუნქციას და იჭრება სასამართლოს ისეთ ექსკლუზიურ უფლებაში, როგორცაა დამნაშავესათვის სასჯელის განსაზღვრა. აღნიშნული ვითარება ეწინააღმდეგება მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მის მიერ სამართლიანი სასჯელის შეფარდების პრინციპს, მაშინ, როდესაც საზოგადოება სწორედ სასამართლოსაგან მოელის დამოუკიდებელი, ობიექტური და სამართლიანი განჩინების დადგენას. ყველა ეს ნაკლოვანება საბოლოოდ, უარყოფითად მოქმედებს სასამართლო სისტემის ავტორიტეტსა და მის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

ამ მხრივ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ჯანსაღი სამართლებრივი ნორმა დადგენილია. აღნიშნული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, სასჯელის განსაზღვრის უფლება წარმოადგენს მოსამართლის დისკრეტციას და მას შეუძლია, შემამსუბუქებელ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, არასრულწლოვან ბრალდებულს განუსაზღვროს სანქციის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი. მიზანშეწონილია, რომ მართლმსაჯულების მხოლოდ სასამართლოს მიერ განხორციელების კონსტიტუციური

პრინციპთან შესაბამისობის აღსადგენად, სისხლის სამართლის კოდექსშიც შევიდეს შესაბამისი ცვლილება და მოსამართლე სრულწლოვან პირთა მიმართაც აღიჭურვოს ანალოგიური უფლებით – „შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას დამნაშავეს დაუნიშნოს კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.“

#### 4. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების ნაქლოვანებათა შესახებ

სამწუხარო ფაქტია, რომ 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულმა, საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დაზარალებულის უფლებები მნიშვნელოვნად შეკვეცა. მან დაზარალებულს ჩამოართვა „პროცესში მხარის“ სტატუსი და მიანიჭა „პროცესის მონაწილის“ სტატუსი. შედეგად მივიღეთ ის, რომ პროკურორის თითქმის შეუზღუდავი დისკრეციის პირობებში, სისხლის სამართალწარმოების გზით დაზარალებულის მხრიდან რაიმე სახის რეაბილიტაციის მიღწევა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და დაზარალებულის ჩართულობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა, დაზარალებულის ჩართულობის გარეშე გამოძიების ლეგიტიმაციის საკითხმა შესაძლოა კითხვის ნიშანი გააჩინოს, ასევე ჩრდილი მიადგეს ნდობას მართლმსაჯულების იდეასა და ზოგადად, სახელმწიფოს მიმართ.

ასეთია რეალური ვითარება დღეს იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიულ სახელმწიფოთა პრაქტიკა დაზარალებულის უფლებების აღდგენას აღიარებს მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად, ხოლო მათ უფლებებს – ადამიანის უფლებათა სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. სრულიად ცხადია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა და პრაქტიკა დაზარალებულთა უფლებებთან მიმართებით.

გვინდა გამოვყოთ პრობლემები და ნაკლოვანებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფიქსირდება დაზარალებულის უფლებების დაცვისა და პატივისცემის კუთხით:

- დაზარალებულს არა აქვს შესაძლებლობა, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში და იდავოს მის კანონიერებაზე;
- მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება დაზარალებულის მხრიდან ინფორმაციის მიღების სირთულე სასამართლო სხდომის თარიღთან დაკავშირებით, ვინაიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება პროკურორს არ გააჩნია და დიდია იმის ალბათობა, რომ დაზარალებულმა ვერ განსაზღვროს სხდომის ჩატარების ზუსტი დრო ან როდის უნდა მიმართოს პროკურატურას ამ ინფორმაციის მისაღებად.
- დაზარალებულს, სტატუსის მინიჭების მიუხედავად, ხშირად არა აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მიიღოს მათი ასლები. აღნიშნული კი, როგორც პრაქტიკული, ისე საკანონმდებლო ხარვეზებით არის განპირობებული.
- დაზარალებულს არა აქვს უფლება, გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით.

აუცილებელია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები კანონმდებლობის გაუმჯობესების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესაბამისი გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში. საჭიროა, შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების გაზრდას პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. საკანონმდებლო ცვლილების მეშვეობით დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამასთან, საქმის მასალების ასლების გადაცემაზე პროკურორის/გამომძიებლის უარი უნდა იყოს დასაბუთებული და შესაძლებელი გასაჩივრდეს სასამართლოში.
2. აუცილებელია დაზარალებულს მიეწოდოს ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით, როგორცაა: ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, საპროცესო შეთანხმების სხდომა, სასჯელის შეფარდებისა და სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომები. ამ ინფორმაციის მიწოდება უნდა გახდეს პროკურორის ვალდებულება. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის ამჟამინდელი ფორმულირება, რომლითაც დაზარალებულის მიერ ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიღების წინაპირობად მისი მოთხოვნაა გათვალისწინებული.
3. აუცილებელია, შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის I ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის ფორმულირება და დაზარალებულმა ავტომატურად, მოთხოვნის გარეშე მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებისა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამ ინფორმაციის გაცემით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.
4. კანონმდებლობამ გაითვალისწინოს შემდეგი ნორმა: როდესაც დაზარალებულის მითითებას ან მოსაზრებებს დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით პროკურორი არ გაითვალისწინებს, იგი ვალდებული უნდა გახდეს, დაასაბუთოს უარის თქმის გადაწყვეტილება შესაბამისი არგუმენტებით, ხოლო მისი გასაჩივრება შესაძლებელი იყოს სასამართლოში.
5. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის დროს, კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მოსამართლის ვალდებულება, განიხილოს დაზარალებულის მოსაზრებები სასჯელის პროპორციულობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე. ასევე ვალდებულება, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, თუ დაზარალებულის ინტერესები სათანადოდ და ობიექტურად არ არის შეფასებული წარმოდგენილ პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებულ ნორმას, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.
6. დაზარალებულს მიეცეს უფლება, პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე გასაჩივროს სასამართლოში, გამოძიების ადგილის მიხედვით.

# JUDGE'S ROLE AND RIGHTS OF VICTIMS IN CRIMINAL PROCEDURE OF GEORGIA

VAKHTANG TORDIA

*Member of the High Council of Justice of Georgia, Doctor of Law,  
Associated Professor of St. Andrew the First-Called Georgian University of the  
Patriarchate of Georgia*

The article discusses the restricted rights of judges in the criminal procedure, which is based on the adversarial principle, in connection to asking the clarifying questions and avoiding leading questions. It offers a particular way to address this flaw. Namely, it provides a recommendation for ensuring the decision making based on personal conviction, and to grant the right to the judge for asking not only the clarifying, but also other questions independently, which have not been asked by the parties, and which are necessary for clarifying important circumstances related to the case. There is another recommendation to equip a judge with the right to independently dismiss leading or other questions unrelated to the case.

The article analyzes the absence of mechanisms of legal response by a judge to the facts of legal violations revealed by the judge during the criminal case consideration, causes of committing a crime and supporting factors, and then suggests legislative amendments needed in this regard, namely, in this case, granting the right to a judge to pass private rulings.

The article also discusses the wrongfulness of limiting the judge's right when deciding to impose a lower sentence than the mandatory minimum, or to impose another, a more lenient sentence, and provides a specific recommendation for ensuring the principle of imposing a fair punishment. The article analyzes the flaws regarding the rights of a victim in criminal procedure, and offers specific suggestions to address them. For example, there is a recommendation to grant the right to a victim to appeal the prosecutor's decision at a court about non-initiation or discontinuation of investigation and/or criminal prosecution for any crime category, and to make it a prosecutor's obligation to inform the victim about the first appearance of a defendant in front of a magistrate judge, pretrial session, trial, plea hearing, sentencing hearing and appellate or cassation hearings.

# მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის გობიერთი საკითხი

ომარ ჭორბენაძე

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*

ელენე ხათაშვილი

*სამართლის მაგისტრი,*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე*

წინამდებარე სტატია გარკვეულწილად, წარმოადგენს ჩვენს მიერ ამავე ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის გაგრძელებას.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული მიდგომა გვაჩვენებს, რომ არსებობს არაერთგვაროვანი პრაქტიკა, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებში, ასევე სააპელაციო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიებში, რის გამოც, საჭიროდ ჩავთვალეთ ზემოაღნიშნულ საკითხზე ჩვენი მოსაზრების საზოგადოებისთვის გაცნობა.

შესავალშივე აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები (მიუხედავად სტატიის ავტორთა სტატუსისა) არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხს, თუ როდის იძენს მხარის მიერ მოპოვებული „ფაქტები ან ინფორმაცია“, როგორც კოდექსი უწოდებს „მტკიცებულების“ ძალას (სსსკ-ს მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი).

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეთერთმეტე ნაწილი მიანიშნებს „ფაქტების ან ინფორმაციის“ ერთობლიობაზე და იქვე მიუთითებს, რომ ამ ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა

უნდა ადასტურებდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ დანაშული შესაძლოა ამ პირმა ჩაიდინა. ანუ რა გამოდის – ჩვენს მიერ წინა სტატიაში აღწერილი ბრალეულობის მტკიცების სამსაფეხურიანი სისტემიდან პირველ საფეხურზე (პირველი წარდგენის სხდომაზე, აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას) პირის ბრალეულობას ვადასტურებთ არა მტკიცებულებების საფუძველზე, არამედ „ფაქტებისა და ინფორმაციის“ საფუძველზე, რომელიც არ არის მტკიცებულება? და როდის იძენს ეს ფაქტები და ინფორმაცია მტკიცებულების მნიშვნელობას (ძალას)? – მაშინ როდესაც წინასასამართლო სხდომაზე 5 დღით ადრე, მხარეები გაუცვლიან ერთმანეთს მათ ხელთ არსებულ სრულ „ინფორმაციას“, რომლის მტკიცებულებად გამოყენებასაც აპირებენ სასამართლოში (სსსკ-ს 83-ე მუხლი), თუ მაშინ როდესაც საქმის არსებითი განხილვისას, მოსამართლე გამოიყენებს ამა თუ იმ ინფორმაციას განაჩენის დასადგენად? როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მიუთითებს არა იმაზე, რომ მხარეთა მიერ გაცვლილი მასალები უკვე მტკიცებულებებია, არამედ მიუთითებს, რომ მხარეები ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციას, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში.

ჩვენი აზრით, აქ უნდა გაკეთდეს შემდეგი დათქმა – რას მიიჩნევს თვითონ მხარე „მტკიცებულებად“, რას მიიჩნევს მტკიცებულებად პირველი წარდგენის ან/და წინასასამართლოს სხდომის მოსამართლე და რას მიიჩნევს მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო. ამ საკითხზე უფრო დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ამა თუ იმ ინფორმაციის ან მასალის მტკიცებულებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა ენიჭება ამ ინფორმაციის ან მასალის სახეს კერძოდ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს:

- **საპროცესო გადაწყვეტილება**
- **საპროცესო მოქმედება**
- **საგამოძიებო მოქმედება.**

**საპროცესო გადაწყვეტილება** არის პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, მაგ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ დადგენილება, ან ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილება და სხვა ანალოგიური საპროცესო გადაწყვეტილებები.

**საპროცესო მოქმედება** არის პროცესის მწარმოებელი პირის ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ არის საპროცესო გადაწყვეტილება ან/და საგამოძიებო მოქმედება. მაგ.: პოლიციის თანამშრომლის პატაკი (განსხვავებით ამ თანამშრომლის გამოკითხვისაგან, რომელიც (გამოკითხვა) საგამოძიებო მოქმედებაა, ხოლო გამოკითხვის ოქმი (ჩვენება) მტკიცებულებაა); გამოძიებლის მიმართვა ექსპერტისადმი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ (განსხვავებით ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებისა, რომელიც საპროცესო გადაწყვეტილებაა, ხოლო ექსპერტის დასკვნა მტკიცებულებაა); ექსპერტის წერილი (მიმართვა) გამოძიებლისადმი უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის გადაგზავნის შესახებ (განსხვავებით ექსპერტიზის დასკვნისა, რომელიც (ექსპერტიზის ჩატარება) საგამოძიებო მოქმედებაა, ხოლო ექსპერტის დასკვნა მტკიცებულებაა); პირისათვის ბრალდების წარდგენა (ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობა და მისთვის დადგენილების ასლის გადაცემა (განსხვავებით ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანისა (რომელიც საპროცესო გადაწყვეტილებაა) და სხვა ანალოგიური.

**საგამოძიებო მოქმედება** არის ისეთი საპროცესო მოქმედება, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ (მაგ.: გამოკითხვა/დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა, პირადი ჩხრეკა, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, დათვალიერება/შემთხვევის ადგილის დათვალიერება/გვამის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, პირისა და ობიექტის ამოცნობა, ექსპუმაცია, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ექსპერტიზის/ექსპერტის დასკვნა, ნიმუშის აღება და სხვა). მტკიცებულებაა ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, ჩვენება), საგანი, ნივთი ან ნივთიერება, რომელთა მეშვეობითაც მხარეები ამტკიცებენ, ხოლო სასამართლო ადგენს პირის უდანაშაულობას, ნაკლებ ბრალს, ან ბრალეულობას, ან/და გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სასჯელის სახესა და ზომაზე. ანუ მტკიცებულებაა ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, ჩვენება), საგანი, ნივთი ან ნივთიერება, რომელთა მეშვეობითაც მხარეები ამტკიცებენ, ხოლო სასამართლო ადგენს მტკიცების საგანთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს **ქმედების სუბიექტის, სუბიექტური მხარის ობიექტის ან/და ობიექტური მხარის შესახებ** (მტკიცების საგნის მოცულობის შესახებ იხ.: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I (2011 წ.) და II (2012წ.), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“).

საპროცესო მოქმედების ცნება გამოიყენება უფრო ფართო გაგებითაც და იგი ამ თვალსაზრისით, მოიცავს საპროცესო გადაწყვეტილების მიღების შესახებ მოქმედებებსაც და საგამოძიებო მოქმედებებსაც. ანუ, ფართო გაგებით, პროცესის მონაწილეთა ნებისმიერი მოქმედება საპროცესო მოქმედებაა, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილია საგამოძიებო მოქმედება, რაც ზემოთ აღინიშნა. ანუ, ყველა საგამოძიებო მოქმედება და საპროცესო გადაწყვეტილება ამავე დროს საპროცესო მოქმედებაა, ხოლო საპროცესო მოქმედებებიდან მხოლოდ ის მოქმედებებია საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ ან/და რომლებიც ტარდება მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საგამოძიებო ორგანოსა ან დაცვის მხარესა და სხვა რაიმე ორგანიზაციას შორის მიწერ-მოწერა არ წარმოადგენს „მტკიცებულებას.“ შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია იმსჯელოს მტკიცებულების დასაშვებობაზე. ზოგადად, არასწორად მიგვაჩნია დამკვიდრებული პრაქტიკა წერილების (ვთქვათ, ექსპერტისათვის მიმართვის წერილი, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილება ან/და რაიმე ორგანოსათვის მიმართვის წერილი და ა. შ.) დაუშვებლობაზე მსჯელობის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საპროცესო მოქმედება, საპროცესო გადაწყვეტილება და საგამოძიებო მოქმედება. ჩვენი აზრით, მოსამართლე უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების (მაგ: ექსპერტიზის დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ამოსაცნობად წარდგენის ოქმი და ა. შ.) დასაშვებობის თაობაზე.

რა თქმა უნდა, როდესაც წინასასამართლო სხდომაზე მხარეები მოითხოვენ თავიანთ მიერ მოპოვებული, ერთმანეთისათვის უკვე გაცვლილი და სასამართლოში უკვე წარდგენილი მასალებისა და ინფორმაციის დასაშვებად ცნობას, მოსამართლე უფლებამოსილია განიხილოს ეს შუამდგომლობა და რა თქმა უნდა, არ არის ვალდებული ყველა შემთხვევაში დასაშვებად ცნოს მტკიცებულებები, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, მოსამართლე უფლებამოსილია დაუშვებლად ცნოს ის მტკიცებულებები, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან და რომლის დაშვების შესახებაც შუამდგომლობენ, მაგრამ არსებობს ამ მტკიცებულებათა დაუშვებლობის იმპერატიული საფუძვლები (სსსკ-ის 72-ე მუხლი), გამონაკლისია საპროცესო შეთანხმების

შემთხვევა, რა დროსაც მოსამართლე ვალდებულია გაიზიაროს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ფაქტობრივად, სიღრმისეული შეფასების გარეშე (რამდენად სწორია?).

მაგალითისთვის განვიხილოთ საკითხიც იმის შესახებ, უფლებამოსილია თუ არა წინასასამართლო სხდომის მოსამართლე თავისი ინიციატივით გაათავისუფლოს ბრალდებული (მხარეთა შუამდგომლობის გარეშე) პატიმრობიდან, თუ მას მიაჩნია, რომ ბრალდებული იმყოფება უკანონო პატიმრობაში რაიმე საფუძვლით (ვთქვათ, არსებითად დარღვეულია დაკავების წესი ან სახეზეა რაიმე სხვა იმპერატიული საფუძველი, რაც გამორიცხავს ბრალდებულის პატიმრობაში შემდგომ ყოფნას), მოსამართლე არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია გაათავისუფლოს პირი უკანონო პატიმრობიდან ან დაკავებიდან. ასეთ შემთხვევებში, ჩვენი აზრით, დამკვიდრებულია არასწორი პრაქტიკა დაკავების ოქმის დაუშვებლად ცნობის შესახებ. როგორც ზემოთ ვიმსჯელეთ, დაკავების ოქმი არ წარმოადგენს (არ შეიძლება წარმოადგენდეს) მტკიცებულებას ბრალდების დადასტურების ან უარყოფის სამტკიცებლად (უფრო მეტიც, ევროსასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რაც ჩვენი საპროცესო კანონმდებლობითაც გაზიარებულია, რომ პირის დაკავება მტკიცებულების მოპოვების მიზნით წარმოადგენს ევროკონვენციის უხეშ დარღვევას). მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია გაათავისუფლოს პირი უკანონო დაკავებიდან ან პატიმრობიდან იმ გარემოებებზე მითითებით, რაც მას დარღვევად და პატიმრობაში ყოფნის გამომრიცხველად მიაჩნია და ამისათვის საჭირო არ არის დაკავების ოქმის დაუშვებლად ცნობა.

მიგვაჩნია, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ვალდებულია თუნდაც მხარეთა შუამდგომლობის გარეშე, თავისი ინიციატივით სავალდებულოდ განიხილოს ორ საკითხი:

1. აღკვეთის ღონისძიების და
2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი (ან დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების გარდა დარჩენილი) მტკიცებულებები აღარ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ დანაშაული შესაძლოა ამ პირმა ჩაიდინა ან/და აღარ იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით ვარაუდის საფუძველს, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი (სსსკ-ს მე-3 მუხლის მე-11, მე-12 ნაწილები, 219-ე მუხლი).

რაც შეეხება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას, ჩვენი აზრით, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისაგან, თუ სახეზე არაა აშკარა და უხეში დარღვევები და მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის კანონით განსაზღვრული იმპერატიული საფუძველები და საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს უფლება უნდა მიეცეს შეაფასოს მხარეთა მიერ წინასასამართლო სხდომაზე უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებები, განაჩენში იმსჯელოს ამა თუ იმ მტკიცებულების გაზიარების ან არგაზიარების, განაჩენის საფუძვლად გამოყენების თუ არგამოყენების, ანუ „ფაქტობრივი დასაშვებობის“ შესახებ.

ამდგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, შესაძლებლობას მისცემს, როგორც პირველი, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეებს, შეაფასონ ზემოთ მოტანილი მსჯელობის სისწორე, დაეთანხმონ ან მიიღონ სხვაგვარი გადაწყვეტილება. ანუ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს გავიგოთ სასამართლო ინსტანციების მათ შორის, საკასაციო სასამართლოს შეხედულება იმ საკითხზე, თუ ნორმის რომელი განმარტებაა სწორი.



მოვიტანთ ასეთ მაგალითს – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად. აღნიშნული ნორმა რამდენიმე თვის წინ, როგორც პირველი და სააპელაციო სასამართლოს, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებული იყო იმდაგვარად, რომ ამ შემთხვევაში საჭირო აღარ იყო წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე სასამართლოსათვის მიმართვა ჩატარებული ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერების შემოწმების მიზნით. თუმცა, გარკვეული პერიოდის წინ, უზენაესმა სასამართლომ შეცვალა პრაქტიკა და ზემოაღნიშნული ნორმა სხვაგვარად განმარტა. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევებშიც, სავალდებულოა წინასასამართლო გამოძიებისას სასამართლოსათვის საერთო წესით მიმართვა ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერების შემოწმების მიზნით და აღნიშნული დათქმა იძლევა მხოლოდ იმის საფუძველს, რომ ჩხრეკა ან/და ამოღება ჩატარდეს მოსამართლის მიერ წინასწარ გაცემული განჩინების ან/და გამოძიებისა ან პროკურორის დადგენილების გარეშე. თუ წინასასამართლო გამოძიებისას ამდაგვარი წესით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განმხილველი პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოები ვეღარ იმსჯელებდნენ მისი კანონიერების შესახებ, ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არსებითი განხილვისას.

აქ საჭიროდ ვთვლით განვმარტოთ „მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა,“ რით განსხვავდება „მტკიცებულების არგაზიარებისგან.“

ზოგადი წესია, რომ საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს არა აქვს უფლება მიიღოს ცალკე გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე, მისთვის (საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლისათვის) „დასაშვებია“ განხილვის პროცესში ყველა ის მტკიცებულება, რაც დასაშვებად ცნო (ანუ დაუშვებლად არ ცნო) წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე შეზღუდულია წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამა თუ იმ მტკიცებულების დასაშვებად ცნობის (დაუშვებლად არ ცნობის) შესახებ. მოსამართლე განაჩენის გამოტანის დროს (მნიშვნელობა არ აქვს გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი) აფასებს ყველა მტკიცებულებას, რომელსაც მხარეები წარადგენენ და ამის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას, რა დროსაც მოსამართლე უფლებამოსილია განაჩენში იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რომელ მტკიცებულებას იზიარებს და რომელს არა. ანუ ფაქტობრივად, როდესაც არსებითად განმხილველი მოსამართლე არ გაიზიარებს რომელიმე მტკიცებულებას განაჩენის გამოტანის დროს და იმსჯელებს ამ მტკიცებულების არგაზიარების საფუძველების, მიზეზების შესახებ განაჩენში, ამით იღებს გადაწყვეტილებას ამ მტკიცებულების „ფაქტობრივი დაუშვებლობის“ თაობაზე. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს გამოაქვს ცალკე განჩინება ამა თუ იმ მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე, ხოლო არსებითად განმხილველი მოსამართლე მტკიცებულებათა „ფაქტობრივი დასაშვებობის“ თაობაზე (ანუ იმის თაობაზე გამოიყენოს თუ არა ესა თუ ის მტკიცებულება განაჩენის საფუძველად) მსჯელობს განაჩენის გამოტანისას, განაჩენშივე, ცალკე გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, ანუ საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, რომ მხოლოდ ის „მტკიცებულება“ „მტკიცებულება,“ რომელსაც სასამართლო იყენებს განაჩენის დადგენის საფუძველად და ამ დროს საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე არ არის შეზღუ-

დული წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამა თუ იმ „მტკიცებულების“ დასაშვებად ცნობის თაობაზე.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნას მიღებული, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ ფაქტობრივად, სავალდებულო ხდება საქმის არსებითად განხილველი მოსამართლისათვის და იგი ვერ გამოიყენებს ამ მტკიცებულებას, თუნდაც მიაჩნდეს, რომ იგი არასწორად იქნა ცნობილი დაუშვებლად. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ შეჯიბრებითობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისაგან, თუ სახეზე არაა აშკარა და უხეში დარღვევები და მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის კანონით განსაზღვრული იმპერატიული საფუძვლები, რათა საქმის არსებითი განხილვისას, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა სასამართლოს წარუდგინონ ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც ისინი სადავოდ არ ხედავენ და საქმის არსებითად განხილველმა მოსამართლემ მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკიცებულების გაზიარების ან არგაზიარების (ანუ ფაქტობრივი დასაშვებობის ან დაუშვებლობის, ანუ განაჩენის საფუძველად გამოყენების ან არგამოყენების) შესახებ.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გაურკვეველია „რა მოსდის“ დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებას. ადრე მოქმედ კოდექსში ეწერა, რომ დაუშვებელი მტკიცებულება ამოიღებოდა სისხლის სამართლის საქმიდან და ინახებოდა ცალკე. დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსი ასეთ წესს არ იცნობს. გამოდის, რომ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება მაინც რჩება სისხლის სამართლის საქმეში, თუმცა, რა აზრი აქვს მის საქმეში დატოვებას გაურკვეველია, მას ვერ გამოიყენებს ვერც ერთი მხარე და ვერც სასამართლო. ეს საკითხი შეიძლება განსაკუთრებით პრობლემატური იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში, რადგანაც განსხვავებით პროფესიონალი მოსამართლისაგან, რომელიც ვალდებულია არ გაიზიაროს დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება, არ გამოიყენოს იგი გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის საფუძველად და არ მოექცეს ამ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების გავლენის ქვეშ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ თუ ნაფიცი მსაჯული გაეცნობა დაუშვებელი მტკიცებულების შინაარსს (რომელიც როგორც აღვნიშნეთ რჩება საქმეში), არსებობს მაღალი ალბათობა, რომ „არაპროფესიონალი მოსამართლე“, ანუ ნაფიცი მსაჯული მოექცეს დაუშვებელი მტკიცებულების შინაარსის ზემოქმედების ქვეშ და ამ (დაუშვებელმა) მტკიცებულებამ გავლენა იქონიოს ნაფიცი მსაჯულის შინაგანი რწმენის შესაბამისად, ვერდიქტის ჩამოყალიბებაზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცალკე განხილვის საგანია და წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს მასზე სრულყოფილი მსჯელობა, მაგრამ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ნაფიცი მსაჯულები ზოგ შემთხვევაში, ახდენენ არა მარტო მტკიცებულების იგნორირებას, არამედ ზოგჯერ ისინი ახდენენ კანონის იგნორირებასაც. ამ საკითხზე მსჯელობისას მოვიტანთ ერთ მაგალითს: მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ე. წ. მეფის რუსეთში (რომლის შემადგენლობაშიც სამწუხაროდ, შედიოდა საქართველოც) არსებობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებული მიდგომა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოაქვს ორი შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთი ვერდიქტი: „დამნაშავეა“ ან „უდანაშაულოა.“ მეფის რუსეთში არსებობდა ვერდიქტის მესამე სახე – „დამნაშავეა, მაგრამ არ დაისაჯოს.“ ცხადია, რომ ამ (მესამე) ვერდიქტის გამოტანისას, ნაფიცი მსაჯულები ახდენდნენ არა

მხოლოდ მტკიცებულებების, არამედ კანონის იგნორირებასაც, ანუ ამდაგვარი ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ფაქტობრივად ამბობდნენ, რომ პირმა კი ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, მაგრამ ნაფიცი მსაჯულთა აზრით, თვით ეს ქმედება არ უნდა მიჩნეულიყო დანაშაულად, ანუ ნაფიცი მსაჯულები ახდენდნენ კანონის ფაქტობრივ იგნორირებას.

სამწუხაროდ, საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ განასხვავებს და არ მიჯნავს ამ საკითხს, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ თეორიულად არსებობს გამართლების ორი ფორმა – ე.წ. „მატერიალურსამართლებრივი“ გამართლება, როდესაც მოსამართლე უტყუარად დარწმუნდება, რომ პირს არ ჩაუდენია მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება და ე.წ. „საპროცესოსამართლებრივი“ გამართლება, როდესაც არსებობს გარკვეული მონაცემები, რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინა მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება, მაგრამ ვთქვათ, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის გამო ან იმის გამო, რომ ბრალდების მხარემ ვერ შეძლო ბრალეულობის დამტკიცება – მოსამართლეს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლე არ არის ვალდებული და შესაბამისად, არც უფლებამოსილი თვითონ დაადგინოს ე.წ. „ობიექტური ჭეშმარიტება“, არამედ მოსამართლე ადგენს „ჭეშმარიტებას“ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი აწესებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობის აუცილებლობას, რომ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელია მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. როგორც ამ დებულებიდან ჩანს, კანონი მოსამართლეს ავალდებულებს, არა იმას, რომ თვითონ დარწმუნდეს პირის დამნაშავეობაში, არამედ მოსამართლეს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი იმ შემთხვევაში თუ მისი აზრით, როგორც ევროსასამართლო იტყოდა „საზოგადოების საშუალო ფენის ნორმალური წარმომადგენელი“ არსებულ ვითარებაში დარწმუნდებოდა პირის დამნაშავეობაში.

ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელია პირის ბრალეულობაში დარწმუნება. შედარებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი აზრი (სიღრმისეული განხილვის გარეშე) ბრალის შესახებ თეორიებზე. ბრალი მოქმედი კანონმდებლობით აღარ განიმარტება როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ნამოქმედარსა და დამდგარ შედეგთან, არამედ განიმარტება როგორც მოსამართლის მიერ პირის ქმედების გასაკიცხაობა. მაგალითისთვის: ვთქვათ პირს ბრალი ედება განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ბრალდებული მთელი პროცესის განმავლობაში ამტკიცებს, რომ არ ჰქონდა მკვლელობის განზრახვა, არამედ სურდა სხეულის მძიმე დაზიანება, რაც განახორციელა კიდევ. ასეთ შემთხვევაში, თუ მოსამართლე გამოიტანს განაჩენს განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის ეს ნიშნავს, რომ მოსამართლე ფაქტობრივად ეუბნება ბრალდებულს, რომ მას ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება ჰქონდა ნამოქმედარსა და დამდგარ შედეგთან – ანუ მოსამართლე საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით თვითონ წყვეტს როგორი ფსიქიკური დამოკიდებულება ჰქონდა პირს ნამოქმედართან და დამდგარ შედეგთან, ანუ როგორია მოსამართლის მიერ პირის ქმედების გასაკიცხაობა. როგორც ვხედავთ, პრაქტიკაში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ენიჭება ბრალის რომელი თეორიით ხელმძღვანელობს მოსამართლე, რადგანაც საბოლოოდ, ყველა სხვა საკითხთან ერთად, მოსამართლე წყვეტს ბრალეულობის საკითხსაც.

# SOME ISSUES ON INADMISSIBILITY OF EVIDENCE

OMAR JORBENADZE

*Judge at the Tbilisi Court of Appeal*

ELENE KHATASHVILI

*Master of Law,*

*Assistant Judge at the Tbilisi Court of Appeal*

In order to regard a certain piece of information or material as evidence, the type of this information or material should be taken into account, namely, we should differentiate among:

- Procedural decision;
- Procedural measure, and
- Investigative measure.

A procedural decision is a decision of a person conducting a procedure regarding this or that issue, e.g. decision on charging a person, or decision on conducting search or seizure based on exigent circumstances, or decision on appointing an expertise and other analogous procedural decisions.

A procedural measure is any action of a person conducting a procedure, which is not a procedural decision and/or investigative measure. E.g.: when an investigator approaches the expertise bureau for conducting an expertise (unlike the decision on conducting an expertise, which is a procedural decision, and an expert report is an evidence), e.g.: bringing a charge against a person, informing about the charging decision, and serving a copy of a decision to him/her (unlike passing a charging decision, which is a procedural decision) and the like.

Investigative measure is a procedural act, which aims at obtaining evidence (e.g.: interview/interrogation, seizure, search, visual inspection, etc.). An evidence is any document (including a testimony), thing, item or substance, which the parties prove, and which the court uses for deciding on a person's innocence, less guilt, culpability, and/or circumstances, which have an impact on criminal responsibility, type and volume of punishment.

Based on this reasoning, we think that a correspondence between an investigative body or defence and any other organization is not 'evidence'. Correspondingly, a judge may argue about admissibility of evidence. In general, we consider that it is wrong to have a practice of arguing about inadmissibility of letters (e.g. a letter to an expert, decision on appointing an expertise, etc. As mentioned above, we need to differentiate among a procedural measure, procedural decision and investigative action. We think that a judge is authorized to argue about the admissibility of evidence obtained through an investigative measure only.

Of course, when the parties ask at the pretrial session for admissibility of information and materials already discovered among parties and submitted to the court, a judge is authorized to discuss this motion and indeed, is not obliged to regard the evidence admissible in all the cases that are not disputed by the parties. If there are respective grounds, the judge is authorized not to admit those evidence that are not disputed by the parties, and for which they file a motion for admissibility, but there are imperative grounds for inadmissibility of these evidences (for example, see: Article 72 of the CPCG). However, we think that a judge at a pretrial session should refrain from recognizing evidence inadmissible as much as possible, unless there are clear and gross violations and statutory imperative grounds for recognizing the evidence inadmissible. Besides, the trial judge should be authorized to evaluate the evidence that have been regarded undisputed by the parties at pretrial session, then provide reasoning in the judgment about sharing or not sharing a certain evidence, using or not using them as grounds for the judgment, i.e. about 'factual admissibility'.

# შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების ეტაპზე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

შედარებითსამართლებრივი ანალიზი  
საქართველოს მაგალითზე

ლევან ვეფხვაძე

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,  
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

## შესავალი

დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სამართლებრივი პროცესის რეფორმა მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველ რგოლს უნდა გააჩნდეს. თავის მხრივ, სამართლიანი მართლმსაჯულება გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიას, არამედ თავის თავში აერთიანებს გამოძიების ეტაპსაც.

2009 წელს, მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა წინამორბედი, რაც მართლმსაჯულების ინკვიზიტორული მოდელიდან შეჯიბრებით სისტემაზე გადასვლით გამოიხატა. თავის მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს პაექრობას პროკურორსა და ბრალდებულს (მის ადვოკატს) შორის, სადაც მხარეებს აქვთ შესაძლებლობა აბსოლუტურად დამოუკიდებლად, საჭიროების შემ-

თხვევაში სასამართლოს დახმარებით, მოიპოვონ მათი პოზიციის გასამტკიცებელი მტკიცებულებები და წარუდგინონ სასამართლოს. 2009 წლამდე არსებული მოდელის თანახმად, სამართალდამცავი ორგანო ვალდებული იყო მოეპოვებინა პირის როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები.<sup>1</sup> თუმცა, კანონმდებლის მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერებამ და პროკურორსა და ბრალდებულს შორის ფუნქციების მკვეთრმა გამიჯვნამ, ბრალდების მხარეს ასეთი ვალდებულება მოუხსნა. ამდენად, პირი, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას ედავებიან არ ელოდება, თუ რა მტკიცებულებებს წარმოადგენს სახელმწიფო ბრალდება, არამედ თავადაც მოიპოვებს გამამართლებელ მტკიცებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ბრალდებულს არ ევალება ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა, ამის მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს.

სწორედ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანოს გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი.

შეჯიბრებითი სისტემის ეფექტიანობის საზომს წარმოადგენს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტი. შეჯიბრებითობის პრინციპი მაშინ არის დაცული თუ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ და ხელოვნურად არ ექმნებათ ბარიერები მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში. რაც შეეხება სასამართლოს როლს შეჯიბრებით პროცესში, ამ შემთხვევაში მთავარი არსიც ის არის, რომ სასამართლო თავად არ მოიძიებს მტკიცებულებებს, თუმცა, მასზე არის დამოკიდებული რამდენად შექმნის მხარეებისათვის თანაბარ პირობებს, რადგან არსებობს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რომლის ჩატარებასაც მხარე, განსაკუთრებით კი, დაცვის მხარე დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს სასამართლოს დახმარების გარეშე. სწორედ აქ იკვეთება სასამართლოს აქტიური როლი უზრუნველყოს კანონმდებლობის სწორად გამოყენება და არ დაუშვას მხარეთა შორის თანასწორუფლებიანობის დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს მხარეთა მექანიკურ თანასწორობას და არ შეიძლება გულისხმობდეს/ უშვებდეს არგუმენტების მიჩქმალვის ან მათზე თვალის დახუჭვის გზით, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. პირიქით, პრინციპი ხელს უნდა უწყობდეს ორივე მხარის სასარგებლო, ყველა შესაძლო არგუმენტის მაქსიმალურად გამოვლენას და პაექრობაში მოხვედრას, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი სწორი გადაწყვეტილების მიღება.<sup>2</sup>

დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამოძიების ეტაპზე როგორც ბრალდების მხარეს, ასევე დაცვის მხარეს უფლება აქვთ დამოუკიდებლად ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები და მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ თუ ძველი სისხლის სამართლის პროცესი შერეული სახის პროცესს წარმოადგენდა და განსაკუთრებით, გამოძიების ეტაპზე ინკვიზიციურობის პრინციპი უფრო აქტიურად გამოიყენებოდა, ვიდრე შეჯიბრებითობის პრინციპი. ახალი სისხლის სამართლის პროცესი მთლიანად შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, რაც გულისხმობს პროცესის ორივე მხარის დაცვისა და სახელმწიფო ბრალმდებლის თანაბარ პირობებში სამართალწარმოების განხორციელებას.

სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში აქტუალურია საკითხი სად გადის ზღვარი გამოძიებასა და შეჯიბრებითობის სისტემას შორის. პრაქტიკული კომპონენტის შედარებითი სა-

მართლებრივი ანალიზი უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს საზოგადოების სამართლებრივი განვითარებისა და სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბების ფონზე.

დაცვის მხარის უფლება ეფექტიანად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები და მოიპოვოს მტკიცებულებები თეორიული და პრაქტიკული კუთხით, სისხლის სამართლის პროცესში განსჯის პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის საფუძვლიანად შესწავლა დღეს უფრო აქტუალურია.

## 1. შეჯიბრებითობის პრინციპის საკანონმდებლო რეგულაცია მოქმედ და 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ იქნა 1998 წლის 20 თებერვალს. უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებით პრინციპს ასევე, აღიარებდა ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წლის რედაქცია). კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესში, პრინციპების თავში მე-15 მუხლად წარმოდგენილი იყო „სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა.“ შეჯიბრებითობის არსი განმარტებული იყო შემდეგნაირად: სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს. მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე. შეჯიბრებითობის პრინციპი წინასწარ გამოძიებაში უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ: ბრალდების ფუნქცია ეკისრებოდა პროკურორს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს; დაცვის უფლება ჰქონდა ბრალდებულს, დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს; დაწესებული იყო სასამართლო კონტროლი გამოძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვასთან; ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველსა და პროცესის სხვა მონაწილეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (ძველი რედაქცია) გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, უფლება ჰქონდათ სასამართლოში გაესაჩივრებინათ გამოძიებლის ან პროკურორის უარი შუამდგომლობის, საჩივრისა თუ განცხადების დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულ კანონში განმარტებული იყო, რომ სასამართლო არ არის სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის.<sup>43</sup>

ძველმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (1998 წლის რედაქცია) არაერთი ცვლილება განიცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეჯიბრებითობის პრინციპი მაინც ვერ დაამკვიდრა.

იმ სამართლებრივი რეგულაციის პირობებში, რომელსაც წინამორბედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა, საუბარიც კი ზედმეტია, რომ დაცვის მხარეს ჰქონდა უფლება



თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები და ბრალდებული აქტიურად ყოფილიყო ჩართული პროცესში. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 111-ე მუხლში განმარტებული იყო, რომ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა ხდება პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით (განჩინებით).<sup>4</sup> თავის მხრივ, სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოს წარმოადგენდა: საგამოძიებო ორგანო, პროკურატურა და სასამართლო. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დაცვის მხარეს, რომ მოეპოვებინა გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებები საკუთარი ინიციატივით, მის მოწინააღმდეგე ორგანოზე იქნებოდა დამოკიდებული ცნობდა თუ არა აღნიშნულ მტკიცებულებას დასაშვებად, რაც თავის მხრივ, რა თქმა უნდა, არღვევდა შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარ არსს.

წინათ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლში განმარტებული იყო, რომ დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ ოფიციალურად დაკითხული არ არის, გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, მაგრამ ამავე კანონის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილში შავით თეთრზე ეწერა, რომ დამცველის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ წარმოდგენილი საგანი ან მასალა მტკიცებულების ძალას იძენს მას შემდეგ, რაც პროცესის მწარმოებელი ორგანო გამოიტანს განჩინებას (დადგენილებას) სისხლის სამართლის საქმეზე მისი დართვის შესახებ.

ამასთან, ორგანოს რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს უარი უთხრას პროცესის მონაწილეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროცესის მწარმოებელი ორგანო ცნობს, რომ ეს მტკიცებულება არ განეკუთვნება საქმეს ან როცა არ მიიჩნევს მას დასაშვებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული სახის სამართლებრივი დასკვნის გამოტანა. კერძოდ, თუ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პრინციპებში ადასტურებდა მხარეთა თანასწორობას და იმავდროულად ამბობდა, რომ პროცესი ხორციელდება შეჯიბრებითობის საფუძველზე, მათ შორის, გამოძიების ეტაპზე, ჩვენს მიერ განმარტებული მუხლები მკვეთრად ეწინააღმდეგება აღნიშნულს. მხარის მიერ განხორციელებულ საგამოძიებო ქმედებას, ორმაგი ფორმით ან სასამართლო აფასებს ან ბრალდების მხარე, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითობის პრინციპთან.

ყველა ამ საკითხისადმი მიდგომა რადიკალურად შეცვალა სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა, რომელზედაც მუშაობა დაახლოებით, 2005 წლიდან დაიწყო. სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო საკითხს წარმოადგენდა შეჯიბრებითობა მხარეებს შორის, როგორც გამოძიების ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე. მთავარი აქცენტი კეთდებოდა ღია სასამართლო კამათის პირობებში განხილულ მტკიცებულებებზე და ამით ხაზი ესმებოდა სასამართლო გამოძიების პრიორიტეტულობას, ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებდა წინასასამართლო სტადიაზე, არაგამჭირვალე და ცალმხრივად მოპოვებული მტკიცებულებების წერილობით გაფორმებაზე და შეძლებისდაგვარად დადასტურებაზე, ფორმალურ სასამართლო განხილვაზე.<sup>5</sup>

შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მომენტიდან საერთაშორისოსამართლებრივ სტანდარტს წარმოადგენს. ამ მომენტიდან მხარეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რადგან სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან ერთმანეთთან. თუმცა, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ის საკითხი, რომ გამოძიების ეტაპზე არ არსებობს შეჯიბრებითობა. აღნიშნულის მიზეზი კი, გახლავთ ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე გამოკვეთილი არ გვყავს მეორე მხარე (ბრალდებული და მისი ადვოკატი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის მე-6 მუხლში განმარტებულია, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე. ამავე კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლების თანახმად, პროცესი ხორციელდება თანასწორობის საფუძველზე და სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.<sup>6</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა მოითხოვს, ადამიანებს ჰქონდეთ უფლება სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან საკუთარი უფლებები. აღნიშნული ასევე, მოიცავს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის განმარტებიდან გამომდინარე სასამართლო მოწადინებული უნდა იყოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მხარეებს შეუქმნას თანაბარი პირობები.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ არა ერთ საქმეში დაადგინა, რომ თანაბრობის დაცვა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს განუყრელ უფლებას. აღნიშნული უფლების თანახმად, პროცესის თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა საქმესთან დაკავშირებით თავისი არგუმენტები წარმოადგინოს ისე, რომ უთანასწორობა არ განიცადოს მეორე მხარესთან შედარებით. სტრასბურგის სასამართლომ ასევე, განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა არის მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის მხარეებს.<sup>7</sup>

რაც შეეხება საერთო სასამართლოების პრაქტიკას, ამ მხრივ აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენები, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.<sup>8</sup> საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაფუძნებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე.<sup>9</sup>

## 2. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

დასაწყისში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ ინტერესზე, რომელიც დაკავშირებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან. ერთი მხრივ, ეს არის დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ელემენტი, ხოლო მეორე მხრივ, პირად ცხოვრებაში გარკვეული დოზით ჩარევა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში განმარტებულია, რომ ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.<sup>10</sup> აღნიშნულ უფლებას ასევე, განამტკიცებს არა ერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად, „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.“<sup>11</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის.<sup>12</sup>

თუმცა, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს ნებართვით. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი განმარტავს, რომ „არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.“<sup>13</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია თავის მხრივ, განამტკიცებს, რომ „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“<sup>14</sup>

2014 წლის 18 აგვისტოს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის რეგულირების სფეროს დაემატა ფარული საგამოძიებო მოქმედება. აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მოთხოვნის უფლება მიენიჭა მხოლოდ ბრალდების მხარეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლში განმარტებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები. კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია: სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველ-

ყოფის საშუალებების ინსტალაცია; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ოფიციალურად ძალაში შესვლამდე, არა ერთი ცვლილება განხორციელდა. თუმცა, გამოვყოფთ ერთ რადიკალურ ცვლილებას. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ასამოქმედებელ რედაქციაში XVI თავი (136-143 მუხლები) არეგულირებდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა შეჯიბრებითობის პრინციპთან, რადგან აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა. 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელდა ცვლილებები. თუმცა, როგორც თავდაპირველ ეტაპზე წარმოდგენილი კანონპროექტიდან ვგებულობთ ცვლილება ეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისობის დადგენას პატიმრობის კოდექსთან.<sup>15</sup> აღნიშნული კანონპროექტის მეორე მოსმენის ვარიანტში უკვე გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის შეთავაზებული რედაქციიდან ამოღებულ იქნა XVI თავი (ფარული საგამოძიებო მოქმედებები, 136-143 მუხლები). სამწუხაროდ, აღნიშნული კანონპროექტის განმარტებით ბარათში საერთოდ არ არის საუბარი, თუ რა საფუძვლით განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები.<sup>16</sup>

მიუხედავად თავდაპირველად უარყოფითი დამოკიდებულებისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2014 წლის 18 აგვისტოს შეტანილი ცვლილებების შედეგად, პროცესში გაჩნდა დამატებითი საგამოძიებო მოქმედება, ფარული საგამოძიებო მოქმედება. აღნიშნული ცვლილების შეტანით გარკვეულწილად, დღის წესრიგში დადგა საკითხი, ყოველივე რამდენად შესაბამისობაშია შეჯიბრებითობის პრინციპთან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეის მდგომარეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღმა მოქმედებს საქართველოს კანონი „ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“, რომელიც არეგულირებს სპეციალური სამსახურების მიერ ღია და ფარული მეთოდებით ჩატარებულ ღონისძიებების სისტემას, რომელიც დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ღონისძიებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.<sup>17</sup>

ამდენად, შესაძლებელია გარკვეული სახის სამართლებრივი დასკვნის გამოტანა, იმის გათვალისწინებით, რომ „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს კანონი პრაქტიკულად არ აწესებს არანაირ სტანდარტს ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის, როგორცაა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა. ცალსახაა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების სისხლის სამართლის პროცესში გადატანა წინააღმდეგობა ნაბიჯია, რადგან მსგავსი სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, უკვე საჭირო გახდა ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა იმისათვის, რომ სასამართლოს მხრიდან გაიცეს ნებართვა ან მოხდეს ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაკანონება. თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითობის პრინციპთან, რადგან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ ბრალდების მხარეს და არა აქვს დაცვის მხარეს. ასევე

მნიშვნელოვანია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ბრალდებული არ არის სუბიექტი, რაც შევიბრებიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, არამედ ის არის ობიექტი, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ მასზე ხდება: ვიზუალური კონტროლის განხორციელება, ფარული მიყურადება, მოსმენა და ა. შ.

### 3. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში განმარტებულია, რომ თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.<sup>18</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, მსგავსად ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლების არქონისა, ამ შემთხვევაშიც დაცვის მხარეს არა აქვს უფლება გამოითხოვოს კომპიუტერული მონაცემები, რადგან კანონში პირდაპირ წერია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ბრალდების მხარეს. ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გვაქვს ნორმა, რომელიც განმარტავს, რომ მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები.<sup>19</sup> ამასთან, შევიბრებიანობის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მხარეთა თანასწორობა წარმოადგენს, რაც ჩვეულებრივ, მტკიცებულებების მოპოვების პროცესში თანაბარ შესაძლებლობებს გულისხმობს.

საერთო სასამართლოების ერთ-ერთი სასამართლო განმარტებით: ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობა, სხვაგვარად ეს საგამოძიებო მოქმედება დაკარგავდა იმ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რასაც ემსახურება ფარულ რეჟიმში ინფორმაციის მოპოვება.<sup>20</sup> პრაქტიკის კუთხით, გარკვეულწილად, არათანმიმდევრულად ხდება ნორმის განმარტება. მაგალითისათვის, პრობლემა არის ზღვრის გავლება ამოღებასა და კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვას შორის.<sup>21</sup>

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და განმარტა, რომ სისხლის სამართალწარმოებაში დაცვის უფლება, ბრალდებულისათვის მინიჭებულ სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, სახელმწიფოსა და ბრალდებულის ხელთ არსებული შესაძლებლობების დამაბალანსებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. სისხლის სამართლის პროცესში მხარეს ერთი მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც წარმართავს გამოძიებას მის ხელთ არსებული უზარმაზარი რესურსებითა და უფლებამოსილებით, ხოლო მეორე მხრივ, ბრალდებული, რომლის შესაძლებლობები (მათ შორის, ფინანსური, ადამიანური რესურსები)

როგორც წესი, შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შორის არსებული ობიექტური სხვაობა კომპენსირებული უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მინიჭებული სხვადასხვა საპროცესო ინსტრუმენტებით იმგვარად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით. შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც ზემოთ მოცემულ მსჯელობაშია მითითებული, ეფუძნება მხარეთა პოზიციების, მათი არგუმენტებისა და მტკიცებულებების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას და საბოლოოდ, მიზნად ისახავს განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ბრალდების არგუმენტების გაბათილება, ანდა მათში ეჭვის შეტანა სისხლის სამართლის პროცესში ხდება დაცვის მხარის არგუმენტების წარდგენით, მტკიცებულებების დაპირისპირებით ბრალდების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებთან. სწორედ პაექრობის შედეგად გამოვლენილი გარემოებების შეჯერება წარმოადგენს სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის შეფასებისა და განაჩენის დადგენის საფუძველს.<sup>22</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტს და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებს.<sup>23</sup> ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაცვის მხარეს მიეცა უფლება მოითხოვოს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

#### 4. დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება

2013 წლის 14 ივნისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში შევიდა ცვლილებები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს საგამოძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. საგამოძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე.<sup>24</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებამდე, დაცვის მხარეს არ ჰქონდა უფლება ჩაეტარებინა ისეთი საგამოძიებო მოქმედება, როგორცაა ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილება შეჯიბრებითობის სისტემის სრულყოფილებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, კანონის ამოქმედებამდე, პარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა კანონპროექტზე წარადგინა შენიშვნა, რომელიც გაზიარებული იქნა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან და დამტკიცდა როგორც კანონი. შედეგად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლს დაემატა მე-10 ნაწილი და გაკეთდა ჩანაწერი, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის

შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება მიენიჭა ბრალდების მხარეს.<sup>25</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კანონპროექტს საქართველოს პრეზიდენტმა დაადო ვეტო. თუმცა, პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ორგანოსათვის გადაგზავნილ მოტივირებულ შენიშვნებში საუბარი არ არის იმ ფაქტზე, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული საგარაუდო მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს და ეს ყოველივე არღვევს შეჯიბრებითობის სისტემას.<sup>26</sup>

ამდენად ცალსახაა, რომ აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითობის სისტემასთან, რადგანაც შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად განსაზღვრავენ რა მტკიცებულებებს მოიპოვებენ და წარადგენენ სასამართლოში. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის ამავე კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილთან, სადაც განმარტებულია, რომ თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს, გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.<sup>27</sup>

## 5. მოწმეთა დაკითხვა/გამოკითხვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის რედაქცია) თანახმად, პირი რომელიც ფლობდა საქმესთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაციას, ვალდებული იყო გამოძიებლის მიერ გამოძახებისათანავე გამოცხადებულიყო საგამოძიებო ორგანოში და ეთქვა ყველაფერი, რაც იცოდა მომხდარ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. თავდაპირველ ეტაპზე ამ წესს სახელმწიფომ და საზოგადოებამ ერთობლივად უნდობლობა გამოუცხადეს. ამ მიზნით, 2009 წლის ოქტომბერში, სახელმწიფომ შეიმუშავა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც მოწმის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ჩაანაცვლა მოწმის მიერ ინფორმაციის მიწოდების ნებაყოფლობითობამ. უკანასკნელი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აგებულია არა იძულებამდე, არამედ თანამშრომლობამდე და შესაბამისად, ამგვარი გზით მიღებული ინფორმაციის მიმართ არ გაჩნდება ეჭვები მისი შესაძლო შეცვლის ან სანდოობის თაობაზე. თუმცა მოწმის გამოკითხვის წესის სრულყოფილი ამოქმედება კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო, აღნიშნულის მიზეზები კი, წლების მიხედვით განსხვავდებოდა.

2015 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რის შედეგად ნორმა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნას მხარეთა მიერ. დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის დეფინიციის მიხედვით კი, გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, ვალდებულია გამოკითხ-

ვის ჩამტარებელ მხარეს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის ინსტიტუტის მთავარი პრინციპი სწორედ ნებაყოფლობითობაზე არის დამოკიდებული და ყოველგვარი დავალდებულება წინააღმდეგობაში მოდის გამოკითხვის ინსტიტუტთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პირი თუ დათანხმდება ინფორმაციის მიწოდებაზე, ხდება პირის გაფრთხილება ცრუ ინფორმაციის ან ცრუ დასმენის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ამ შემთხვევაში ლოგიკურია, იქმნება გარკვეული სამართლებრივი ხარვეზი, რადგან გამოკითხვის ინსტიტუტის მთავარი პრინციპი იკარგება. ამ მიმართულებით აბსოლუტურად ვიზირებთ ზაზა მეიშვილის მოსაზრებას, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ყოველივე ქმნის უხერხულ სიტუაციას და აჩენს კითხვის ნიშნებს.<sup>28</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, გამოძიების სტადიაზე როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ: ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. 2015 წლის 18 დეკემბერს, აღნიშნულ მუხლში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე, დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ანდა ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. აღნიშნული კი, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის შეჯიბრებითობის პრინციპთან, რადგან აქაც ვლინდება ბრალდების მხარისა და დაცვის მხარის უთანასწორობა. მოწმის დაკითხვის ინსტიტუტთან დაკავშირებით განხორციელებულმა ცვლილებებმა გარდა იმისა, რომ გამოკითხვის ინსტიტუტის განვითარებას საფრთხე შეუქმნა, იმავდროულად, კიდევ უფრო დააზარალა შეჯიბრებითობის პრინციპი.

სისხლის სამართლის პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად სწორედ მხარეთა რეალურ თანასწორობაზე და შეჯიბრებითობაზე არის დამოკიდებული. განხორციელებული ცვლილებების თანახმად კი, ბრალდების მხარეს აქვს უფლება გამოძიების ეტაპზე ნებისმიერ დროს, მოსამართლის წინაშე განახორციელოს მოწმის დაკითხვა, რაც გულისხმობს მოწმის ვალდებულებას გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება, ამ ვალდებულების შეუსრულებლობისას შესაძლებელია მოწმე იძულების წესით მიიყვანონ დაკითხვაზე. ამის საწინააღმდეგოდ დაცვის მხარეს არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არა აქვს დაავალდებულოს მოწმე ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც მოწმეს აძლევს იმის საშუალებას, თავად გადაწყვიტოს მიაწოდოს თუ არა დაცვის მხარეს მისთვის საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული



ცვლილებების პარალელურად, ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც გაუქმდა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ერთი შეხედვით, ეს მართლაც მნიშვნელოვანი ცვლილება იყო, თუმცა რატომღაც არ გამახვილებულა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ დანაშაულებრივ ქმედებას ცრუ ჩვენების მუხლს ჩაემატა ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც პრაქტიკულად, არაფრით განსხვავდება გაუქმებული სადამსჯელო ღონისძიებისაგან. ამდენად, დღეის მდგომარეობითაც, თუ პირი გამოძიებას სხვა ინფორმაციას მიაწოდებს, ხოლო სასამართლოში სხვა ფაქტობრივ გარემოებებს განმარტავს კვლავ არსებობს იმის საშიშროება, რომ მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი კი არ გაუქმებულა, არამედ ერთ მუხლში გაერთიანდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის ინსტიტუტი გარკვეული ვადით (გარკვეულ მუხლებზე)<sup>29</sup> კიდევ გადაიდო და საბოლოოდ შემუშავებული ინიციატივა, რომელიც კანონად იქცა, არ აღმოჩნდა ოქროს შუალედი. დღეის მდგომარეობით, რიც დანაშაულებზე კვლავ საგამოძიებო ორგანოში ხდება მოწმის დაკითხვა, ხოლო რიც დანაშაულებზე გამოკითხვამ ფორმალური ხასიათი მიიღო, რადგან მთავარი არსი, რომ მოწმემ ნებაყოფლობით ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოსთან და დაეხმაროს გამოძიებას რეალური სურათის აღდგენაში, კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება. რა თქმა უნდა, არსებობს რისკი იმისა, რომ საქართველოში პირი არასოდეს გამოცხადდება საკუთარი სურვილით პოლიციაში და არ მიაწვდის ინფორმაციას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც მას ექნება საშუალება უარი თქვას ამ ყველაფერზე. თუმცა, კანონმდებლობაში არსებობს საკმარისი სამართლებრივი ბერკეტი, რომ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანომ პირი სავალდებულო წესით დაკითხოს მოსამართლის წინაშე, სადაც უკვე პირის გამოცხადება და ინფორმაციის მიცემა მისი ვალდებულება იქნება.

მოწმის დაკითხვის კუთხით, აღსანიშნავია საერთაშორისო გამოცდილება. კერძოდ, ინგლისსა და უელსში პოლიციას არასდროს ჰქონია უფლება რაიმე იძულებითი ფორმა გამოეყენებინა მოწმისადმი. შესაბამისად, მოწმის გამოცხადება პოლიციის განყოფილებაში და ჩვენების მიცემა პოლიციისათვის მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტი შეიძლება იყოს. დასაშვებია მოწმის იძულება მხოლოდ სასამართლო პროცესზე და არა სხვა ადგილას გამოცხადების მიზნით. სამეფო პროკურატურას და პოლიციას არა აქვთ უფლება, დაკითხონ მოწმეები სასამართლოს გარეთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ მოწმეთა გამოკითხვა მათივე თანხმობით. პოლიციას და პროკურატურას არა აქვთ უფლება, აიძულონ მოწმე, ითანამშრომლოს გამოძიებასთან.<sup>30</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს განსხვავებული საფუძველი – ეს არის მნიშვნელოვანი მოწმის დაკავება. მნიშვნელოვანი მოწმის დაკავებისა და დაპატიმრების უფლებამოსილება წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნეში, მოწმის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი და ნათლად ჩამოყალიბებული პროცედურის საფუძველზე. არსებობს მოწმეთა დაკითხვის კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელიც მხოლოდ აშშ-ს ახასიათებს. აშშ-ში არსებობს მსაჯულთა დიდი კოლეგია, რომელთაც უფლება აქვთ, იძულებით უზრუნველყოს მოწმის გამოცხადება მისი დაბარების

გზით იმისათვის, რომ რაიონულმა პროკურორმა დაკითხოს მოწმე მოსამართლის ან დამცველის გარეშე, მაგრამ მსაჯულთა თანდასწრებით.<sup>31</sup> საფრანგეთში ჯერ კიდევ, დასაშვებია მოწმის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, ვინაიდან ამ ქვეყნის სამართლის სისტემა აგებულია „სა-ჯარო წესრიგის“ პრინციპზე. გერმანიის პოლიციას უფლება არა აქვს, მოწმეთა მიმართ გამოიყენოს იძულება მათი გამოცხადების მიზნით.<sup>32</sup>

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში სამართლიანობის პრინციპის თანახმად, აუცილებელია დაცული იქნას მხარეთა თანასწორობა. თავის მხრივ, შეჯიბრებითი სისტემისათვის მნიშვნელოვანია მხარეთა თანასწორობა დაცული იქნას მკაფიო და განჭვრეტადი საკანონმდებლო რეგულაციით, ამისათვის საჭიროა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. უპირველესად კი, მნიშვნელოვანია ბრალდების მხარეს და დაცვის მხარეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში.

#### შენიშვნები:

- <sup>1</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ძვ. რედაქცია), 58-ე მუხლი.
- <sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- <sup>3</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2007, მე-15 მუხლი.
- <sup>4</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2007, 111-ე მუხლი.
- <sup>5</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტებითი ბარათი, [http://www.justice.gov.ge/index.php?sec\\_id=372...id \[15.02.2013\]](http://www.justice.gov.ge/index.php?sec_id=372...id [15.02.2013]).
- <sup>6</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2010 წლის რედაქცია), მე-6, მე-9, 25-ე მუხლები.
- <sup>7</sup> Jaspers v, Belgium, 1980 წლის 15 ოქტომბერი, file://C:/Users/User/Downloads/JESPER%20v.%20BELGIUM.pdf
- <sup>8</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ 2016 წლის 10 მაისს გამოტანილი განაჩენი №652აპ-15.
- <sup>9</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება №14აპ-15.
- <sup>10</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მე-20 მუხლი.
- <sup>11</sup> ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 177-178.
- <sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- <sup>13</sup> იხ.: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-17 მუხლი.
- <sup>14</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-8 მუხლი.
- <sup>15</sup> იხ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების განმარტებითი ბარათი, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/76771>
- <sup>16</sup> იხ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების განმარტებითი ბარათი, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/72130>
- <sup>17</sup> იხ.: საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, თბილისი, 1999, მუხლი 1.

- <sup>18</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010, 136-138-ე მუხლები.
- <sup>19</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010, 111 (1) მუხლი.
- <sup>20</sup> იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2016 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება №1გ/548-16, <http://library.court.ge/judgements/92352016-04-04.pdf>
- <sup>21</sup> იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2016 წლის 04 მაისი განჩინება <http://library.court.ge/judgements/49712016-05-19.pdf>
- <sup>22</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ &27, &38.
- <sup>23</sup> საქართველოს, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სარეზოლუციო ნაწილი.
- <sup>24</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010, 111-ე (2) მუხლი.
- <sup>25</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ კანონპროექტი №741, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/117762?>
- <sup>26</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/22803?>
- <sup>27</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010, 120-ე (10) და 39-ე (2) მუხლები.
- <sup>28</sup> მეიშვილი ზ., მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2016, გვ.19, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2016w-n2.pdf>
- <sup>29</sup> იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010, 332-ე მუხლი.
- <sup>30</sup> ვილდე ბ., ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 2015.
- <sup>31</sup> ვილდე ბ., ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 2015.
- <sup>32</sup> ვილდე ბ., ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, თბილისი, 2015.

# ADVERSARIAL PRINCIPLE AT THE INVESTIGATION STAGE IN GEORGIAN CRIMINAL PROCEDURE

COMPARATIVE-LEGAL ANALYSIS, CASE OF GEORGIA

LEVAN VEPKHVADZE

*Invited Lecturer of the Georgian-American University,*

*Doctoral Student of the Law School of the Georgian-American University*

The current Criminal Procedure Code of Georgia was adopted in 2009, which became effective on October 1, 2010. The new Criminal Procedure Code substantially differs from the previous Criminal Procedure Code of February 20, 1998. It is notable that whereas the old criminal procedure was a mixed one and the inquisitorial principle was more actively applied than the adversarial principle, especially at the investigation stage, now the new criminal procedure is completely based on the adversarial principle. This implies that there are equal terms and conditions provided in the legal proceedings for both parties of the trial – defense and state prosecution. The shift from the inquisitorial principle to the adversarial one can be explained in many ways, but eventually it is possible to say that this subject is so multifaceted and complex that it is unimaginable for anyone today to take responsibility for a perfect explanation of all the currently important aspects of this issue. Considering that a criminal case, as such, starts at the investigation case when the evidence is obtained, in this moment it is important to observe the equality of parties. Notably, enforcement of the new Criminal Procedure Code significantly expanded the rights of the defense, however, the events developed in the practice identified some legal or factual gaps, which is in conflict with the adversarial principle. Considering that the court passes its judgment based on the evidence obtained and presented by the parties, it is even more important to establish a perfect adversarial system with the legislation, to ensure that there are no artificially created barriers for the defense, which would eventually harm the adversarial system.

# კანონზომიერება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სახელმწიფო საიდუმლოების უზრუნველყოფის დროს

კობა ბუაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

## 1.1. ოპერატიულ-სამძებრო თეორიის არსი და საფუძვლები

ოპერატიული სამძებრო თეორია როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი ჩამოყალიბდა კრიმინალისტიკურ მეცნიერებათა დიფერენციაციის საფუძველზე, განვითარდა კრიმინალისტიკის ჩარჩოში და დაიწყო ფორმირება, როგორც ცოდნის სპეციალურმა სისტემამ, რომელმაც შეძლო დამნაშავეთა საიდუმლო მოქმედებათა შესწავლა და მისი დროული გამოვლინება და თავიდან აცილება.

ერთი მხრივ, დანაშაულის მომზადების, ჩამდენი პირების, ჩადენის ხერხებისა და საშუალებების, კვალის დამალვისა და მეორე მხრივ, მათი გამოვლინების არსებულ ტაქტიკურ მეთოდებს შორის გამუდმებით არსებობს დიალექტიკური კავშირი.<sup>1</sup>

დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და მეთოდების, მათი სუბიექტების და სხვა უამრავი საკითხების შესწავლამ კაცობრიობა დაარწმუნა, რომ ეს ურთულესი, მეტად საიდუმლო პროცესია და მისი საფუძვლიანად და მეცნიერულად შესწავლისთვის ერთი ან ორი ხერხი და მეთოდი ვერ იკმარებს და სწორედ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის რთულმა ხასიათმა განაპირობა, რომ შეიქმნა

მეცნიერების რამდენიმე დარგი, რომლებიც გვერდიგვერდ იბრძვიან დამნაშავეობის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, მეთოდები და ხერხები, რომლითაც წარმოებს დანაშაულის თავიდან აცილება თუ გახსნა, დატაცებული ნივთების ამოღება თუ დამნაშავე პირთა დადგენა, ხდება არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესით, კრიმინალისტიკით, კრიმინოლოგიით და სხვა იურიდიული მეცნიერებების დახმარებით, არამედ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებითაც, რომელიც სრულიად განსხვავებული ფორმებითა და მეთოდებით ხასიათდება.

ამგვარი დიფერენციაცია წარმოიშვა არა მარტო იმ სოციალური პრაქტიკით და ვალდებულებით, რომელსაც ცალკეული საგანი აკმაყოფილებს, არამედ იმ შინაგანი შემადგენლობის ფორმულირებით, რომელსაც შეიცავს დანაშაული, როგორც განსაკუთრებული სოციალური მოვლენა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა შექმნილიყო ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თეორია, როგორც მეცნიერება.

აქვე გვინდა მოკლე ისტორიული მიმოხილვა გავაკეთოთ იმ პირველი ნაბიჯებისა, რომელიც გამოჩნდა სპეციალურ ლიტერატურაში ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის საგნისა და ცნების შესახებ, რომელიც რუსი მეცნიერების ა. ი. ალექსეევისა და გ. კ. სინილოვის მიერ 1973 წელს დაიწყო. მათ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში, როგორც მეცნიერებაში სამი ძირითადი მომენტი ასახეს: 1. დამნაშავეობასთან ბრძოლის იმ სისტემის დახასიათება, რომელიც ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით; 2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების გამოკვლევა; 3. შესწავლა იმ სისტემისა (სამართლებრივი და სხვა), რომელიც ამ მოღვაწეობის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია.<sup>2</sup>

ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობამ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ განიცადა ცვლილება. მაგალითად, 1976 წელს, რუსმა მეცნიერმა ა. გ. ლეკარმა აუცილებლად მიიჩნია მეცნიერულად განსაზღვრულიყო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების სამართლებრივი ბუნება, სამართლებრივი ხასიათი.<sup>3</sup> ასეთი ხარისხით და წვდომით კვალდაკვალ გავყოლოდით კავშირის კანონზომიერებას დანაშაულის ჩადენის საიდუმლო ხასიათსა და მისი აცილების თუ გახსნისათვის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა საჭიროებას, შესაძლებლობას და ხერხს. ამავე აზრის იყო მეცნიერი ვ. კ. ლუკაშოვი.<sup>4</sup>

1977 წელს, დ. ვ. გრებელსკიმ განაზოგადა ამ საკითხთან არსებული თითქმის ყველა ცოდნა და მოგვცა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონზომიერების კლასიფიკაცია, რომელიც შეიცავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თეორიას, დანაშაულის წარმოშობას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანიზაციისა და შემეცნებით მოღვაწეობას. ამასთან, მითითებულ კლასიფიკაციაში ხაზი გაუსვა, რომ დანაშაულის გამოვლენა, საფუძველი და სისტემატიზირება, ასევე, კვლევა მათი ზოგადი და შედარებითი კონკრეტული კანონზომიერებისა, მუდმივ სამეცნიერო კვლევის ამოცანას წარმოადგენს.<sup>5</sup>

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედარებით სხვაგვარი კლასიფიკაცია მეცნიერმა ვ. მ. ატმაჟიტოვმა განავითარა და ასეთის სახისა და თანმიმდევრობისაა:

- ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის წარმოშობა, მისი აღმოჩენა, მიღება, შემოწმება და დაფიქსირება;

- ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მოქმედება ინფორმაციის გამოყენებისას;
- ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობის ორგანიზაცია;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სამართლებრივი რეგულირება.<sup>6</sup>

მეცნიერი ი. ა. კლიმოვიჩი მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა თეორიის საგნის შემეცნება, როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერებისა, მდგომარეობს სხვა საზოგადოებრივ მხარეებთან კანონზომიერ კავშირში.<sup>7</sup>

ამასთან, შეგროვილი პრაქტიკული და თეორიული მასალები საშუალებას გვაძლევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თეორიის განმარტება მოხდეს მეცნიერულად.

მიგვაჩნია, რომ იგი არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს დანაშაულის ჩადენის კანონზომიერებასა და მექანიზმს, საერთოდ, კრიმინალური გარემოს მართლწინააღმდეგობას, ინფორმაციის წარმოშობას დანაშაულისა და მის ჩამდენ პირთა შესახებ, მათზე ფაქტობრივი მონაცემების შეკრებას, შეფასებას და გამოყენებას. ძალებისა და საშუალებების სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური დამუშავების საფუძვლებს და მათ ეფექტიან გამოყენებას დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

## 1.2. კანონზომიერება, ოპერატიულ-სამძებრო თეორიის ახსნისა და შემეცნების დროს

მოძღვრება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ ეყრდნობა შემეცნების საერთო სამეცნიერო მეთოდებს და სწავლობს, როგორც დანაშაულის ჩადენის მეთოდებსა და ხერხებს, ასევე პირთა მოქმედებას, მათ განზრახვას დანაშაულის მომზადების, ჩადენის, კვალის დაფარვის, მიმალვისა და სასჯელზე თავის არიდების მექანიზმებს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თეორია სწავლობს ობიექტურ კანონზომიერებას, მოვლენის წარმოშობასა და განვითარებაში. იმ ურთიერთობებს, ფაქტებს, რომელიც განაპირობებს დანაშაულის ჩადენისა და შემდგომ დამნაშავეთა დამალვას. ამასთან, კრიმინალური გარემოს საერთო წინააღმდეგობას და ითხოვს ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებას, უპირატესად უხილავი საშუალებებითა და მეთოდებით, რომელიც მთლიანად მიმართულია დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, გამოსავლინებელად და გასახსნელად.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მეცნიერულმა კვლევამ უნდა შეძლოს გამოავლინოს და გაანალიზოს დანაშაულის ჩადენის მექანიზმები, ასევე საიდუმლო ძალების მოქმედების ის მეთოდები და ხერხები, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა.<sup>8</sup>

ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის ერთ-ერთი მიზანია გამოავლინოს ადრე მომხდარი დანაშაულებანი ყველა სამართლებრივი ნიშნით. ბუნებრივია, ასეთი მოღვაწეობა წარმოადგენს შემეცნების პროცესს.

ოპერატიული მუშაკი იკვლევს ფაქტობრივ მონაცემებს, რომელიც ახასიათებს დანაშაულებრივ მოვლენას, იღებს ყველა აუცილებელ ინფორმაციას ოპერატიული დავალების გადაწყვეტისათვის.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებასთან ერთად, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა და ამასთან, დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენა მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს, იგი მოითხოვს ამაღლებულ პროფესიულ ოსტატობას, მნიშვნელოვან ინტელექტუ-

ალურობას, ფსიქიკურ და ფიზიკურ სიმყარეს, რათა გადალახოს სიძნელებები მუშაობის პროცესში.

ცნობილია, რომ მიუხედავად დანაშაულის ჩადენის პირობებისა, დამნაშავის მოქნილობისა, კვალის დაფარვისათვის, მოვლენათა და საგანთა საყოველთაო ურთიერთკავშირისა და ურთიერთ-განპირობებულობის გამო, კვალი ყოველთვის რჩება.<sup>9</sup>

ნიშნები ამა თუ იმ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისა აღიბეჭდება გარემომცველ სხეულებზე ნაირგვარი ფორმით და ხარისხით. აღბეჭდვისას, ყველა სახე კანონზომიერად განპირობებულია და წარმოიშობა ფაქტობრივი მონაცემებით, როგორც მტკიცებულებითი მასალა, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ინფორმაციის წყაროს დანაშაულებრივი გარემოების ირგვლივ. ასეთი მონაცემები ემსახურება ამოსავალს, რათა გაიხსნას ყოველი ფაქტი, ეპიზოდი და ამოვიცნოთ გარემოებათა ერთიანობა, რომელიც ახასიათებს მთლიანად დანაშაულის ბუნებას.

ოპერატიული მუშაკებისაგან დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების ამოცნობა არსებითად ჭეშმარიტების დადგენაა იმ კრიტერიუმებისა, რომელიც აბსოლუტურად გვიიოლებს დანაშაულის გახსნისათვის ბრძოლას.<sup>10</sup>

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა შეიძლება განვიხილოთ ორ ასპექტში: ა) როგორც ობიექტი სამეცნიერო შემეცნებისა და როგორც ბ) პრაქტიკული მოღვაწეობა ოპერატიული მუშაკისა დანაშაულებრივი გარემოებების დასადგენად.

ოპერატიული მუშაკი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად იძენს გარკვეულ ცოდნას დანაშაულის ნიშნების შესახებ, მათ შორის, დანაშაულის ჩადენის ხერხების, მოტივების, მიზნის ჩამდენი პირების თანამონაწილეობის შესახებ. ამოცნობა ობიექტური სინამდვილისა, გამოხატავს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მთლიან მოღვაწეობას.

მიგვაჩნია, რომ შემეცნების პროცესი ორ მომენტს შეიცავს: ა) გრძნობადს და ბ) რაციონალურს.

გრძნობადი შემეცნება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში როგორც სხვა სახის ამოცნობით მოღვაწეობაში, გამოხატულებას პოულობს ისეთ ფორმაში, როგორიცაა შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა. იგი ფორმირდება ოპერატიული მუშაკის გონებაში, განსაკუთრებით, როდესაც იგი ახორციელებს ისეთ ოპერატიულ საქმიანობას, როგორიცაა მეთვალყურეობა, დაკვირვება და შესაბამისი ორგანოებით აღიქვამს საქმისათვის საჭირო გარემოებებსა და ფაქტებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ქმნის ახალ გადამუშავებულ აზრს, რის შემდეგ აფიქსირებს ცნობას სათანადო დოკუმენტში.

გრძნობადი აღქმის დროს, რომელსაც ოპერატიული მუშაკი ახორციელებს მტკიცებულებათა შეკრების ან ცალკეული შემოწმების პროცესში, აქტიური მნიშვნელობა აქვს მათ გულდასმით გააზრებას. გრძნობადი აღქმა სუბიექტისაგან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს, მტკიცებულებათა ამოკრების ან შემოწმების წარმოებისას, ყოველთვის გააზრებულია. აზრი ყოველთვის ორგანულად არის ჩაქსოვილი პრაქტიკულ საქმიანობაში, ოპერატიული ინფორმაციის შეკრების ან შემოწმების მომენტში. მისი დახმარებით კი, განისაზღვრება აღქმის მიმართულება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შინაარსის შემოწმებასა და შეფასებაში. ოპერატიული მუშაკის მიერ მოქმედების ღრმად გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოკითხვის წარმოების დროს.\*

\* **საზი ჩემია:** მაგალითად, სახელმწიფო მოხელისათვის ამა თუ იმ ფაქტზე თუ მოვლენაზე კითხვების ფორმულირებისას, რომელიც გარკვევას ექვემდებარება, პასუხების მიღების შემთხვევა ისევ ქმნის ახალი კითხვის წარმოშობის აუცილებლობას და ა. შ.



### 1.3. სახელმწიფო საიდუმლოების უზრუნველყოფა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დროს

საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ საქმიანობის განხორციელების დროს, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას, როგორც არის:

- საიდუმლო ძალების, საშუალებების, წყაროების, მეთოდების, გეგმებისა და შედეგების შესახებ კონსპირაციულობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჩანერგილნი არიან ორგანიზებულ დანაშაულებებში, არიან შტატიანი საიდუმლო თანამშრომლები, რომლებიც საქმიანობენ ოპერატიულ-სამძებრო განყოფილებებში, არიან კონფიდენტები და ამზადებენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ტაქტიკას;
- გადმოცემული ცნობები ორგანიზებულ დანაშაულში ჩანერგილ პირებზე;
- საიდუმლო თანამშრომლებზე, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის საშტატო მუშაკებზე, კონფიდენტებზე;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ნებართვაზე სასამართლოს გადაწყვეტილება და მასალები, რომლის ძალითაც ჩატარდა ეს ღონისძიება. იგი ინახება მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო განყოფილებაში;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, რომელთა წარდგენა შეიძლება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში, სხვა ოპერატიულ-სამძებრო განყოფილებაში.<sup>11</sup>

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ მისი ეფექტიანი და მიზნობრივი წარმართვისათვის ითვალისწინებს მის საიდუმლოების დაცვას და მონაწილე პირთა უსაფრთხოებას.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების მონაწილე სუბიექტების საიდუმლოების დაცვა იძლევა ამ დანაყოფის უსაფრთხოების გარანტიას და განაპირობებს მათ საერთო და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ყოველივე ამ საკითხების კანონიერ და წარმატებულ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების თანმიმდევრული დაცვა და შესრულება. ურთიერთობა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ.<sup>12</sup>

სახელმწიფო საიდუმლოების ცნების ქვეშ იგულისხმება დაცული სახელმწიფო საიდუმლოება, კერძოდ: სამხედრო, შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო საქმიანობა და მისი შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობანი.

სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება ის ძალები, რომლებიც გამოყენებულნი იქნენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების საიდუმლო წარმოების დროს. ასევე, ის საშუალებები, წყაროები, მეთოდები, გეგმები და შედეგები, ის პირები, რომლებმაც ამ სამსახურებს გაუწიეს დახმარება, თანამშრომლობა კონფიდენციალურ საწყისებზე, ასევე, ის პირები, რომლებმაც ტაქტიკური ორგანიზება გაუკეთეს ღონისძიებას.

მიგვაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ორგანიზება და ტაქტიკა ეს არის ინფორმაციების მიღება, ღონისძიების დახასიათება, მომზადება, ძალებისა და საშუალებების მიზნობრივი და

ეფექტიანი მოქმედება, ხერხებისა და მეთოდების ზუსტი გამოყენება, ხელმძღვანელობა და უშუალო მეთვალყურეობა ღონისძიების მსვლელობაზე.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ტაქტიკურობა – ეს არის მიზანმიმართული წესრიგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მიმდინარეობაში, ხერხებისა და მეთოდების ოპტიმალური შემჯერება და გაერთიანება, ცალკეული ეპიზოდების ერთმანეთთან შერწყმა და შერჩევა, საიდუმლო და არასაიდუმლო ღონისძიებათა დროულობა და თანმიმდევრობა, საიდუმლო და არასაიდუმლო თანამშრომელთა გამოყენების დროულობა, ადგილის შერჩევა და სხვა მრავალი.

ამასთან, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ძალები არიან სუბიექტები, რომლებიც თანამოქმედებენ ღონისძიების ჩასატარებლად. ორგანოთა თანამდებობის პირები, რომლებიც მართავენ ძალთა მოქმედებას, საშტატო არასაიდუმლო და საიდუმლო თანამშრომლები, კონფიდენტები, სანდო პირები, აგენტები და სხვა სპეციალისტი და არასპეციალისტი პირები.

დასასრულ, საფუძველი იმისა, რომ ესა თუ ის ცნობა მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოებას მდგომარეობს იმაში, რომ დადგინდეს ამ ცნობის ან ამ ვითარების გასაიდუმლოების მიზანმიმართულება და საჭიროება, გახმაურების შემთხვევაში, მოსალოდნელი საფრთხე.

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა გარანტირებულია მთელი რიგი სამართლებრივი და ორგანიზაციული საშუალებით. კერძოდ, კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაციით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ღია და ფარული საქმიანობით, იმ ობიექტების განსაზღვრით და დაცვით, საიდანაც ვლტებულობთ ინფორმაციებს.

ცნობები, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროში უზრუნველყოფილია მათთან პირთა დაშვების ისეთი წესებით და სიფრთხილით, როგორც თვით საიდუმლო ცნობებისათვის არის დაწესებული.

პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებთან, საიდუმლოების მიმართ დანაშაულებრივი მოპყრობის შემთხვევაში, კანონით ისჯებიან.

სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები კი, ვალდებულნი არიან შექმნან პირობები, რათა მაქსიმალურად დაცული იქნას ასეთი ცნობების შემცველი დოკუმენტაცია.

#### შენიშვნები:

1. Горбунов А.Г., Диалектическая логика, М., 1998, стр. 241.
2. Алексеев А.И., Синилов Г.К., Оперативно розыскное право М., 1973, стр. 211-214.
3. Лекар А.Г., Оперативно розыскное право, М., 1976, стр. 216.
4. Лукашов В.К., Методы оперативно-розыскной деятельности, М., 1984, стр. 163.
5. Гребельский Д.В., Оперативно розыскное право, М., 1977, стр. 108.
6. Аتماжитов Б.М., Оперативно-розыскное деятельность, М., 1991, стр. 84-89.
7. Климович И.А., Теория оперативной деятельности, М., 1996, стр. 105-108.
8. Корукин А.Г., Экономико-правовые и нравственные аспекты борьбы с преступностью, Екатеринбург, 1997, стр. 89.
9. Савин В.Ю., Опыт использования портативного анализатора голоса и следа при поведении оперативно-розыскной мероприятий, М., 1994, стр. 61.
10. Назаревич С.О., Расследование уголовного дела, М., 1999, стр. 216.
11. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ,“ მუხლი 5; 14; 30.04.1999.
12. საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ,“ მუხლი 2; 25; 28; 19.02.2015.

# LEGITIMACY DURING OPERATIVE-SEARCH MEASURES AND FOR SECURING STATE SECRETS

KOBA BUADZE

*Akaki Tsereteli State University,  
Associated Professor at the Law Department*

Teaching about operative-search measures is based on common research methods of knowledge and studies not only the means and ways of committing a crime, but also the persons' conduct, intent, and mechanism of preparation and commission of a crime, hiding traces, fleeing and avoiding penalties.

Theory of operative-search measures also studies the objective legitimacy in regards to the emergence and development of events, including the relations and facts that create grounds for committing a crime and then for hiding criminals. Besides, it looks at common resistance of criminal environment and requires implementation of adequate measures, mostly by invisible means and methods, which are completely aimed at preventing, uncovering and investigating the crime.

Scholarly research of operative-search measures should be able to reveal and analyze mechanism of committing a crime, also those methods and ways of functioning of secret forces, which will make it possible to fight against anticipated grave and especially grave crime.

Besides, practical and theoretical materials provide opportunity to produce scholarly definition to the theory of operative-search measures. We think that the theory of operative-search measures is a field of research, which studies the logic and mechanism of committing a crime, and unlawfulness of criminal environment in general. It also studies how information is produced about crime and persons committing the crime, collection, evaluation and application of factual data about them, also grounds of legal, organizational and tactical elaboration of forces and means, and their effective utilization in the fight against criminals.

We think that this definition contain very serious elements, and it is undoubtedly necessary to consider each of them individually.

# უმაღლესი იურიდიული განათლება, როგორც თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის განხორციელების აუცილებელი პირობა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

მარინე მარინაშვილი  
სამართლის დოქტორი

## შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, აძლევს საშუალებას მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო თანამდებობის დაკავების პროცესში. თანამდებობის დაკავება დამოკიდებულია კანონმდებლობით წინასწარ დადგენილ წესზე. ამდენად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს კონსტიტუცია აღჭურავს უფლებით არჩევისა თუ დანიშვნის გზით დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა, თუმცა, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს და არ ეხება საადვოკატო საქმიანობის მოწესრიგების საკითხებს. სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთი მხრივ, საადვოკატო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებს ე. წ. „თავისუფა-

ლი პროფესიის პირი,“ ხოლო მეორე მხრივ, საჯარო სამსახურში და სახელმწიფო თანამდებობაზე მოღვაწეობას, რომლის პირობების კანონით განსაზღვრის ვალდებულებასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა, სასამართლოს აზრით, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ თითქოს სახელმწიფოს არა აქვს უფლება კანონით განსაზღვროს კერძო სამსახურის ძირითადი პირობები.<sup>1</sup>

ამდენად, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არ ეხება კერძო სფეროში საქმიანობის რეგულირებას, თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ მხოლოდ საჯარო სამსახურის პირობები შეიძლება დარეგულირდეს კანონმდებლობით.

შესაბამისად, ამა თუ იმ თანამდებობის თუ საქმიანობის განსახორციელებლად კანონმდებლობით დადგენილია სხვადასხვა საერთო მოთხოვნები, კერძოდ: მოქალაქეობა, ასაკი, განათლება, პროფესიული გამოცდილება და სხვ. ზოგიერთი თანამდებობის დასაკავებლად თუ საქმიანობის განსახორციელებლად კანონმდებელი ადგენს სპეციფიკურ განათლებას კერძოდ, უმაღლესი იურიდიული განათლება. ჩვენი განხილვის საგანია სწორედ „უმაღლესი იურიდიული განათლების“ მოთხოვნა, როგორც ამა თუ იმ თანამდებობის დაკავების თუ საქმიანობის განხორციელების (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი და სხვ.) ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ვიდრე უშუალოდ „უმაღლესი იურიდიული განათლების“ მოთხოვნის განმარტებაზე გადავალთ, ვფიქრობთ, უპრიანია, განვიხილოთ უმაღლესი განათლების ცნება და მისი საფეხურები.

## I. უმაღლესი განათლების ცნება და მისი საფეხურები

უმაღლესი განათლება არის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ერთ-ერთი უფლება, რომელიც ამავდროულად, სხვა უფლებების განხორციელების საშუალებაა, თუნდაც თანამდებობის დაკავების. საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 21 დეკემბერს მიიღო საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელმაც რადიკალურად შეცვალა წლების განმავლობაში არსებული უმაღლესი განათლების სისტემა. კანონმდებელი შეეცადა ახალი სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას თუმცა, ბევრი საკითხი დღემდე ღიად დარჩა, მაგალითად, „იურიდიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>2</sup> პარლამენტმა ჯერაც ვერ მიიღო, არადა, კანონმდებლობით მთელი რიგი თანამდებობის დაკავების თუ საქმიანობის განხორციელების აუცილებელი პირობაა – უმაღლესი იურიდიული განათლება.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის <sup>35</sup> პუნქტის თანახმად, უმაღლესი განათლება არის სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით. კანონი ადგენს უმაღლესი განათლების სამ საფეხურს: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა (46-ე მუხლი).

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.<sup>3</sup> კერძოდ:

მაგისტრატურაში სწავლის ერთ-ერთი მიზანია სპეციალობის შეცვლა, რომელიც რეგულირებადი პროფესიის დროს ვერ იქნება განხორციელებული.<sup>4</sup> რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.<sup>5</sup> კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეგულირებად აკადემიურ უმაღლეს პროგრამებს განეკუთვნება იურიდიულიც. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, კანონმა ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ დაადგინა, რაც დღეს არაერთგვაროვან პრაქტიკას აყალიბებს. 2015 წლის 27 ნოემბრის ცვლილებებით დადგინდა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შეზღუდვა რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში. კანონის მიღებიდან, ანუ 2004 წლიდან 2015 წლამდე გარკვეულმა პირებმა, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნდათ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი დაასრულეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა. ისმის კითხვები უნდა ჩაითვალოს თუ არა ასეთი პირი უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ? სამართლის მაგისტრად ან მასთან გათანაბრებულ პირად? ამ კითხვებზე დღეს პრაქტიკაში არაერთგვაროვანი პასუხია გაცემული, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით, კონკრეტულ თანამდებობასთან მიმართებით გვექნება საუბარი.

დაბოლოს, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი). დოქტორანტურაში სწავლის მიზანია სამეცნიერო კადრის მომზადება.<sup>6</sup> კანონი, რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისაგან განსხვავებით, არავითარ შეზღუდვას არ ადგენს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებაზე. ამდენად, პირს შესაძლოა სულაც არ გააჩნდეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მაგრამ აქვს სრული უფლება ჩაირიცხოს და დაამთავროს სამართლის სადოქტორო პროგრამა. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დაკავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა (გარდა გამონაკლისისა) დოქტორის აკადემიური ხარისხი.<sup>7</sup> შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, პირი რომელსაც არ გააჩნია სამართლის ბაკალავრის თუ სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი შეიძლება გახდეს სამართლის დოქტორი და დაიკავოს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა. ვფიქრობთ, დოქტორანტურის მიზნების გათვალისწინებით, რეგულირებადი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართლის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად დოქტორანტობის კანდიდატს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

როგორც ცნობილია, 2004 წელს განხორციელებული რეფორმით, დამკვიდრდა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა, რამაც განაპირობა კანონმდებლობაში ტერმინი – „...მასთან გათანაბრებული ხარისხის“ შემოღება. კერძოდ, 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე, ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრდა მაგისტრის დიპლომთან. ხოლო 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე მიღებული ერთსაფეხურიანი, ხუთ წელზე ნაკლები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრდა ბაკალავრის დიპლომთან.<sup>8</sup> კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი კი, გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.<sup>9</sup>

დღეს მოქმედი კანონის მიღებამდე, საქართველოში შესაძლებელი იყო პირს, რომელსაც დასრულებული ჰქონდა ერთსაფეხურიანი 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა მიეღო მეორე

სპეციალობა 4-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად. 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე მეორე სპეციალობის ერთსაფეხურიანი, 4-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომი, რომლის მიზნებისთვისაც ხდებოდა პირველი სპეციალობის ფარგლებში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგების გათვალისწინება და რომელიც განიხილებოდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის იმავე სპეციალობის 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის იდენტურად, კანონმდებელმა ასევე გაათანაბრა მაგისტრის დიპლომთან.<sup>10</sup>

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვით უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირად უნდა ჩაითვალოს: სამართლის ბაკალავრი, სამართლის მაგისტრი და სამართლის დოქტორი. ამასთან პირი, რომელმაც 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულა ხუთწლიანი ერთსაფეხურიანი სამართლის პროგრამა გათანაბრებულია სამართლის მაგისტრთან და შეუძლია დაიკავოს თანამდებობა, სადაც მოეთხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ხოლო პირი, რომელმაც 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულა ოთხწლიანი ერთსაფეხურიანი სამართლის პროგრამა გათანაბრებულია სამართლის ბაკალავრთან. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი კი, პირს აძლევს უფლებას დაიკავოს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა. დაბოლოს, თუ პირს იურიდიული განათლება მიღებული აქვს მეორე სპეციალობის სახით 4-წლიანი ერთსაფეხურიანი პროგრამის დასრულების შედეგად, კანონმდებელი ათანაბრებს მას სამართლის მაგისტრთან, ანუ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ უნდა ჩაითვალოს.

## II. „უმაღლესი იურიდიული განათლების“ მოთხოვნის განმარტება თეორიასა და პრაქტიკაში

საქართველოს კანონმდებლობით მთელი რიგი თანამდებობების დასაკავებლად ერთ-ერთ მოთხოვნად დადგენილია უმაღლესი იურიდიული განათლების ფლობა, მაგალითად: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრი,<sup>11</sup> საპროკურორო საბჭოს წევრი,<sup>12</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი,<sup>13</sup> იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი,<sup>14</sup> საზოგადოებრივი დამცველი<sup>15</sup> და სხვ. ბუნებრივია, ჩვენი განხილვის საგანი ვერ იქნება ყველა თანამდებობა, რომლის დასაკავებლად მოთხოვნილია უმაღლესი იურიდიული განათლების ფლობა. ჩვენი ინტერესის საგანია დავადგინოთ ვინ იგულისხმება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირად და როგორ განიმარტება აღნიშნული მოთხოვნა პრაქტიკაში. სტატიის პირველ ნაწილში გაკეთებული დასკვნის შედეგად ლოგიკურია, რომ განსახილველ შემთხვევებში პირი შეიძლება დაინიშნოს ზემოაღნიშნულ რომელიმე თანამდებობაზე თუ მას აქვს მინიმუმ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სწორედ ასე განმარტავს ნორმას საქართველოს პარლამენტი,<sup>16</sup> რაც სადავოდ არც ერთმა ორგანომ არ უნდა გახადოს და პირს არ უნდა მოსთხოვოს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი თუ კანონით მოთხოვნილია უმაღლესი იურიდიული განათლება აკადემიურ ხარისხზე მითითების გარეშე.

შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უმაღლესი იურიდიული განათლების უფრო დაბალ სტანდარტს უდგენს, ვიდრე საერთო სასამართლოს მოსამართლეს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს პირი თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება<sup>17</sup>, ანუ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი.

საქართველოს კონსტიტუცია საერთო სასამართლოს მოსამართლისადმი ერთ-ერთ მოთხოვნად აწესებს შესაბამისი იურიდიული განათლების ფლობას (86-ე მუხლის პირველი პუნქტი). „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი განაწესებს კონსტიტუციის მითითებულ ნორმას და მოითხოვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს/უმაღლესი განათლების დიპლომით. ამდენად, საერთო სასამართლოს მოსამართლე აუცილებლად უნდა ფლობდეს სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს/ უმაღლესი განათლების დიპლომით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/207-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ წესის მიზნებისათვის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამართლის ბაკალავრის ან სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა ფლობდეს სამართლის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხსაც. ვინაიდან მოსამართლეობის კანდიდატს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის გარდა, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, რომლის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს როგორც სამართლის ბაკალავრის, ისე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ვერ დაინიშნება მოსამართლედ.

რაც შეეხება სასამართლოს აპარატის მოხელედ (მათ შორის, მოსამართლის თანამშემწედ) დაინიშნისათვის, საქართველოს კანონმდებლობა უმაღლესი იურიდიული განათლების მოთხოვნის დადგენისას, არ უთითებს აკადემიური ხარისხის შესახებ („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტი, 79<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტი). ამიტომ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ორივე აკადემიური ხარისხის ფლობას ამ შემთხვევაში არ მიიჩნევს სავალდებულოდ.<sup>18</sup>

ამა თუ იმ სამართლებრივი კატეგორიის ბუნებას განსაზღვრავს არა სახელწოდება, არამედ მისი შინაარსი. თუ გავითვალისწინებთ მოსამართლის კანდიდატისადმი წარდგენილ ყველა მოთხოვნას ცალსახაა, რომ კანონმდებელი ამ თანამდებობის დასაკავებლად მაღალ სტანდარტს ადგენს. სწორედ ამ ლოგიკით ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხში გულისხმობს, რომ მოსამართლეობის კანდიდატს ერთდროულად სამართლის ბაკალავრის და სამართლის მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი უნდა ჰქონდეს. ვფიქრობთ პირს, რომელსაც არ გააჩნია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მაგრამ ფლობს სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, უნდა ჰქონდეს უფლება ჩააბაროს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. თუ პირი დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს დაინიშნოს თუ არა ასეთი პირი მოსამართლედ.

ისმის კითხვა – თუ კანონმდებელი აწესებს უმაღლესი იურიდიული განათლების მოთხოვნას ხარისხზე მითითების გარეშე, პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს აკმაყოფილებს თუ არა პირობას. 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით, ფაქტობრივად, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა კანონმდებელმა პრაქტიკას, ანუ შესაბამის ორგანოს მიანდო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ნოტარიუსის თანამდებობის და ნოტარიუსობის კანდიდატის მიმართ კანონით დადგენილი უმაღლესი იურიდიული განათლების მოთხოვნა<sup>19</sup> კანონქვემდებარე აქტით განმარტა. კერძოდ, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ ითვლება:



ა) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო (მათ შორის, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის) უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით „სამართლისმცოდნეობა“ ან „საერთაშორისო სამართალი“ და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის“ კვალიფიკაცია;

ბ) პირი, რომელსაც აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აქვს ბაკალავრის, დიპლომირებული სპეციალისტის ან მაგისტრის უმაღლესი აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობის სპეციალობაში, ამასთან, დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ მას ჩაბარებული აქვს შემდეგი საგნები: სამართლის თეორია; საკონსტიტუციო სამართალი; სამოქალაქო სამართალი; სამოქალაქო სამართლის პროცესი; ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი; სამეწარმეო სამართალი;

გ) პირი, თუ მას დამთავრებული აქვს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალობით სამართლისმცოდნეობა, ასევე ლიცენზირებული კერძო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, რომელსაც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს „იურისტის“ კვალიფიკაცია, ამასთან, დიპლომის დანართიდან ირკვევა, რომ მას ჩაბარებული აქვს ზემოთ აღნიშნული საგნები;

დ) პირი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარების შემთხვევაში.<sup>20</sup>

ზემოაღნიშნული განმარტებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ნოტარიუსი ვერ გახდება პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა ორგანომ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას თავი აარიდა. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14<sup>ბ</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ფიზიკურ პირს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით თუ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წარმოების მიმდინარეობისას წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ საჭიროა კომპეტენტური ორგანოს დასკვნა, აღსრულების ეროვნული ბიურო მიმართავს შესაბამის უწყებას, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.<sup>21</sup>

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა უწყებამ – საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, დასმულ კითხვას პასუხი არ გასცა და მიათითა პარლამენტზე.<sup>22</sup>

იურიდიული დახმარების სამსახურმა კითხვაზე პასუხის გაცემას აგრეთვე, თავი აარიდა და აღნიშნა, რომ იურიდიული დახმარების საბჭოს დირექტორის ღია კონკურსის წესით შერჩევისას ხელმძღვანელობს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის ნორმის განმარტებისათვის საკანონმდებლო ორგანოს უნდა მივმართოთ.<sup>23</sup>

საკანონმდებლო ორგანომ კი, განმარტა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის დღეს მოქმედი ნორმა, რომელიც პირს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას აღარ აძლევს თუ მას არ გააჩნია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ზემოთ განხილული ყველა უწყება, რომლის წინაშე დაისვა კითხვა წარმოადგენს სახელმწიფო ან საჯარო სამსახურს. როგორც ითქვა, კანონმდებელმა შესაძლოა მოაწესრიგოს კერძო სფეროში საქმიანობის პირობებიც. კერძოდ, ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს

მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ, 1 წლის სტაჟი.<sup>24</sup> ტესტირების გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს.<sup>25</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განმარტებით, ერთმნიშვნელოვნად გამოცდის ჩაბარების უფლება და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ვინაიდან საქართველოს განათლების სისტემაში 2015 წლამდე კანონის დონეზე იყო დაშვებული, რომ პირს ჰქონოდა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართლის ბაკალავრის ხარისხის გარეშე, ასოციაცია ვერ ხედავს პრობლემას მხოლოდ სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები დაშვებულნი იქნან ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირებაზე.<sup>26</sup> ამდენად, ადვოკატთა ასოციაცია კანონის მოთხოვნას – „უმაღლესი იურიდიული განათლება“ ფართოდ განმარტავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ორი განსხვავებული პოზიცია: საერთო სასამართლოს მოსამართლე, ნოტარიუსი ვერ გახდება პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, მაშინ როდესაც ასეთი პირი შეიძლება ეწეოდეს საადვოკატო საქმიანობას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განმარტებით, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ მაშინ თუკი ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ვინაიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს ცენტრის განცხადებით პირები, რომლებსაც 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიენიჭათ სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის გათვალისწინებული შეზღუდვის მიუხედავად, ითვლებიან სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონედ.<sup>27</sup>

თუ პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს არ იქნება მიჩნეული როგორც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონედ (როგორც ამას ნოტარიუსთა პალატა აცხადებს) ან სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონედ (როგორც ამას იუსტიციის უმაღლესი საბჭო განმარტავს), მაშინ ისმის კითხვა სად შეიძლება პირი დასაქმდეს? კანონქვემდებარე აქტით დადგენილი შეზღუდვა რამდენად კანონიერია?

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი არ ადგენს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თავისუფლებას. სახელმწიფო სამსახურისათვის დადგენილი სპეციფიკური თავისებურებები გამომდინარეობს თვით საგანთა ბუნებიდან. ვფიქრობთ, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაზარალდეს მოქალაქე, ამავდროულად დაცული უნდა იქნას საჯარო ინტერესი, რათა ჩამოყალიბდეს ქმედითი სახელმწიფო მმართველობა და მართლმსაჯულება.

სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება. სამართლებრივი უსაფრთხოება არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და ნიშნავს სამართლის წინასწარ განჭვრეტას. სწორედ აღნიშნული პრინციპის დაცვას ემსახურება სამართლებრივი ნდობის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას სახელმწიფოში. სამართლებრივი ნდობის პრინციპი იცავს პირს, სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. ძირითადად, სამართლებრივი ნდობის პრინციპი გამოიყენება კანონის შინაარსისადმი ნდობასა და კანონის უკუძალასთან დაკავშირებულ საქმეებში.

სამართლებრივი ნდობის პრინციპს ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნ-

ველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი, განაპირობებს კანონმდებლობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისეთი შეხამების ვალდებულებას, როდესაც ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდება დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური და სხვა ხასიათის შეზღუდვებით. კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა სისტემიდან გამომდინარეობს.

ამდენად, პირებს, რომლებსაც არ გააჩნდათ სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ჩაირიცხნენ სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე, ჰქონდათ სამართლებრივი ნდობა და მოლოდინი, რომ ამა თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად მათ მიერ მოპოვებული აკადემიური ხარისხი სადავო არ გახდება. როდესაც პირი ჩაირიცხა სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე, მას ჯერ არ ჰქონდა სარგებელი, მაგრამ იგი ფლობდა კანონიერ მოლოდინს, რომ აღნიშნული სარგებელი (თუნდაც დანიშვნა მოსამართლის თანამდებობაზე) მას მიეცემა. სამართლებრივი ნდობის პრინციპი აიძულებს გადაწყვეტილების მიმღებს, მისცეს პირს დაპირებული სარგებელი. ვინაიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აღნიშნული პირების მიერ რომელიმე თანამდებობის დაკავების შეზღუდვას არასოდეს ადგენდა, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი შეზღუდვები უნდა მივიჩნიოთ კანონსაწინააღმდეგოდ.

ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია სწორად განსაზღვროს მისი მოქმედების სავარაუდო შედეგები. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლის მოლოდინი უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას. კანონმდებლის მხრიდან საკანონმდებლო პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიჩნეულ უნდა იქნას მის ერთ-ერთ კონსტიტუციურ ვალდებულებად. შესაბამისად, კანონმდებლის „შეცდომა“, რომ პირებს ვინც არ ფლობდა სამართლის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს ჰქონდათ უფლება მოეპოვებინათ სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი – არ უნდა ლახავდეს პირის ინტერესებს.

### დასკვნა:

- თანამდებობის დასაკავებლად, თუ კანონით მოთხოვნილია უმაღლესი იურიდიული განათლება აკადემიურ ხარისხზე მითითების გარეშე, იგულისხმება სულ მცირე, სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- პარლამენტმა უმოკლეს ვადებში უნდა მიიღოს „იურიდიული განათლების შესახებ“ კანონი, რომელიც პრაქტიკაში წარმოშობილ კითხვებზე გასცემს პასუხს. კანონის შემუშავებისას აქტიურად უნდა იყოს ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებადი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართლის სადოქტორო პროგრამაზე გაგრძელების უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ იმ პირებს, ვისაც აქვს როგორც სამართლის ბაკალავრის, ასევე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხიც.

## შენიშვნები:

- <sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის N2/10/256 გადაწყვეტილება, პ. 1.
- <sup>2</sup> „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი მიუთითებს „იურიდიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონზე.
- <sup>3</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.
- <sup>4</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- <sup>5</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „წ“ პუნქტის მეორე წინადადება.
- <sup>6</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ პუნქტი.
- <sup>7</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.
- <sup>8</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8 პუნქტი.
- <sup>9</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-9 პუნქტი.
- <sup>10</sup> „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-8<sup>3</sup> პუნქტი.
- <sup>11</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
- <sup>12</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
- <sup>13</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>14</sup> „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.
- <sup>15</sup> „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>16</sup> იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2016 წლის 25 ივლისის N6864/3-65 წერილი.
- <sup>17</sup> საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>18</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 ივლისის წერილი N1203/1389-03-ო.
- <sup>19</sup> „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და 27-ე მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>20</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის „ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებისა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ N68 ბრძანების მე-2 მუხლი.
- <sup>21</sup> აღსრულების ეროვნული ბიუროს 2016 წლის 27 ივლისის წერილი N80150.
- <sup>22</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 30 ივნისის წერილი N13/40847.
- <sup>23</sup> იურიდიული დახმარების სამსახურის 2016 წლის 29 ივნისის წერილი LA71600048241.
- <sup>24</sup> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>25</sup> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.
- <sup>26</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2016 წლის 21 ივლისის წერილი N6813.
- <sup>27</sup> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 12 სექტემბრის წერილი NMES 7 16 01057756.

# HIGHER LEGAL EDUCATION, AS A NECESSARY CONDITION FOR EMPLOYMENT AT AN OFFICIAL POSITION OR CONDUCTING ACTIVITIES IN THE GEORGIAN LEGISLATION AND PRACTICE

MARINE MARINASHVILI  
*Doctor of Law*

In accordance with the legislation of Georgia, having higher legal education is a necessary precondition for employment at whole range of official positions or for implementing certain activities.

The article provides a definition of the requirement for higher legal education, namely: who is considered to have a higher legal education; whether it is possible to consider that a person, who holds an academic degree of a Master of Law, has a higher legal education, without having a bachelor's academic degree in law.

These issues are discussed considering the Georgian legislation and practice.

# საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

ცირა კომახიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მოწვეული ლექტორი*

## შესავალი

საკუთრების უფლება, როგორც უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება, წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს, დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის წინაპირობას. სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის შეფასება, იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენად არის დაცული და უზრუნველყოფილი ქვეყანაში საკუთრების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს საკუთრების უფლებას, ნორმაშივე ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას თუმცა, ადგენს მთელ რიგ სამართლებრივ საფუძვლებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ამ უფლების დაცულ სფეროში ჩარევა. საკუთრების უფლების არააბსოლუტურ ხასიათზე აგრეთვე, საუბრობს არაერთი სახელმწიფოს

კონსტიტუცია, მაგალითად: იტალიის, ლატვიის, იაპონიის, ლიტვის, აშშ-ის, პოლონეთის, გერმანიის და სხვა. საკუთრების უფლების არააბსოლუტურ ხასიათზე საუბრობს საერთაშორისოსამართლებრივი აქტები მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანად გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეშვეობით.

## 1. საკუთრების უფლების შიგნულში

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად: 1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. 3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

საქართველოს კონსტიტუციის ეს მუხლი ქმნის საკუთრების, როგორც ინსტიტუტის და საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტიას და ადგენს საკუთრების უფლების შინაარსს.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ კონსტიტუციის 21-ე მუხლი არ იცავს აბსოლუტურ, შეუზღუდავ, სუბსტანციურ საკუთრებას. კანონმდებელს აქვს უფლება დაადგინოს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საკუთრების შინაარსს და ფარგლებს, რაც ამ უფლებას აქცევს კანონმდებლის მიერ დეფინირებად უფლებად. თავის მხრივ კი, კანონმდებლის მიერ საკუთრების უფლების შინაარსის და ფარგლების დადგენა წარმოადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვას. მიუხედავად ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობისა, სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს საკუთრების უფლების უზრუნველყოფა და მისი დაცვა წარმოადგენს. ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ერთი მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ კრიტერიუმს, რასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით დადგენილი სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტს.

## 2. საკუთრების უფლების შიგნულში სამართლებრივი საფუძვლები

საკუთრების უფლება, ეს არის კანონმდებლის მიერ დეფინირებადი უფლება. შესაბამისად, კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა შესაძლებელია თუმცა, ჩარევა დასაშვებია მხოლოდ 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში. ეს არის სახელმწიფოსთვის ვალდებულება, თავისი პოლიტიკა დაუქვემდებაროს მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსს, იმავდროულად, ეს არის ყოველი მესაკუთრის

ვალდებულება, ითმინოს მის საკუთრებაში სახელმწიფოს ასეთი ჩარევები, ეს მისი საკუთრების კონსტიტუციური უფლების თანმდევი კონსტიტუციური ვალდებულებაა.<sup>2</sup> საკუთრების უფლების შეზღუდვა, რომელსაც ითვალისწინებს 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, კანონმდებელს საკუთრების შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილებას აძლევს. შეზღუდვა არის საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენა სახელმწიფოს მიერ. როგორც კანონმდებლობა, ასევე საკონსტიტუციო სასამართლო თავისი პრაქტიკით ადგენს იმ სტანდარტს და ფორმალურ თუ მატერიალურ მოთხოვნებს (კრიტერიუმებს), რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ჩარევა, რათა ის კონსტიტუციურსამართლებრივად იყოს გამართლებული.

**2.1. ფორმალური მოთხოვნები.** როდესაც ვსაუბრობთ საკუთრების უფლების დეფინირებაზე, კანონმდებლის მხრიდან ეს თავდაპირველად მოითხოვს არსებობდეს კანონი, როგორც საკანონმდებლო საქმიანობის პროდუქტი, რომელიც არამართო ითვალისწინებს შეზღუდვას, არამედ განსაზღვრავს შეზღუდვის წესს. ამასთან, ნორმა უნდა იკითხებოდეს ერთგვაროვნად და არ უნდა იყოს ბუნდოვანი. კონსტიტუციური უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისას, კანონმდებელი ვალდებულია მიიღოს მკაფიო და არაორაზროვანი ნორმები, რომლებიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, როცა ხდება ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება.<sup>3</sup> კანონი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საკმარისი სიცხადით ფორმულირებული. შეზღუდვა და მისი ფარგლები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით.<sup>4</sup> თუმცა, ეს არ გულისხმობს აბსოლუტურ სიცხადეს. კანონი სამართლის ცნების არსებით მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. რა თქმა უნდა, როცა ესა თუ ის კანონი სადავო ხდება კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით, თავდაპირველად, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს ფორმალურ მოთხოვნებს და მხოლოდ ამის შემდეგ – მატერიალურ მოთხოვნებს.

**2.2. მატერიალური მოთხოვნები.** დასაშვებ შეზღუდვაზე მსჯელობისას, თავდაპირველად მოწმდება საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა იყო თუ არა გამოწვეული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არსებობდა თუ არა ლეგიტიმური მიზანი. აღნიშნული მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც ამოწმებს არის თუ არა სახეზე საერთო ინტერესით განპირობებული კანონიერი მიზანი. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, არ არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების უნივერსალური დეფინიცია. ის წარმოადგენს აბსტრაქტულ სამართლებრივ ტერმინს, რომელიც სხვადასხვა დროსა თუ ისტორიულ ვითარებაში იძენს კონკრეტულ შინაარსს და იცვლება სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოთხოვნილებების ადეკვატურად.<sup>5</sup> ის არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე მორგებული ცნება, ის რაც ერთ საზოგადოებაში შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად, შესაძლებელია სხვა საზოგადოებაში ასეთად არ იქნას მიჩნეული.<sup>6</sup> ამასთან, არ არის აუცილებელი საკუთრების უფლების შეზღუდვამ სარგებელი მოუტანოს მთელ საზოგადოებას. ეს მიდგომა შეესაბამება ევროპული სასამართლოს მიდგომას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განმარტა, რომ საკუთრების ჩამორთმევა, რომელიც კერძო პირისათვის სარგებლის მიზნების გარდა, სხვა მიზანს არ ემსახურება, არ შეიძლება



შედიოდეს საზოგადოებრივ ინტერესში თუმცა, საკუთრების ჩამორთმევა ლეგიტიმური სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა პოლიტიკის გატარების მიზნით, შეიძლება საზოგადოებრივ ინტერესში იყოს, მიუხედავად იმისა საზოგადოება პირდაპირ იყენებს თუ არა ამ ჩამორთმეულ საკუთრებას.<sup>7</sup> რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს ის შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, მაგალითად: ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა,<sup>8</sup> სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების, გარემოს და ქვეყნის უშიშროების დაცვა,<sup>9</sup> დანაშაულთან ბრძოლა და სხვა.

**2.3. თანაზომიერების პრინციპი (პროპორციულობის ტესტი).** ადამიანის უფლების შეზღუდვის სფეროში თანაზომიერების პრინციპის გამოყენება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერებას ითხოვს. თანაზომიერების პრინციპი უფლების ფორმალური შეზღუდვის მატერიალური სისწორის კონსტიტუციური საზომი და კრიტერიუმი. საბოლოოდ, საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლება თანაზომიერების პრინციპზეა დამოკიდებული.<sup>10</sup> როგორც საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში განმარტავს, თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. მას კონსტიტუციური კონტროლისთვის აქვს არსებითი მნიშვნელობა.<sup>11</sup> აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ საშუალება მიზნის მისაღწევად გამოსადეგი იყოს, ამავდროულად, ის უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, უნდა მოხდეს პროპორციულობის ტესტის დაკმაყოფილება, რაც დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის წონასწორობის დამყარებაში მდგომარეობს. საკუთრების უფლების შეზღუდვისას, ეს სიკეთეებია – საკუთრების ძირითადი უფლება და ის ღირებულება, რის გამოც ხდება საკუთრების უფლების შეზღუდვა. ძალიან მნიშვნელოვანია საკუთრების ობიექტის სოციალური კონტექსტი, რაც ხშირად შეფასების კრიტერიუმი, საკუთრების უფლების დასაშვებ შეზღუდვაზე და პროპორციულობის ტესტზე მსჯელობისას. სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა.<sup>12</sup> საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში პირდაპირაა მითითებული, რომ ჩვენი მიზანია დაგამკვიდროთ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. თუმცა ეს არ ნიშნავს სოციალისტური სამართლის სისტემის რეანიმაციას. ერთი მხრივ, სამართალი არ უნდა გავაიგივოთ სოციალურ ფუნქციასთან და მეორე მხრივ, სამართალი არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ კერძო ფუნქცია. უნდა იყოს მიღწეული წონასწორობა, რაც დაამკვიდრებს მშვიდობას კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს შორის.<sup>13</sup> როგორც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში და კონსტიტუციაშია აღნიშნული, რომელიც საკუთრების სოციალური მოდელის რეალიზებას ახდენს, საყოველთაო კეთილდღეობის საწყისებზე, კერძო საკუთრების გამოყენება გულისხმობს საკუთრების ისეთი სისტემის უარყოფას, სადაც ცალკეული ადამიანის ინდივიდუალური ინტერესი პრივილეგირებულია საზოგადოების ინტერესებთან მიმართებით. აღნიშნული მიზნად ისახავს იმ მოქალაქეთა მოთხოვნისა და ინტერესების გათვალისწინებას, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ამგვარი საკუთრების გამოყენებაზე. აღნიშნული დამოკიდებულება წარმოშობს სოციალურ

კონტექსტს და საკუთრების ამ საგნების განსაკუთრებულ სოციალურ ფუნქციას.<sup>14</sup> როდესაც სახეზეა საკუთრების ობიექტის სოციალური ფუნქცია, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სახელმწიფოს მოქმედების ზღვარი უფრო მაღალია, მაგალითად, როცა საქმე ეხება უძრავ ნივთებს, როგორცაა მიწაზე საკუთრება ასევე, საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) საკუთრება. საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო გახდა კანონი, რომლითაც უცხოელებზე იკრძალებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში რეგისტრაცია. საკუთრება შეიძლება წარმოშობილიყო იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მემკვიდრეობით მიღება, ან თუ უცხოელი მართლზომიერად ფლობდა მიწას, როგორც საქართველოს მოქალაქე. ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ ეს დანაწესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რადგან არ არსებობდა ლოგიკური კავშირი ნორმასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის, რომელსაც წარმოადგენდა უცხოელთა მიერ მიწების მასობრივი შესყიდვის თავიდან აცილება. მაშინ, როდესაც შესაძლებელია უცხოელის მონაწილეობით შექმნილმა იურიდიულმა პირმა შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ეს რეგულაცია ამრს კარგავს, ვინაიდან ნორმის გვერდის ავლით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა იურიდიული პირის დაფუძნებით.<sup>15</sup> აღნიშნულ საქმეში პროპორციულობის ტესტი ცალსახად იყო დარღვეული თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო ნაკლებად მსჯელობს მიწის ნაკვეთის სოციალურ კონტექსტზე. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მცდელობა, მოახდინოს მიწის ნაკვეთის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების რეგულაცია, მისასაღმებელია. ვიზიარებთ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას: ის ფაქტი, რომ მიწა შეუცვლელია და არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულიად იქნას მინდობილი თავისუფალი ძალების გაუთვალისწინებელ თამაშებს და ცალკეულ პირთა შეხედულებებს. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მიწასთან მიმართებით მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებას და თავისი სოციალური მნიშვნელობით იგი არ შეიძლება გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთებს.<sup>16</sup> აქედან გამომდინარე, კანონმდებლის მოქმედების არეალი იზრდება, როცა საქმე ეხება განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტს, ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. მიწა ამოწურვადი სიკეთეა და განსაკუთრებულ გაფრთხილებას საჭიროებს. მით უმეტეს, როცა საუბარია ისეთ პატარა სახელმწიფოზე, როგორც საქართველოა. თუმცა, არ უნდა დავუშვათ ისეთი წესრიგი, რომ მიწა მხოლოდ მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს საკუთრებაში, საჭიროა სამართლიანი ბალანსის მოძებნა და ამ ურთიერთობის რეგულაცია.

თანაზომიერების პრინციპის აუცილებელი მოთხოვნაა კერძო და საჯარო ინტერესების იმგვარი დაბალანსება, რომ მხოლოდ ბრუნვის ერთ მონაწილეს არ დააწვეს ტვირთად ლეგიტიმური მიზნის მიღწევის მოტივით შემოღებული წესი. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 28 ივლისის საქმეზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 1999 წლის 16 აპრილის კანონის მე-2 მუხლის (ეს მუხლი ადგენდა, რომ იძულებით აღსრულებას, აუქციონს და სეკვესტრს არ ექვემდებარებოდა გენერაციის ობიექტები, ელექტროგამანაწილებლები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენდნენ, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობა 50%-ზე მეტი იყო) კონსტიტუციურობის შემოწმება, თანაზომიერების შეფასებისას განმარტა, რომ „სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოებრივი

ინტერესით საკუთრების უფლების შეზღუდვის ყველაზე უფრო სწორი და ეფექტიანი გზა გამო-  
ნახოს, რაც ტვირთად არ დააწევება სამეურნეო ბრუნვის მხოლოდ ერთ მონაწილეს. მიუღებელია  
ერთი ასეთი მონაწილის საკუთრების გარანტიამზე უარის თქმა ბრუნვის მეორე მონაწილის სა-  
კუთრების სასარგებლოდ.<sup>17</sup> აღნიშული განმარტება საკონსტიტუციო სასამართლომ თავის სხვა  
გადაწყვეტილებებშიც გამოიყენა.

როდესაც ვსაუბრობთ თანაზომიერების პრინციპზე არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტო-  
ვოთ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება  
უდანაშაულო მესაკუთრის ქონების კონფისკაციას. კერძოდ, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის,  
მსჯავრდებულის კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის, იარაღის ან და-  
ნაშაულის ჩასადენად გამიზნული კანონიერ მფლობელობაში არსებული ნივთის სახელმწი-  
ფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ იმის  
შესაფასებლად, არის თუ არა კანონიერ მფლობელობაში არსებული ნივთის სახელმწიფოს  
სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა დასახელებული მიზნების მიღწევის პროპორციული,  
არსებითი მნიშვნელობა აქვს სადავო ნორმითვე გათვალისწინებულ გარანტიებს, რომლებიც იცა-  
ვენ მესაკუთრეს მის საკუთრებაში არაადეკვატური ჩარევისაგან. საკონსტიტუციო სასამართლომ  
გამოყო სამი კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნორმა, რომ პროპორციულობა  
დაცულად ჩაითვალოს, ესენია: 1. ქონება, რომელიც ჩამორთმევას ექვემდებარება დანაშაულთა-  
ნაა დაკავშირებული და გასულია ნორმალური სამოქალაქო ბრუნვიდან; 2. სასამართლოს მიერ  
ხდება იმის დადგენა არის თუ არა ქონების ჩამორთმევის აუცილებლობა საჯარო ინტერესიდან  
გამომდინარე; 3. ქონების მესაკუთრე ქონებაზე უფლებას არ კარგავს. მას შეუძლია თავისი  
უფლება დაიცვას სამოქალაქო კანონმდებლობით, ანუ მოითხოვოს დელიქტური ანაზღაურება.  
სასამართლომ განმარტა, რომ პროპორციულობის შეფასებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა  
აქვს იმ გარემოებას, რომ მესაკუთრე არ კარგავს უფლებას ქონებაზე.<sup>18</sup> აქედან გამომდინარე,  
შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუმცა, ამ საქ-  
მესთან დაკავშირებით გამოითქვა კრიტიკა, რასაც ვიზიარებთ. ვერ დავეთანხმებით საკონსტი-  
ტუციო სასამართლოს პროპორციულობის ტესტზე მსჯელობისას, როცა აღნიშნული პრინციპის  
დარღვევა არ დადგინა განსახილველ შემთხვევაში. მსგავს საქმეზე „აგროსი გაერთიანებული  
სამეფოს წინააღმდეგ,“ რომელიც შეეხებოდა კონკრეტული საქონლის იმპორტის აკრძალვას  
და კონტრაბანდით შემოტანილი საქონლის კონფისკაციას, სასამართლომ განმარტა, რომ როცა  
საქმე ეხება უდანაშაულო მესაკუთრეს, სამართლიანი ბალანსის არსებობა მრავალ ფაქტორზეა  
დამოკიდებული, მათ შორის მნიშვნელოვანია, ქონების მესაკუთრის ქცევა, მისი ბრალი და მო-  
ნაწილეობის ხარისხი, ასევე, თუ რამდენად შეუძლია მესაკუთრეს დაიცვას თავისი უფლებები  
კომპეტენტურ ორგანოებსა და სასამართლოში.<sup>19</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ეს საკითხები  
მხედველობაში არ მიუღია პროპორციულობის ტესტზე მსჯელობისას, მათ შორის, არ უმსჯელია,  
რომ მართალია მესაკუთრე ფორმალურად არ კარგავს უფლებას თავის ქონებაზე და სამოქალაქო  
დავა შეუძლია აწარმოოს კანონიერი მფლობელის მიმართ, მაგრამ რამდენად შეძლებს ის თავისი  
ინტერესის დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, სასამართლომ პროპორციულობის ტესტის ერთ-ერთ-

თი კრიტერიუმი, კერძოდ კი, გამოყენებული ღონისძიების აუცილებლობა ვერ დაასაბუთა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს ადგენს თავად სადავო ნორმა, რომ დანაშაულის ქონების ჩამორთმევა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებისათვის, მომავალი დანაშაულის თავიდან აცილებისთვის, აღსანიშნავია, რომ სასამართლო თითქმის არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რა საფრთხის მატარებელია ჩამორთმეული ქონება, რამდენად დიდია იმის რისკის ალბათობა, რომ სამომავლოდ ლეგიტიმურ საჯარო მიზანს ქონების არჩამორთმევის შემთხვევაში შეექმნება საფრთხე.

თანაბომიერების პრინციპი ასევე, მოითხოვს, რომ საკუთრებამ უნდა შეძლოს მისთვის დაკისრებული ტვირთის ტარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ იქნება არა შეზღუდვა, არამედ საკუთრების ჩამორთმევა. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას მაშინ აქვს გამართლება, როცა ლეგიტიმური მიზანი მიიღწევა ისე, რომ არ მოხდება შეზღუდვას დაქვემდებარებული სიკეთისა და მისი მატარებელი სუბიექტის გაუცხოება. შეზღუდვა გულისხმობს ინტერესთა სამართლიან დაბალანსებას და არა ისეთ შემთხვევას, როცა ერთი ინტერესის ადგილს მეორე იკავებს.<sup>20</sup>

პროპორციულობის ტესტის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს, მოხდა თუ არა სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდა, იმ პირისათვის რომლის საკუთრების უფლების ხელყოფა განხორციელდა. საქმე „საშანიუ საფრანგეთის წინააღმდეგ“ არის იმის მაგალითი, რომ სასამართლო მხედველობაში იღებს კომპენსაციის საკითხს საკუთრების უფლების ისეთი ხელყოფისას, როცა ადგილი არა აქვს საკუთრების ჩამორთმევას.<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია კომპენსაციაზე საუბრობს მხოლოდ საკუთრების უფლების ჩამორთმევისას, რაც შეეხება საკუთრების უფლების შეზღუდვას, როგორც კონსტიტუცია, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხზე არ საუბრობს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში დამკვიდრება მნიშვნელოვნად გაზრდიდა საკუთრების უფლების დაცვის ხარისხს.

**2.4. საკუთრების უფლების არსი.** საკუთრების უფლების შეზღუდვამ არ უნდა გამოიწვიოს საკუთრების უფლების არსის დარღვევა. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ეს დანაწესი არის 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგი. თუმცა, საკუთრების შეზღუდვისას საკუთრების არსება, რომ უნდა შენარჩუნდეს, საკონსტიტუციო სასამართლომ ამის შესახებ განმარტება ჯერ კიდევ, 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაში გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ საკუთრების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაგანი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს.<sup>22</sup> საკუთრება მესაკუთრისათვის, ყოველგვარი სარგებლის მოტანის გარეშე ტვირთად არ უნდა იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესაკუთრისათვის აზრს დაკარგავს საკუთრება. ასეთივე მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც განამტკიცებს, რომ საკუთრების შეზღუდვამ მესაკუთრეს უნდა დაუტოვოს გარკვეული თავისუფლება. შეზღუდვის ფარგლებზე საუბრობს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მიუხედავად საკუთრების ობიექტის სოციალური ფუნქციისა, მიიჩნევს, რომ საკუთრება უნდა დარჩეს მესაკუთრისათვის იმ ღირებულების მატარებელი, რაც მასში დევს.

## დასკვნა

როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვიდან ჩანს, ამ უფლების შეზღუდვა მთელ რიგ ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ ის კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებულად ჩაითვალოს. საკონსტიტუციო სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება ფართო მსჯელობას შეიცავს, არის თუ არა სახეზე ამ უფლებაში გამართლებული ჩარევა. მხედველობაში მიიღება, როგორც ფორმალური მოთხოვნების არსებობა, ასევე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების, ლეგიტიმური მიზნის არსებობა, თანაზომიერების პრინციპის დაკმაყოფილება და საკუთრების სოციალური კონტექსტი. რა თქმა უნდა არსებობს პრობლემები, არის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებზეც გამოითქვა კრიტიკა და რომლებიც მიგვაჩნია, რომ ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტს, საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით. თუმცა, საკანონმდებლო დონეზე რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზები არ არის. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, რაც გამოწვეულია კანონის არასათანადო შეფარდებით, რაზეც საუბრობს სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ ანგარიშებში.

## შენიშვნები:

- <sup>1</sup> იზორია ლ., საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი, ჟურნ. „სამართალი“, 2002, N9-10, გვ. 22-23.
- <sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება, პ. 2.9.
- <sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407/ გადაწყვეტილება, პ. 2.11.
- <sup>4</sup> კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2008, გვ. 18.
- <sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N 1/2/384 გადაწყვეტილება, პ. 2.12.
- <sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N N2/1/-370, 382, 390 გადაწყვეტილება, პ. 2.14.
- <sup>7</sup> სახელმწიფო სამართალი (II) // გამომცემლობა „ალმანახი“, თბილისი, 2001, გვ. 13.
- <sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, პ. 2.9.
- <sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება, პ. 2.62.63.
- <sup>10</sup> იზორია ლ., ადამიანის უფლებების შემღვდვა და თანაზომიერების პრინციპი // ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002, გვ. 43-49.
- <sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393, 397 გადაწყვეტილება.
- <sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება, პ. 2.8, პ. 2.9.
- <sup>13</sup> ზოიძე ბ., სანივთო უფლების სოციალური ფუნქცია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, N2, გვ. 25-26.
- <sup>14</sup> იურგენ შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, მთარგმნელი ეთერ ჩაჩანიძე, გვ. 245-248.
- <sup>15</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 2.67.
- <sup>16</sup> იურგენ შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, მთარგმნელი ეთერ ჩაჩანიძე, გვ. 250-253.
- <sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის N 1/14/184, 228 გადაწყვეტილება, გვ. 6-7.
- <sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N 1/2/384 გადაწყვეტილება, პ. 2.20-22.
- <sup>19</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 392-393.
- <sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, პ. 2.27.
- <sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 397-398.
- <sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის N1/1/103, 117, 137, 147-48, 152-53, გადაწყვეტილება, პ. 10.

## ბიბლიოგრაფია

### საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;
3. საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩარმორთმევის წესის შესახებ.“

### საქართველოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:


1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის N1/1/103, 117, 137, 147-48, 152-53, გადაწყვეტილება;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის N1/14/184,228 გადაწყვეტილება;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407/ გადაწყვეტილება;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370 გადაწყვეტილება;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №512 გადაწყვეტილება საქმეზე, დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონტეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2004;
2. ზოიძე ბესარიონ, სანიგთო უფლების სოციალური ფუნქცია, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, N2;
3. იშორია ლევან, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი // ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002;
4. იშორია ლევან, საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი, ჟურნალი „სამართალი“, N9-10, 2002;
5. შვაბე იურგენ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, მთარმენელი ეთერ ჩაჩანიძე, თბილისი, 2011;
6. კორკელია კონსტანტინე, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2008;
7. საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები #10, თბილისი, 2008;
8. საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი N1, თბილისი, 2010;
9. სახელმწიფო სამართალი (II) // გამომცემლობა აღმანახი, თბილისი, 2001;
10. ცნობილად ირაკლი, კოუორიძე კახა, ფოფხაძე ეკატერინე, ტაბატაძე რუსუდან, მოსაშვილი ნათია, აბაშიძე ქეთი, რევაზიშვილი თამარ, საკუთრების უფლება საქართველოში, თბილისი, 2007.

### ინტერნეტ-გვერდები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინტერნეტგვერდი,
2. ევროპის საბჭოს ინტერნეტგვერდი, <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/home>



# LEGAL GROUNDS FOR LIMITING THE RIGHT TO PROPERTY ACCORDING TO THE CONSTITUTION OF GEORGIA AND THE PRACTICE OF THE CONSTITUTIONAL COURT

TSIRA KOMAKHIDZE

*Invited Lecturer at the Batumi Shota Rustaveli State University*

Relying upon the Constitution of Georgia and the practice of the Constitutional Court, the article provides a complex discussion about the restriction of right to property, reasons for restriction, scopes of interference in protected sphere and criteria established for considering the interference justified. Besides, the article discusses important judgments of the Constitutional Court of Georgia regarding the restriction of right to property, and parallels are drawn with the practice of the European Court of Human Rights.

The paper provides the author's opinions, evaluations and recommendations on the issues related to the protection of the right to property in Georgia, as the author thinks that if they are considered in the Georgian legislation and practice, it would enhance the quality of protection of right to property in the state, and would make it more integrated with the standard established by the international law.



საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
THE SUPREME COURT OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



917715121259002